

საბჭოთა ბელორუსია

1976 6

6/1976

საბჭოთა ხელოვნება

შ ი ნ ა ა რ ს ი

ანდრია პალანჩივადე — ვიზუალური ხელოვნების დღეები	2
ნოდარ გებუნია — ახალგაზრდა კომპოზიტორების შემოქმედება	13
ზურაბ ჯიბლაძე — ლენინური პრემიის ლაურეატი	17
მოსკოვის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური „კაპელის“ სტუდია	20
ჩხინიძე სტუდია	20
გურამ გვერდწითელი — შუბარძის თეატრი, კარგული ფილმი-75	23
ქანია — თეატრალური მხატვრობის მსახიობი	35
ნათელა ურუშაძე — ბასილ ზუბაშვილის თეატრი	38
ლონგინოზ სუმბაძე — ქალაქ-მუშაობის მხატვრობის დამფუძნებელი	45
ქაბა იოსელიანი — „ქალღმერთი“	50
ლადო გუდიაშვილი — მხატვრობის ფიგურა	54
ნოდარ მამისაშვილი — ნიკო მუსხილიანი „ნახევრული“ და „გუთნური“	59
ოთარ სანდლოძე — პროპაგანდის-რეჟისორთა ახალი კადრები	70
ელგუჯა სანადირაძე — მომავალი მხატვარი დღევანდელი	75
ლეონიდი პასტერნაკი — მხატვრობის ლეონტი ბრეჯნევის	75
მიხეილ ვიციანელი — მრავალხარისხიანი მხატვრობის უმცირესი ნაწილი	88
ენ-ლუი ბარო — ფიგურები თეატრში	93
დინაპოლი, თეატრი და მხატვრობა	106
შერაზ ბეგოვი — ახალ შერაზ ბეგოვის ნაწარმი	107
ბრუნა	111

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სამხატვრო-მეცნიერული უწყისების მიერ

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მრავალხარისხიანი**

მთავარი რედაქტორი:
თამაზ ბილაძე
სარედაქციო კომიტეტი:
**აბაგი ბაჩრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუჯუა თეთრია
(განხილვისათვის მდივანი),
ნოდარ ბაბუნიანი,
პეტე კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიძე,
ნათელა ურუშაძე,
რეზა ჩხიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ვაჟაბაძე,
ნოდარ ჯანაბრია.**

კომპაჰვირული ყრილობის ტრიბუნიდან მიხლა დიდი წარ-
მატებანი ვუსურვო ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, კომ-
პოზიტორებს, თეატრისა და კინოს შემოქმედებების მუშაკებს.
ჩვენ მათგან მოველით ახალ კენილებებს. ღვა მს იმემა მაინ
ფხლდაუღებელი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში და, უწინა-
რეს ყოვლისა, სხაბრთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღ-
ზრდის საქმეში.

ლ. ი. ბრეჰნიძე

სიტყვა სრულიად საბავსორო ალბა
XVII ქრილოზაჷ
1974 წლწ, 23 აბრილი

ანდრია ბალანჩივაძე

ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედება საინტერესო და მნიშვნე-
ლოვანი მოვლენაა. საინტერესოა იმიტომ, რომ სწორედ ახალგაზრდობა განახლებს და
გამდიდრებს მუსიკალურ ჟანრებსა და ფორმებს, მათში ჩაატოვს ახალ იდეებს, მოი-
მარჯვებს ახლებურ დამოკიდებულებას მოვლენებითა და ემოციებით აღსავსე თანამედ-
როვე ცხოვრების ასახავად.

მნიშვნელოვანი კი იმიტომაცა, რომ კომპოზიტორთა ახალმა თაობამ უნდა დაიჭი-
როს წინამორბედი თაობების ადგილი, ამიტომაც ეს ახალი თაობა უნდა იყოს შეიარა-
ღებული უფრო მაღალი პროფესიონალიზმით, რომელიც უნდა გამოსჭვივდეს როგორც
შემოქმედებით ოსტატობაში, ისე საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის ას-
პარეზზეც.

ახალგაზრდა თაობის მუსიკოსების უფროს თანამედროვეთა მოვალეობაა სიყვა-
რულითა და თავგამოდებული მზრუნველობით იყენენ გამჭვალულნი თავიანთი სული-
ერი შვილების შემოქმედების მიმართ. უფროსი კოლეგები დიდის გულისყურით, ინტე-
რესით უნდა ეკიდებოდნენ ახალგაზრდათა შემოქმედებას, უნდა წააქეზონ მათი ყოვე-
ლი შთაგონებული და გაბედული აღმაფრენა, მათი ყოველი წარმატება. ამავე დროს,
ყოველმხრივ უნდა დაიცვან ისინი ფუჭი, მცდარი ტენდენციებისა და უაზრო მოდური
მიმდინარეობების გაუღენებისაგან, პირუთვნულად უნდა უთხრან მათ საყვედური ფო-
რნალიზმისა და უიდეობის, შემოქმედებითი პასიურობის, დილეტანტობისა თუ არა-
საკმაო პროფესიონალიზმის გამოვლენების შემთხვევებში.

სწორედ ამ პოზიციიდან შევებები (კრიტიკული თვალთ) როგორც თანამედროვე
მუსიკაზე ამჟამად დამკვიდრებულ საერთო მოსაზრებებს, ასევე კონკრეტულ ნაწარმო-
ებებსაც.

იმის გამო, რომ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს დღეს, უმეტესად, ახლომოყოფ,
ვიწრო ლოკალურ მოვლენებთან კავშირი განიხილავენ და აფასებენ, და არა მუსიკა-
ლური სამყაროს მთელი შემოქმედებითი ფასეულობის გათვალისწინებისა და განზო-
გადების ფონზე, თავს ნებას მივცემ, საუბარი დავიწყო მიმოხილვითი — თეორიული
ხასიათის ექსკურსით, რათა ცხადი გახდეს, რა პოზიციებიდან ვუდგები განსახილველ
ნაწარმოებებს. გთხოვთ მიმოიტკეოთ, ზოგიერთ კარგახანია ცნობილ ჭეშმარიტებას თუ
გაგიმეორებ. მაგრამ ის მანუგებებს, რომ შესაძლოა, ზოგი რამ საინტერესო აღმოჩინ-
დეს ჩვენს შემოქმედებით საქმეებში ბოლომდე გაუწაფავ პირთათვის.

ახალგაზრდა მუსიკოსების — კომპოზიტორების წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

1. ხალხური მუსიკალური მემკვიდელების შესწავლა;
2. კლასიკური მემკვიდეობის დრმად ათვისება;
3. თანამედროვე ესთეტიკური და ტექნიკური რესურსების გონივრული, კრიტიკული გამოიჩევა.

...უფროსი კოლეგები დიდი გულის-
ჯარით, იხანაინით უნდა ავიღებო-
დნენ ახალგაზრდათა შემოქმედებას,
უნდა წააქეზონ მათი ყოველი შთა-
გონებაული და გაბედული აღზარა-
ნა...

ვიზრუროთ ხვალინდელ დღეზე

ხალხური მუსიკალური მეტყველების საკითხს რომ ვეხებით, მხედველობაში როდე გააქვს მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა ჩანაწერების ანალიზის მეოხებით. ეს თეორეტიკოს-ფოლკლორისტების საქმეა. კომპოზიტორი მოვალეა ხმენაგამახვილებით ჩაწვდეს მუსიკას, როგორც სულისმთერი მოვლენის არსს, რადგან ხალხის მუსიკალური შემოქმედება ადამიანთა ცხოვრებისეული განცდებისა და გრძნობების ჭეშმარიტი განსახიერებაა. აქ მუსიკალური მეტყველების უმცირეს დეტალებსა და ნიუანსებს, მისი აღნაგობის სიბრძნესა და სილამაზეს უნდა ჩასწვდე. აქ საჭიროა ხმენით ხვდებოდე, უნდა პოულობდე და აზრით უნდა გესმოდეს ის, რასაც მეცნიერული ანალიზით ვერ განსაზღვრავ, — ესაა ის, რაც მხოლოდ კაცის გულმა, მისმა სულმა თუ შეიძლება იგრძნოს. თავის ქმნილებაში კომპოზიტორის მთერ ფოლკლორული ციტატებისა თუ სპეციფიკური მიმოქცეების (რომელთაც ლოგიკური კავშირი არა აქვთ ყველაფერ დანარჩენთან) მექანიკურ მიტმასნებას კი შეიძლება ხალხურობით სპეკულაცია ვუწოდოთ. ჩვენში ასეთი მოვლენები აშკარად გვხვდება.

მთერ ამოცანა, ანუ კლასიკური პროფესიული მუსიკალური მემკვიდრეობის ათვისება, ამგვარად გვესახება: მხეწიერების მწვერვალებისკენ ხელოვნების დიდოსტატთა მთერ გაცეკულულ ბილიკებს მივყავართ. ის ბილიკი უნდა აირჩიო, რომელიც შენს სელთან და გულთან ყველაზე უფრო ახლოა, უნდა დადგე ერთხელ უკვე შემოწმებულ, მყარ ნიადაგზე, რათა თავგზა არ აგებნეს. ხოლო შემდეგ, როცა საკუთარი თავის რწმენა გაიკინდება, უნდა მონახო სხვა გზა — გზა დამოუკიდებელი აღმასვლისა. ეს შექმნილის გამეორებას ან მის მიბაძვას არ ნიშნავს. ბეთოოენი და ჩაიკოვსკი მოცარტის ბილიკს მიყვებოდნენ, მაგრამ ამ მხატვრებს სულ სხვადასხვაგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სამყაროები აქვთ. ორივემ მოცარტთან კმოვა ჭეშმარიტება და სილამაზე, ყველაფერ დანარჩენს კი თავთავიანთი გენიით მიადწიეს. მუსორგსკის კვალზე მიმავალმა დებიუსიმ კი თავის ჯადოსნურ, ნატიფ სამყაროში ახალი საღვაებები და მიწიერი ვენებები განფინა და იგი ფანტასტიკურსა და რეალურს ერთიანობის განსაცგიფრებელ მხატვრად მოგვევლინა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ სკრიაბინსიც, ვინც თავიდან აშკარად, თვალნათლივ, შოპენის ბილიკს მიყვებოდა და მერ და მერ გაკვალა თავისი ორიგინალური, მხეწიერი გზა. აი, ასე უნდა გავიგოთ, ჩემი აზრით, მემკვიდრეობის ათვისების ცნება. მაგრამ ცხადია, აუცილებელია მოისმინო და შეიმეცინო ზღვა მუსიკალური ლიტერატურა იმისათვის, რომ შენთვის უმოთვრესი რამ გვერდზე არ დაგრჩეს.

მეამე ამოცანაა: თანამედროვე ესთეტიკური და ტექნიკური რესურსების გამოჩნევა. მაგრამ ვიდრე ამ ამოცანის კონკრეტულობას შეგვხვებოდე, ცოტათი უკან დაიხვიე. ასლა ხშირად გვესმის ხოლმე მოდური საუბარი: დიდ კომპოზიტორებს თანამედრო-

...მხეწიერების მწვერვალისკენ
ხელოვნების დიდოსტატთა მთერ
გაცეკულ ბილიკებს მივყავართ...



ვეები ვერ უკებდნენ, რადგან ისინი თავიანთ დროსა და თავიანთ საზოგადოებას უსწრებდნენ და სამომავლოდ ქმნიდნენო. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ბევრი კომპოზიტორი, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ცხრაპირ ტყავს იძრობს, ოღონდ კი როგორმე გამაინახოს და გამოიყენოს ისეთი წარმოდგენელი, დაუკრებელი ბგერითი შეფარდებები და ხერხები — ისეთი ზეფილოსოფიური იდეური კანვა შემოგვათავაზოს, რომლის ჩაწვდომასაც, მათი აზრით, მხოლოდ მომავალი თაობები თუ შესძლებენ. ეს თითოღარ განიწოვილი, უსაფუძვლო ვერსიაა. სინამდვილეში, წარსულის ღიღისტატების ცხოვრებაზე არსებული მთელი ლიტერატურა და მთელი ისტორია გვიდასტურებს, რომ კაცობრიობა ღირსეულად აფასებდა, ჭედს იხრიდა თავისი დროის კომპოზიტორთა შემოქმედებით გენიის წინაშე, ისინი დღესაც, ჩვენთვისაც, სათაყვანინი არიან. მათი ნაწარმოებები მაშინაც სისტემატურად სრულდებოდა და დღესაც სრულდება უდიდესი წარმატებით. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გუშინ შექმნილი დიდი ხელოვნება დიდად რჩება დღეისათვისაც, იგი ხვალაც დიდი იქნება, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის მიუხედავად. იმიტომ, რომ ხელოვნება (ველისსმობთ მაღალიმნიჭიერი ქმნილებები) სულისმერი — მარადამული სამყაროა. მასში გამოხატულია ადამიანი ბუნების მიერ ჩაბუდებული ყველა გრძნობა: სიყვარული, სიხარული, ტანჯვა. სიფთოსაყენ, სიმართლისაყენ, სულიერი სიწმინდისაყენ სწრაფვა, ბოროტებასთან და ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა სხვა სიკვესთან ბრძოლის წყურველი. ადამიანთა სულისმერი ცხოვრების ყველა ეს თვისება კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით რჩება როგორც უცვლელი ცხოვრებისეული კანონი, როგორც კაცობრიობის მარადიული არსებობის ფორმა. ხელოვნება კი ამ კანონის ცოცხალი გამოხატულება უნდა იყოს.

რაც შეეხება ხელოვნებას, რომელიც ბაძავს სამყაროს ბგერითსა და სხვა გარეგნულ მივლენებს, კვდება ტექნიკისა და ცხოვრების პრაქტიკული პირობების სასცენო-ლებასთან ერთად. ამას ადასტურებს სხვადასხვა დროს, დაწყებული ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან, ჭარხნების, ფაბრიკების, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც გადმოსცემდნენ დღეს უტილად ქვეყლი რაიონ-დარა მანქანების გრუხუნსა და რახრახს, აგრეთვე ბრბოს ხმაურს, ბატალიების და კატასტროფების აგრუხუნსა და ა. შ. ამჟამად ისეთი ვგულისხმობ ნაწარმოებიც კი, როგორიცაა ონგერის „პასიფიკი“, განუცდელი და გაუგებარი დარჩება, რადგან ორთქმავლები უკვე აღარ არსებობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წარსულის ყველა კომპოზიტორის შემოქმედება არ ყოფილა მაშინვე გაგებელი. ისეთი ოსტატები, როგორიც არიან მოცარტი, ბეთოვენი, შუბერტი, გლინკა, ბიზე, ვერდი და სხვანი, რომლებიც ძირითადად ვერდნობოდნენ წმინდა მუსიკალური ხელოვნების ბგერით სფეროს და აზრის გადმოსცემად გაბედულად იმარჯუებდნენ ნოვატორულ ხერხებს, დაუხანებლო ხდებოდნენ თავიანთი თანამედროვეების გულთამაყობელნი. მაგრამ ბაძი, რომლის შემოქმედებაში ფორმის სიმკაცრე და აზროვნების რკინისებური (მათემატიკური) ლოგიკა ღრმა შთაბრძნებით იყო აღბეჭდილი, ან კიდევ ვაგნერი, თავისი რთული ფილოსოფიური კონცეფციითა და სახეთა მუსიკალური დრამატურგით, ან სკრიაბინი, რომელმაც განუზომლად ვაფარათოვა ჰარმონიის სფერო თორმეტტონური კილოთი და სულდგემლობა მისტიციზმის მიხალბეობელი იდეებით, ბუნებრივად მოითხოვდნენ სმენისა და აზროვნების შემზადებას და ამიტომ მაშინვე სათანადოდ ვერ აღიქმებოდნენ. და მაინც, კაცობრიობის მიწინავე, მნიშვნელოვანი ნაწილი მათში ხედავდა დიდ მხატვრებს და ჭედს იხრიდა მათ წინაშე, როგორც თავისი ეპოქის, თავისი დროის კორიფეების წინაშე. საქმე იმა-რია, რომ ის, რაც მომავლისთვის კეთდება, კეთდება იმ შემოქმედებითი ძალებით, რომლებიც თანამედროვეობის, დღევანდლობის სამანებში ვერ ეტკვიან, მაგრამ სამომავლოდ ისე იღწვიან, რომ ამათ თანამედროვეობა არამც და არამც არ ზარალდება.

პროფესიული მუსიკალური შემოქმედება, რომელიც ჩვენთვის დახალბეობით მყოფი საუკუნეიდანა ცნობილი, დიდი თუ მცირე პერიოდების შემდეგ, ხან ვგვამაზნობიერად, ხან კი ნახტომებით ვითარდებოდა და მდიდრდებოდა ასალი ელემენტებით.

თავიდან ეს იყო უძველესი კილოთა უნარიანი შერწყმა, შესამება. XIV საუკუნის ზღურბლზე ნიჭიერმა ოსტატებმა მიმართეს ნახევარტონებს (ჭომატონში), რამაც განუზომლად გაამდიდრა ჰარმონიის სფერო (დაბეჯივებით შეგვიძლია ვვივარუდოთ, რომ ეს ფაქტი იყო მთავარი მიზეზი რენესანსის დასაბამისა, — ე. ი. იმისა, რასაც ჩვენ კლასიკურ პერიოდს ვუწოდებთ). რომანტიკოსები კი (ველისსმობთ ბეთოვენ-

...ის, რაც მომავლისთვის კეთდა, კეთდება იმ შემოქმედებითი ძალებით, რომლებიც თანამედროვეობის, დღევანდლობის სამანებში ვერ ეტკვიან, მაგრამ სამომავლოდ ისე იღწვიან, რომ ამათ თანამედროვეობა არამც და არამც არ ზარალდება...



ნის შემდგომ ხანას) უკვე თავისუფლად და უზგად იყენებდნენ ნახევარტონებს, სატრეპტონებს, სარტრეპტონებს (ე. ი. ტონალობებს) და ამით მუსიკას რამდენადმე მიწიერ ხედდნენ (ინიტონი, რომ ნახევარტონები და ალტერაციები გრძნობად ემოციებს აღძრავენ). და თუმცა, ვაგნერმა ნახევარტონების გენიალური შეწყობით ღვათაბრივი ცეცხლიც და ადამიანურ ენებთანაც ცეცხლიც გააჩაღა, მაინც, გრავალის მკვიდრნი განსაკუთრებით არ გამოირჩეოდნენ (მუსიკის ხასიათის მიხედვით) დედამიწის მკვიდრთაგან. იმავე პერიოდში. თავისი ხალხის სულიერი ცხოვრებით გამსჭვალულმა რუსმა დიდოსტატებმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს მუსიკალურ ხელოვნებაში. პროფესიული მუსიკალური ავრთვების ამ დიდ, საერთო გზას შეუერთდნენ სხვა ხალხთა მუსიკალური კულტურებიც, მათ შორის ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურაც.

ვაგნერის ეპოპის მიმდევრებმა (აქ ვაგნერს ვახსენებთ, როგორც რომანტიზმის ეპოპის უბრწყინვალეს წარმომადგენელს, რომელმაც თორმეტტონური სფერო საფუძვლიანად დაამკვიდრა ტონალურ პარმონიაში) და, აგრეთვე, XIX და XX საუკუნეთა მჯანჯე ამოცნებელი მუსიკალური შემოქმედების უახლესი მიმდინარეობის წარმომადგენლებმა (ამ მიმართულებას მხატვრები მოდერნის სტილს ეძახიან), ხედავდნენ რა თორმეტტონური, ქრომატიკური პრინციპების შემდგომი განვითარების უზენაესქტციობას და ეძებდნენ რა ახალ გზებს, ორი ნაბიჯით დაიხიეს უკან: ერთი კლასიციზმისკენ, მეორე — კილოთა საუფლოსკენ. კილოებრივი პრინციპი მიჩნეულია არა მარტო მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური მემკვიდრეობის სტილად, არამედ 12 ნახევარტონიდან ამორჩეული ბეგრათა რიგების განსაკუთრებულ წყობადაც. აქ შესაძლებლობები განუსაზღვრელია — საწმულებები აღემატება ქრომატიკული წყობის ყველა შესაძლებელ კომბინაციას. ამასთან, კილოები შეიცავს საღებავთა უმდიდრეს პალიტრას. კომპოზიტორის შეუძლია აირჩიოს თავისთვის საკულისსმო შეფარდებანი იმ კილოსაღებებისა, რომლებიც მისცემენ ბიძგს მისი შემოქმედებითი ხელწერის ჩამოყალიბებას, მისი ინდივიდუალობის გამოვლენებას. ეს ასეა. დავასახელებ ამ ახალი მიმართულების მქტნაკლებად თვალსაჩინო წარმომადგენლებს მეტრამეტე საკუნის მიწურულიდან ჩვეს დღეებამდე.

გერმანიაში: მალერი, ბრუენერი, რ. შტრაუსი, მოვიანებით — ჰინდემიტი, რეგერი და სხვ.

საფრანგეთში: რაველი, ფრანკი, შსონი, მოვიანებით — ონეგერი, მთელი ექვსეული და მესიანი.

იტალიაში: ჯერ კიდევ ბუჩინი, რესპიჩი, კაზელა, რიტტი.

რუსეთში: სკრიანინი, სტრავენსკი, პროკოფიევი, რახმანინოვი, მეტნერი, მოვიანებით — შოსტაკოვიჩი და ყველა რესპუბლიკის დღევანდელი საბჭოთა კომპოზიტორების უმრავლესობა.

უნგრეთში: ბარტოკი.
პოლონეთში — შიმანოვსკი, ლიუტოსლავსკი.

ამერიკაში — გერშვინი, კოპლენდი, სემენსი, ბერეტევი და სხვ.

ერთი სიტყვით, იგულისხმება მთელი პლუდა XX საუკუნის კომპოზიტორებისა, რომელთა ნაწარმოებებით საზრდოობს თანამედროვე საკონცერტო საყარო.

ინავეროვლად, XX საუკუნის მიჯანჯე ამოცნება მეორე სკოლა, რომლის შემქმნელი და წინამძღოლია არნოლდ შოპენერე. ეს სკოლა არ დაადგა მუსიკალური შემოქმედების საერთო, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტექნოლოგიის დამდიდრების გზას, რაზედაც ეს-ესა ვსაუბრობდით, არამედ, პირიქით, ამ სკოლამ ააჩრია გზა ყოველივე იმის უარყოფისა, რასაც ემყარება ტონალური პარმონიის საყარო.

ეს სკოლა თავის ამოცანას წყვეტს იმავე 12 ტონური ბეგრათრივის საფუძველზე, ოღონდ ისე, რომ გაანეიტრალოს ბეგრათა ბუნებრივი ურთიერთმიხედულობა და აპით მოსპოს ტონალობის შფერძნება. ამ სისტემაში მოიტანა ახალი საინტერესო და სასარგებლო შედეგები, თუკი მას განვიხილავთ, როგორც თანამედროვე მუსიკის საერთო საკომპოზიტორო ტექნოლოგიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მაგალითად, ატონალიზმამ (ე. ი. უფერულობამ), შეიძლება მუსიკალურ დრამატურგიაში ითამაშოს როლი მძაფრი კონტრასტისა და ამით ხელი შეუწყოს ტონალობის კიდევ უფრო მკვეთრ გამოვლენებას — ასე სიბნელის შემდეგ შევიგრძობთ ხოლმე სინათლეს. მეორე — ბეგრამ, რომელიც არ ილტვის მეორე ბეგრისკენ და თავისუფლად ერთეულად იქცევა, შეიძლება დამოუკიდებლად შეასრულოს თავისი როლი ისე, როგორც გარემომცველი ატმოსფეროსაგან განდგომილმა „პერსონამ“. მესამე — იგივე თავისუფალ ბეგრებს, საპირისპირო რეგისტრებში განლაგებისას, შეუძლიათ არსებობა პედა-



ლური საფუძვლის გარეშე. მეოთხე — ფაქტურული მოძრაობა, რომელიც ყოველთვის ხაზის ინტერვალურ-თავისუფალი ფიგურაციის კომპლექსს წარმოადგენს, კონკრეტული ხმაურის ილუსიას ქმნის. ასეთი ნატურალისტური ქვერადობა ზოგჯერ საჭიროა მუსიკაში, განსაკუთრებით გამოყენებით მუსიკაში (თეატრი, კინო და ა. შ.). ტონალურ მუსიკაში კონკრეტულ ქვერადობათა მიღწევა ძნელია — მხოლოდ შორეულ ასოციაციებს თუ აღძრავ. შეიძლება ამ სისტემის კიდევ სხვა ატრიბუტების დასახელება, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე საკომპოზიციო ტექნოლოგიაში.

მაგრამ ამ სისტემის მიმდევრები, ჩემი აზრით, მცდარ ზეპს დაადგენ. მათ ხელი მიჰყვეს მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სხვა საადმინისტრაციო ელემენტებს — რიტმი, მელოდია და ფორმა — უარყოფას და თავიანთთვის დააწესეს მკაცრ კანონთა დოგმატური თეორია.

მაგალითად, გამორიცხულია მელოდიის შეთხზვა ნებისმიერი ემოციური განწყობლების ზემოქმედებით, რადგან კომპოზიტორი შთაგონებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მხოლოდ სერიაში განლაგებული ბგერებით. გამორიცხავენ თანასამოხერ რიტმს (კრებალი უსიკალური ორგანიზმის პულსს), რადგან ამას ტონალობის შეგრძნებამდე მივყავართ. მოითხოვენ რიტმის დანაწევრებას, დაქუცმაცებას. გაპირიყვნენ ბგერებისა და ფრაზების განმეორებებს, რადგან ამასაც ტონალობის შეგრძნებამდე მივყავართ. ბუნებრივია, რომ გამორიცხავენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ფორმებსაც, რადგან მოტივის, რიტმისა და ტონალობის, აგრეთვე განმეორების გარეშე არც სამწიფილიანობა აიგება, არც რონდო, არც ექსპოზიცივა და არც რეპრიზა. დამაშვებია შესაძლებელია სერიული კომბინაციების ფარგლებში. ამ სისტემის შესწავლა ძნელი არაა გამომსახველობითი საშუალებების სიმცირის გამო. რაღა თქმა უნდა, იგი ახლოსაც ვერ მივა იმ სირთულეებთან, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით თვისის ზოგადი თეორიის შესწავლის დროს და რომელსაც ჩვენ წლობით ვუფუძვლებთ (რომელიღაც თანამედროვე ევროპელმა კომპოზიტორმა თქვა: „ამ თქვენს სისტემას ჩემ დალასკ ორ საათში შევასწავლიო“). მაგრამ ეს სკოლა მხოლოდ ამის გამო როდია ნიადგამოცლილი. საქმე იააა, რომ იგი პოეტური განწყობილებიდან კი არ რებს სათავეს, არამედ გაანგარიშებებიდან. აქედან გამომდინარე, საჭიროა რამდენიმე ბგერისაგან თემის ისეთიანრი კონსტრუირება, რომ გამოირიცხოს ტონალობის შეგრძნება. თავიდანვე საჭიროა იმ ბგერების გათვალისწინებაც, საიდანაც დაიწყებ პირველსა და მომდევნო სერიებს. მეტრონომულად უნდა გაიანგარიშო რიტმის დაწილადება და ბგერებისა და პაუზების ხანგრძლიობა. ყველაზე რთული კი ისაა, რომ გვერდ უნდა აუარო გამოეორებებს და მოახერხო საერთო ქვერადობისა და ფორმის ინტეგრირად კონსტრუირება, რომ იგი არაფერს არსებულს არ დამეგვანოს. მაგრამ ბუნება სელოვნების ულმოებელია და ე. წ. ავანგარდი (მის მიმდევრებთან ერთად) თავისი მეტრისმეტად ერთფეროვანი ბგერათშეფარდებებით (ამ სიტყვას აქ მუსიკის მაგივრად ვხმარობ) ჩიხში მოექცა. ახლა ბგერათგამომგონებლობის სკოლის განვითარების იმედები ფიზიკაზე — მაგნიტურსა და ელექტრონულ ხელსაწყოებზეა დამყარებული. მაგრამ, აი, რა გამოვა აქედან: რაკი რიტმული და მეტრული ნაგებობების დაცვრა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ანუ შეუძლებელი გახდა წამსზე უფრო მცირე დროში ნოტებისა და პაუზების გამოთვლა, ამდენად, ეს ფუნქცია დავისრა ფირზე ჩამწერ ელექტროხელსაწყოებს. მაშასადამე, საშემსრულებლო ინტერპრეტაცია სწლიად უკუგდებელია. აქ უნდა დავეთანხმო ამერიკელ კომპოზიტორ კოლენდს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს მხოლოდ ერთი შემსრულებლისთვის — აპარატისთვის შექმნილ მუსიკას. ამით ხომ საერთოდ საშემსრულებლო ხელოვნების მოსაპობის საკითხი დგება. დიდკავთონური სისტემიდან მოყოლებული კომპოზიციის ამ უახლესი სკოლის კლასიკოსები არიან: მომბერგი, ვებერნი, ალბან ბერგი, კუნევი, ქსენაკისი, პუსორი, ლუიჯი ნონო, დალაპიკოლა, ბრუნო მადერია, შეფერი (შემდგენელი ვიცინია „დოდეკაფონიის კლასიკოსები“) და სხვა.

აბა, გულსიყურით მოისმინეთ შეფერის წიგნიდან — „დოდეკაფონიის კლასიკოსები“ რამდენიმე დამახასიათებელი ფრაგმენტი და, ვნახით, თუ არ იკითხავთ, — ნუთუ ეს მუსიკაა?

ახლა კვლავ მივებრუნდეთ მესამე პუნქტს, თანამედროვე სკოლების ტექნოლოგიის კრიტიკული გამორჩევის ამოცანებს. მათ წარმოშობასა და ტენდენციებზე ყოველივე უბოთქმულის შემდეგ, საკმაოდ ნათელი უნდა იყოს, თუ რა გველევვა ამოსარჩევად, რას უნდა მივსდევდეთ და რისი უკუგდება მოგვიტანს სიკეთეს.

ესთეტიკურ პლანში კი ამოცანა კიდევ უფრო ნათელია. თანამედროვე მუსიკის



ძირითადი ხაზი (მას მარჯვენა ფრთა დავარქვათ) კვლავაც აგრძელებს ჟანრების, ფორმების (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, კონცერტი, სხვადასხვა სახის ვოკალური ინსტრუმენტული კამერული მუსიკა, აგრეთვე, სიმღერა, საგუნდო და სასტრადო მუსიკა) ახლებით წარმოსახვას. იგი ემყარება, უმეტესად, რეალისტურ პოზიციებს, შემოქმედებით ფანტაზიას, ჩვენი სინამდვილის მოვლენათა საფუძველზე რომ იბადება.

მარცხენა ფრთის ახლანდელი სკოლა (რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი) ქმნის ისეთ ჟანრებსა და ფორმებს, როგორცაა: მუსიკა ინსტრუმენტებისათვის, მუსიკალური და ფიზიკური ხელსაწყოებისათვის — ამ ჟანრებსა და ფორმებს ასე არქმევენ ხოლმე: „ილუსიები“, „კონტრაპუნქტები“, „სტრუქტურები“, „მეტასთაზები“, „სეკვენციები“, „5ნ წრიანი განზომილება“, „კვზურისები“, „ვარიანტები“, „კომპოზიციები“, „აფორიზმები“, „აქორისტიები“, „მოვიმენტები“, „სტუდიები“, „კანტიტეტი“, „აქორიტიები“, „ტრანსიონები“, „რეფრენები“, „კოლები“, „აქტონოგრაფიები“, „როტაციონები“, „ტოპოფონები“, „მობილები“, „ეინდოფონები“, „კომპატიბილიტატი“ და სხვა ამდაგვარი. აქ ჩანაფიქრი და მისი ხორცშესხმა, უმთავრესად, ფორმალური ბგერათვითქმევითაა მამართული. აქედან გამომდინარე, ამჟამად არსებული ასეთი მუსიკალური მიმართულებების იდეურსა და მხატვრულ პლატფორმაზე ადვილია მსჯელობა.

* * *

ახლა კი ჩვენს ახალგაზრდა კომპოზიტორებზე ვისაუბროთ.

ჯ ე მ ა ლ კ ე ჯ ა ყ მ ა ძ ე. კვარტეტი.

ავტორი კონტრასტულად აზროვნებს და მისწრაფის დრამატიზაციისაკენ, რაც მსლავანდება კვარტეტის საერთო განწყობილებაში. ეს დადებითი ნიშანია, მაგრამ კუმპარტი დრამატურების მიღწევა შეიძლება ინტონაციური, რიტმული და ფაქტურული კონტრასტების გზით, რასაც ნაწარმოები მოკლებულია საშუალებების გამიზნული შეუღებულობის გამო. თითქმის ყველა მინამდერი აგებულია ერთნაირ ნახევარტონურ კომპინაციებზე, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ არ ვითარდებიან. ამავე დროს, მათ ზოგადი ხასიათი აქვთ. ამიტომ, მუსიკა უფერულდება და უსახურდება. კვარტეტი დაწერილია ორ ნაწილად: I — გაფართოებული სამწიფილიანი ფორმა მოკლე კოლდა, II — შედგება მინამდერთა ვარიანტებზე აგებული მცირე ეპიზოდებისაგან: Allegro, Vivace, Lento, Tui mosso, Moderato. ამას მოსდევს ისევ Allegro, რომელშიც შეინიშნება დამუშავების ცდა. მაგრამ დამუშავების ნაცვლად ჩნდება ვიკრეველი აზრისა და მიმართულების გაძრაობა (მერვედებით), სადაც არ ვითარდება არაფერი. ციფრი 38 ჩნდება მუსიკის სრულიად უცხო ნაკლები. Tempo primo-ს გატარების შემდეგ (ციფრი 54), თემასთან მიახლოებულ მასალაზე, მცირედმა ფრაგმენტმა ციფრიდან 9. შემდეგ ისევ Lento გამოირეზებიოთ. ისმის კითხვა: რატომ უშვებს ავტორი ზუსტ გამოვრებებს? (ამას უკვე გვიანდელი კლასიციზმიც არ აკეთებდნენ). ხომ ცდილობს იგი მიუახლოვდეს დოდეკაფონიდან გამომდინარე ინტონაციურ სფეროს, დოდეკაფონია კი გამოიციკვას გამოვრებასა და მართებულადაც, რადგან არატონალურ მუსიკაში გამოვრებები უკიდურესად ერთფეროვნულია. მილიანიბაში, ორნაწილიანი საკვარტეტო მუსიკა კვებამაქემ თავისებურ ფორმაში დაწერა: I — სამწიფილიანია, II — რონდოს უახლოვდება და არაა საჭირო მესდარიც იქნებოდა, რომ ამ მუსიკას მივღვეთ როგორც მსხვილი საკვარტეტო ფორმის კლასიკურ ნიმუშს. ის, რომ ახალგაზრდობას ორიგინალური ფორმით უნდა იაყვის აზრების გამოხატვა, დიდად შესაქები საქმეა, მაგრამ იმისთვის, რომ გამოხატო სათქმელი დიდი ფორმის მასშტაბში, აუცილებლად უნდა გაიფართოვო გამომსახველობითი საშუალებების არსენალი, არ უნდა შემოიფარგლო მეთოდური ბარიერითა და სტეპებით, უნდა წერო გულწრფელად, ემოციურად, რაც უნდა ახასიათებდეს კიდევ ყველა ახალგაზრდა მუსიკოსს.

ა ლ ე ქ ს ი შ ა ნ ი ძ ე. Vivace სიმფონიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და დასარტკაში ინსტრუმენტებისათვის. კომპოზიტორი, უკვეყვლად, გრძობს საორკესტრო მუსიკის სპეციფიკას და ერკვევა ინსტრუმენტთა ცალკეული ჯგუფების ფუნქციითა განაწილებაში, ჩანს ავტორის სურვილი — პიესას მიანიჭოს ციცაბო, ვირტოზული საკონცერტო ფორმა, მან ეს ამოცანა დასძლია. სახელწოდება Vivace აქ ბოლომდე არაა გამართლებული, ვინაიდან პიესაში საკმაოდა ტემპური გადახვევები.

მუსიკალურ მასალას რაც შეეხება, იგი ვერაა სათანადოდ შთამბეჭდავი: თქმა



მშრალია, კონსტრუქტიულია, გრაფიკულია, რიტმული მონახაზით გურული სიმღერების მავგარია. მოძრაობა მოტორულია, ფრასებით არაბუნებრივადა აქცენტირებულია თუმა ვადაღაგა ყალიბდება, იგი კი არ ვითარდება, არამედ წყვეტილადა პერიფრაზირებული. შემდეგ ეპიზოდს იწყებს როიალი — სამტაქტიანი აკომპანიმენტი აწყობილია ჩინუგურის ყაიდაზე და რატომღაც მალევე იცვლის ხასიათს (ისეთი შობაბედობა იქმნება, თითქოს ავტორის ეს ნაწყვეტი არ მოეწონა და უმაღლე მიატოვა). შემდეგ მოდის ქორალის მავგარი, მდორე, ნაკლებ გამოხასხველი თუმა ვილონიზოთავის, ციფრიდან 13 მეორე ვილონიზოები იწყებენ ახალ მუსიკას მეთექვსმეტედი ნოტებით, როიალის თანხლებით. სამწუხაროდ, აქ კილოთა სტრუქტურა მერყეობს და ამიტომ მოძრაობა სავარჯიშოს ემსგავსება. 30-ე გვერდზე კვლავ ახალი ეპიზოდი — პირველი ვილონიზოები ასრულებენ პარალელურ ნინებს (ალბათ, იმიტომ, რომ ოქტავეები ახლა მოდამი არაა). ეს რვა ტაქტი ნაწარმოებს არაფერს მატებს, მხოლოდ იწყებს გულსატკენ გაკვირვებას. 34-ე გვერდზე ჩნდება ისევ ახალი ფაქტურა: როიალის ხუთი ტაქტი რაღაცისთვის შემხადებას (შესავალს) მოგაგონებთ, ეს რაღაცა კი გაურკვეველი რჩება. შემდეგ მოდის Andantino, რომელიც აგრეთვე შესავლისებური ხასიათისაა. ამას მოსდის პირველი თემის მავგარი რაღაც, ოღონდ უკვე სახეცვლილი რიტმითა და ნახტომებისებურად შემდეგ აკორდია და ნაწარმოების დასასრულიც.

როიალი სუსტადაა გამოყენებული. იგი ან ოქტავით უკრავს, ან აკორდებით დასარტყამ საკრავთა დასახმარებლად. არ ღირდა ამ მდიდარი ინსტრუმენტის ასეთი გალარობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომპოზიტორი მომავალ ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში გააუმჯობესებს მასალის ხარისხსა და მას უფრო მწყობრ ტორმას მისცემს. ამაში იტყვს ნუ შევიტანთ, რადგან, ა. შანიძე ავტორია კარგი ვოკალური ციქლისა, სადაც მან გამოამყვანა გარკვეული კომპოზიტორული მონაკვეთი.

ე ლ ი ზ ბ ა რ ლ ო მ დ ა რ ი ძ ე. „კამერული მუსიკა 23 სიმებიანი ინსტრუმენტისათვის“. თვით სათაურში ვხედავ ორ შეცდომას.

პირველი: 23 სიმებიანი ინსტრუმენტი კამერული შემადგენლობა კი არაა, უკვე სიმებიანი ორკესტრია. ავტორმა ისურვა ისინი განხლებიან ორიგინალურად, რის შედეგადაც I ვილონიოს პირველი პულტი სულ ბოლოში აღმოჩნდა. ჩანდაფიქრი გაუგებარია. მეორე შეცდომაა — სიტყვა მუსიკა. ესაა სხვადასხვაგვარი ტექნიკური ხერხით შექმნილი ბგერითი კომბინაცია ხემიანი საკრავებისათვის. ამას ადასტურებენ პარტიტურაში აღნიშნული მითითებანი:

1. დაკრა კომპლექსი ნახევარტონებში.
2. წყავლ-წყავლად შემავალი ხელოვნური ფლაუტლები (განურჩევლად შებებრებისა — ა. ბ.).
3. აკორდში მეთე ვილონი უფრო მაღლა უკრავს, ვიდრე მეშვიდე და მერვე. მეოთხრმეტე კი უფრო მაღლა, ვიდრე მეცხრე. მაგრამ ეს მხოლოდ ორ აკორდშია, შემდეგ კი — ჩვეულებისამებრ (პრინციპი ბოლომდე უნდა დავიცვაო, სხვაინარად უპრინციპობა გამოვიცა).
4. ტრემოლო ერთ-ერთი სიმის სადგარს იქით.
5. ყველაზე მაღალი ბგერის ტრემოლო.
6. ხემის გასმა პულტზე.
7. ორ სიმზე დაკრა სადგარისა და გრიფის ქვეშ.
8. Col legno სადგარს იქით.
9. აღებულ იქნეს ყველაზე მაღალი ბგერა (თუკი ასეთი რამ არსებობს — ა. ბ.).
10. დაკრა გრიფზე.
11. ეფექტური დარტყმა თითის წვერით.
12. შიშველი ხელით დარტყმა სიმებზე.
13. არაქეიო სადგარის იქით — ხემის დარტყმით.
14. ხემით დარტყმა სიმებზე.

წვეულებრივი ლეგატოს, სტაკატოს, სპიკატოს, სალტანდოს, პიციკატოს გარდა პარტიტურაში უხვადაა მოტიანილი სხვა ხერხებიც. აქვე მოვიტან ასეთი ბგერათიების მავალიის კომპოზიტორ ი. ბარდანაშვილის პოემა-დილოგიდან:

1. როიალი — გლისანდო თითით.
2. როიალი — სიმის მიქერა.
3. როიალი — თითით სიმზე...
4. როიალი — ლურხნით სიმზე.
5. როიალი — ვიბრატო-გლისანდო სიმზე.
6. როიალი — ტრემოლო თითით.
7. როიალი — გლისანდირება ხელისგულით.
8. როიალი — დაკრა მუნდსტუტებში (თავისუფალი რიტმული ნახაზი).
9. როიალი — ქალის სწრაფი ლამარჯის მიხამვახავით...
10. როიალი — სტვენა.

11. როალი — ტაშ.
12. როალი — ასისტენტი ხელისგულს მაკრად აქვრს სიმების გასწვრივ.
13. უნდა შეიქმნას როალისა და ვიოლონჩლოს შერკინების შობაგედლებმა, ვოლტორნები კი ან პაქტობის კომენტატორ-პუბლიკად უნდა წარმოჩნდეს (მაკრამ თვით პუბლიკასაც ესაქიროება კომენტატორი, სხვაგვარად იგი ვერაფერს ვერ გაიგებს — ა. ბ.).
14. ხელისგულით კორპუსზე...
15. როალი — ზედა ნაკვეთურის მოქარა.

თუკი ბეგრათგამოცემის ამდაგვარი საშუალებები განვითარდება, მაშინ პარტიკურის გვერდები მოუნდება იმის მითითებას, თუ ვინ, რითი და რაზე უნდა დაარტყას. ვუბრუნდები ჯ. ლომდარიძის ნაწარმოებს:

პიესა იწყება ადაგიოთი (ვერეთწოდებული საგალობელა), რომელიც რამდენიმე ადაგილს მიორდება, მაკრამ მას არც ხასიათით, არც სტილით არაფერი აქვს საერთო სხვა დანარჩენთან. ამას მოწმობს თუნდაც დასაწყისი შემდგომი ეპიზოდისა, —

შემდეგ მოდის ვიოლონჩლოს რეიტატიული კადენცია, რომელიც არაფრით უკავშირდება წინამორბედ ეპიზოდს. ესაა ნიმუში სტანდარტული მოდიფიცირებული მელოდიისა. ამ ტიპის მელოდიას „მოარული სიცარიელე“ შეიძლება რომ ვუწოდოთ ამის შემდეგ რეიტრეობით მოდის ფრაზები ორი ჩელოსი, ორი ვიოლინისი, ორი ალტისა და ა. შ. და სულ ასეთი, მოსაწყენი, უღიმღამო მუსიკაა. მეორე ნაწილი იგივე ფინალია აქ არის ისეთი ფორმალური მელოდიური ფრაზა, რომელიც შემდეგ თავდაყირა დდება — დასასრულიდან დასაწყისისკენ ბრუნდება. ეს ფრაზა როგორც გინდა ისე ატრიალავ, შობაგედლებმა მაინც ერთნაირია. მეტიც, აქ არ არსებობს ამოსავალი, საწყისი მასალა. დაბარჩენი — მოძრაობის მექანიკაა. ამ პიესისა — „ტექნიკური სავარჯიშოების კრებულში“ — გამოყენებულია ხერხები, რომელთა შესრულება შეუძლებელია და, აგრეთვე, ისეთი ხერხებიც, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია. ამ უკანასკნელთაგან მოვიყვან მაგალითებს: II ნაწილი, ფინალი Allegro vivacissimo 6/8 Vivacissimo მეტრონომებში არ არის. მაკრამ თუ ავიღებთ უბრალოდ Allegro vivace-ს, მაშინ მივიღებთ 1f0 დარტყმას მეოთხედზე. გამოდის, რომ ამ ტემპში მეგრედი ნოტები ევლავაზე სწრაფია, მეტეფემეტედები კი წარმოდგენილია მხოლოდ ტრემოლოთით. ასე, მაგალითად, 51-ე ციფრში ვიოლონჩლებმა უნდა დაუკრან მეტეფემეტედები. თანაც, დიდინტერვალაინი ნახტომებში. 52-ე და 58-ე ციფრებში კი ეოლინგობთან ეხედავთ ტაქტში 18 და 28 ნოტს. ამის გაკეთება მხოლოდ ელექტრონულ ხელსაწყოს შეუძლია. აქ ავტორს ავტომატის იმედი ჰქონია, ან საქმე გვაქვს დაუდევრობასა თუ უცოდინარობასთან.

გულსატკენია, რომ ნიჭიერი კომპოზიტორი, რომელსაც ჯერჯერობით რეალური შემოქმედებითი მარაგი არ გააჩნია, გატაცებულია ტექნოლოგიური კვივილიზმისტიკით, რითაც გამოირჩევა თავის სულისმიერ იმპულსებს, თავის პიროვნებას. გამორჩევა მისა, რაც მიუძღვრება აქვს ჩანაფიქრითაც და მასალითაც ძალზე საკვლისხმო ნაწარნოებში — კონცერტში ფაგოტისა და ორკესტრისათვის. იმავე ავტორის საფორტეპიანო სონატის განხილვა სხვათათვის მიმინდვია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს პიესა (რონდოს ფორმის მაგვარ ნაწარმოებს სონატას ვერ ვუწოდებ) არ მომეწონა ზუსტი განეგორებების გამო, I ნაწილის მასალა ბოლოში უბრალოდ გადაწერილია. ეს პიესა პირველად და, ჩემი აზრით, უკანასკნელადაც შესრულდა.

ლილი შავერსაშვილი — ვოკალური ციკლი: ინტონაციური წყობასა და სალხურობიდან მომავალი სხვა ნიშანდობლივი თვისებების მარჯვედ გამოყენების უნარმა კომპოზიტორს საშუალება მისცა მიეღწია სტილისტური ერთიანობისათვის. გულწრფელია კომპოზიტორის ჩანაფიქრი და გამოხატავლობითი ხერხებიც (ფაქტურა ლაკონიურია და სახიერი), ამიტომ ციკლმა ბევრი რამ შობაგედდავია, რაც კმაყოფილების გრძობას იწვევს. ლ. შავერსაშვილის შემოქმედებითი ხელწერა სულ უფრო და უფრო მყარდება.

ვახტანგ ტყეშელაშვილი — ვოკალური ციკლი. ციკლი ძალიან კარგად აღიქმება, მახვილგანაერული, თავისებური და ხატოვანა კილოურ-პარმონიული მხარე. ფაქტურა საზოვანია, ყველა ნიშნით უახლოვდება (ხალხურს, ოღონდ საფორტეპიანო მაინც არაა. რიტმულ აგებულებაში, რამდენადმე, ერთფეროვნება შეინიშნება, თითქმის ყველა ნაწილი სამწილიადა. ერთი მხრივ, ეს ამთლიანება, მეორე მხრივ, აერთიანოვნებს მათ. როგორც ჩანს, საჭიროა ფაქტურის გამდიდრება. იმისთანა ნაწარმოებებში, როგორცაა ლ. შავერსაშვილის, ტულუზაძის, სიხარულიძის, შანიძის, უფრო ადრე ჩლიძისა და შველხაშვილის ვოკალური ციკლები, ვლინდება ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების განმასხვავებელი ნიშ-



ნები. ავტორები ამჟღავნებენ პოეტურ ტექსტთან ორიგინალურ მიდგომასაც, ეს ნაწარმოებები მოკლები ყურადღებას იპყრობენ ეროვნული კოლორიტის თავისებურებებით, მანერა-სტანდარტის თავისებურებების გადმოცემის ცდა პროფესიული მუსიკის ხერხებით და ფორმებით. რამდენადაც დასაინათა, რომ ეს ნაწარმოებები, უმეტესად, მთის ფოლკლორის ყაიდასა და წყაროა. საინტერესო იქნებოდა უნარიანად და სერიოზულად მივდგომოდით ქალაქურ ფოლკლორსაც და არ დაგვეთმო იგი მხოლოდ საესტრადო მუსიკისათვის.

ბორის თბილელი. ტრიბტიკი სასულე კინტეტისათვის. ამ მუსიკალურ მასალის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ტრიბტიკი ინტერესს აქვს არც აბრავს. იგი სუსტადაა გაორკესტრებული. ინსტრუმენტების ფუნქციები საკამარისად არაა გამოკვეთილი, კომპლექსში კი მათი კლერადობა არ გამოირჩევა არც გამოძიებულობითა და არც სიმწკრივეთ.

ახლა შევხებით ორკესტრისა და ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის შექმნილ რამდენიმე ნაწარმოებს. საჭიროდ ვთვლი დავახასიათო ისინი ერთად, რადგან ეს ნაწარმოებები ერთნაირი პრინციპითაა აგებული.

ამ ნაწარმოებთა ავტორები არიან გიორგი ჯაფარიძე, გიორგი ჩლაიძე, მისივე ოძელი, მანანა ცერცვაძე, ელიზბარ ლომდარიძე, ალექსი შანიძე, ჯუმბერ კეჭავაძე, იოსებ ბარდანიშვილი, რუბენ კაჭილავაძე.

ამ ჟანრის ნაწარმოებები მეტისმეტად ერთფეროვანია. ერთ ავტორს მეორისგან ვერ გამოარჩევ. მეტიც, ამ ავტორების ნაწარმოებები არაფრით განსხვავდება სხვა რესპუბლიკისა და ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან, რომლებიც ჩვენ მრავალჯერს მოგვისმენია. ასეთი უსახურობა, უწინარეს ყოველისა, გამოიწვია მსოფლიო მუსიკალური კულტურის მრავალი საჭირო და მდიდარი მსატრეო საშუალების უარყოფამ, რამაც, უდავოდ, შეზღუდა მოქმედებისა და არჩევანის თავისუფლება.

იმის შიშით, აქოდა, წარსულის რომელიმე დიდოსტატის გავლენა არ განვიცადოთ, თავის დასაზღვევად, ხაზი გადაუსვენ მრავალ საშუალებას და ბევრნი მთავრად უკიდურესობაში ჩავარდნენ — უნებლიედ (უფრო სწორად, უნებისყოფობის გამო) ხელი მიჰყვეს ერთმანეთისა და თანამედროვე მუსიკალური მიმართულებების ცუდი, დამტკამებული ნიმუშების მიბაძვას, ასეთი ტყვეობისა უნდა ეწინააღმდეგებოთ უნიჭი ან საშუალო ნიჭიერების მუსიკოსებს, რომლებიც ყოველთვის გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ნიჭიერი. მაგრამ ნიჭიერმა კომპოზიტორმა არ უნდა თქვას უარი ნაირგვაროვან საშუალებებზე, პირიქით, მას დასჭირდება და გამოადგება — ძველიც, ახალიც, საშუალოც, კარგიც და ცუდი საშუალებებიც კი. ნიჭიერი კაცი ყოველთვის მოძებნის თავისთვის საჭიროებს. ზოგჯერ გონია, რომ თითქმის ვიღაცას საიდუმლო და მკაცრი ბრძანება გაუცნიათ, — არამც და არამც არ გამოიყენო ტერციული და სექტური თანაფარდობები, ასევე, აკრძალეთ წმინდა კვარტების, კვინტებისა და ოქტავების გამოყენებამ. მღერად მხოლოდ იმისა და ცოცხალ რიტმებზეც შეზღუდვებია დაწესებული. ზოგიერთი ნაწარმოების გაანალიზების შედეგად დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდა ავტორები იფარდებიან სტერეოტიპული თანაფარდობებითა და მათი მიმოქცევებით სექტებისა და ნონების, უხვად გამოიყენებულ მთელტონური ბეგეათრიების შემცირებული და გადიდებული ინტერვალებით. დანარჩენი ინტერვალები ფორირებენ მხოლოდ რეკონტრების შესვლების მიზნით, რის გარეშე ნაწარმოები ვერ შეიქმნება. უმეტესობა თემებისა (უფრო სწორად, მინამეცხებისა) შედგება სამი-ხუთი ნოტიასაგან, რომლებიც უსადაგებელია კონსტრუქტიულად — ნახევარტონებად ან სექტებითად და ნონებად. ზოგჯერ ძნელი გასარკვევია თემა ეს თუ არა, მაგრამ როცა ამოსავალ მასალად ვერაფერს სხვას ვერ მიიჩნევ, მაშინ მას იძულებით შეარქმევ თემას.

როგორც წესი, არც ერთი მათგანი თემას არ აწვითარებს, არამედ მუქალიურად სახეს უცვლის და ნაწილწილ იმეორებს. რაკი მუსიკა თემატურად და მელოდურად არ ვითარდება, იგი ადგილიდან არ იძვრის (ადგილზე სირბილს უფრო ჰგავს), მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ნაირნაირ ტემპებს, რიტმებსა და სონორულ ხერხს იყენებენ. მუსიკა დროში განფენილი შინაგანი ენერგიით მოძრაობს (ესთეტიკური გავებით), გარეგანი მოტორული ძალა მას ვერ აამოქმედებს (იგი მხოლოდ მოძრაობის დაშლარსა და საშუალებას). ძალზე ხშირად — ფაქტურული მოძრაობა თვითმიზნურია. ზემოთ დასახელებული ყველა ავტორი ერთნაირ ხერხებს იყენებს. მაგალითად: ინსტრუმენტების რეგულირებისთვის განკუთვნილია სხვადასხვა მიმართულების წერტილ-წერტილი ფი-



გურაციები, რომლებიც ქვნიან კონკრეტულ ქვეყნებს — ხმაურს. ყოველივე ამას მოედრუნე და გამაყრუებელი დასარტყამი საკრავებიც ემატება. ასევე ერთმანეთს გლისანდირება ტრელებსა და სიმებიანებზე. გამართლებული არაა ფორმის აგება სა- სტეცელიო მასალის მოკლე მონაკვეთებისაგან, რადგან ძალიან ხშირად ეს მონაკვეთები ერთმანეთს ვერ ვითვისებიათ, რაც ნაწარმოების ფორმას შლის. ფორმა და შინაარსი კი ვანუყოფელი უნდა იყოს.

ორკესტრიზი გულვი, მოქდარუნე და ხმაურანი დასარტყამი საკრავებისა და სხვა გარეგნული ფექტების წარამარა გამოყენება მუსიკას სძენს გამოყენებითი ხელოვნების თვისებებს. იგი აზარსებულის ილუსტრაციას წარმოადგენს, ასეთი ხელოვნება სერიო- ულ მოვლენად ვერ გასაღდება, იგი ვერ ასდენს ღრმა შთაბეჭდილებას. ძალზე ხშირად გვხვდება ისეთი მელიოდური ფრაზები, რომლებიც უახროდ, ყოველგვარი ინტონა- ციური და რიტმული მიმართულების გარეშე, მოძრაობენ ინტერვალიდან ინტერვალიამ- დე, როგორც „მოარული სიციარვილე“.

ამრიგად, მოკლე გამოვთქვი კრიტიკული მოსაზრებები ზემოთ დასახელებულ ავტორთა ნაწარმოებებზე. რაღა თქმა უნდა, ყოველ მათგანს თავისი ღირსებაცა აქვს. მაგალითად, გიორგი ჩლაიძეს გააჩნია ფანტაზია, მისი ნაწარმოები შედარებით უკეთაა გაორტეტრებული, მასალაც უფრო მკაფიოა. ვერმანე ჯაფარიძის ნაწარმოებიდან უფრო ხშირად გამოიყოფის ნათელი და საინტერესო მელიოდური ფრაზები. მისი თემები, ხა- ზიათათა და რიტმით, უფრო ახლთა ხალხურთან, მანანა ცერცვაძის ნაწარმოებს, კი უფრო ლაქონური ფორმა აქვს და ნაწილებსაც უფრო ლოგიკურად აკავშირებს ერთმა- ნეთთან. მიხეილ ოქოსი ინტონაციურ სიმეიფეს ერთგვარად შევიის მასალის ვარი- რების უნარი. ოსებ ბარდაშვილის დიდი ნიჭსა და შესაძლებლობებზე თვალახინდ მეტყველებს მისი წინანდელი ნამუშევარი — მოსე იბნ ვზრას (XI ს.) ტექსტზე შექმ- ნილი კანტატა. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ეს ბრწყინვალე, თვითმყოფადი ნაწარმოებია. რუბენ კაგილოტის ადრინდელ ნამუშევრებს კარგად ვიცნობ და დადებით შეფასებას ვაძლევ. კვარტეტი კი, ჩემი აზრით, ნახტომია არასწორი მიმართულებით. დ. მსტა- კოვის არ უყვარდა თემატურად ასეთი მშრალი და არატონალური მუსიკა. მეჭვბუ- ბა, რომ მისდამი მიძღვნილი ეს ნაწარმოები მოსწონებოდა.

ახლა აღვნიშნავ სხვა ტიპისა და ყაიძის ნაწარმოებებს. ზოგიერთმა მათგანმა წა- რმატება მოიპოვა და ასალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების მშვენივრადაც კი იქცა.

უპირველესად, აღვნიშნავ ი რ ა კ ლ ე გ ა ბ ი ჩ ვ ა ძ ი ს საფორტეპიანო კონცერტს. ამ ნაწარმოებში აშკარადაა გამოკვეთილი თემები და იგრძნობა მათი განვითარება. ჩანს მდიდარი ფაქტურული გამომჯობელობა. კომპოზიტორი ლოგიკურად იყენებს ტონა- ლურ და კლოურ პალიტრას და მათ პოლიტონალურსა და პოლიკლოურ საპექტებში უნარიანად აბირისპირებს. მარტვიე და რთული ქვეყნადობანი დასახული ამოცანის შე- საბამისადაა გამოყენებული. სამივე ნაწილი საინტერესოა და მრავალფეროვანი. პირ- ველი ნაწილი ენერგიული და შინაარსიანია (ამასთან, იგი მეტისმეტად ლაქონურია), მეორე ნაწილს შებრტის ტრადიციების იერი დაჰკრავს, მაგრამ სავსებით თავისებურ- ისა და რაღა მთავარია, ეს კარგი მუსიკაა. მესამე ნაწილი ფორმითა და ფაქტურის გან- ვითარებით მთლიანია და შებრტული. აქ საჭიროა მივუთითოთ ფინალის მეორე ნახევარ- ში დაწვებულ შედარებაზე. ორკესტრი მეტისმეტად გადატვირთულია და ამიტომ რთოა- ლის პასაჟური ქვეყნადობა იკარგება. ასეთ შემთხვევებში ორკესტრს (როგორც ამას დილხატბეგი გვასწავლიან) მხოლოდ აკორდებაც ვეალებს. დიდად ხანაქებო და ძალზე სასიამოვნოა, რომ კომპოზიტორი ასეთი მოწიწებითა და სიყვარულით მოეკიდა რთო- აღს. მთელი ფაქტურა პიანისტურია, პლასტიკურია, გამომჯობელებული. ჩანს, რომ ირა- კლი გაბინავამ კომპოზიტორიყა და პიანისტიც. ამიტომ მეოეიდა იგი ასეთი მოკრ- ძალებით ამ შესანიშნავ ინსტრუმენტს და მხოლოდ ერთხელ, ისიც დროულად, თავს ნება მისცა „ეპვიანა“ მისი სიძებნასთვის.

მეორე წარმატება მიხვილ ბარენზოიმის სავიოლინო კონცერტი გახ- ლავით. ნამდვილი მუსიკა პირველი ტაქტებიდანვე იგრძნობა ხოლმე ამ შემთხვევაშიც ასეა. მაყურებელს პირველი ფრაზებიდანვე ეუფლება მუსიკის შესხატვისი გავსებაც. ბარენზოიმმა ნაწარმოები დრამატულ პლანში ჩაიფიქრა და შესძლო კიდევ დაეძლია ეს ძნელი ამოცანა. კონცერტის მუსიკიდან გამოსჭვივის რადიკალირი ელემენტური ამაჟი, მეგილიონოვა მისი მისრობელი. აქ მჭერტეტლობაცაა და პროტესტის ეროვკარი აფეთქ- ებებიც. კონცერტის ჟანრში დრამატისში იშვიათია, მაგრამ შესაძლებელი. ოლონდ არ



უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს ვირტუოზული საკონცერტო პიესაა. ავტორი ნაწარმოების ზოგიერთი, tutti-ს დროს ზედმეტად ადრამატულუბს (თითქმის ტრაგედია), რადიკალურ საჭირო არაა, რადგან ამით ინსტრუმენტი, მით უმეტეს, ვიოლინო, ჩრდილში ვკცევა (კარგი მაგალითია შასონის პიესა. მასში შინაგანი დრამატიზმი იგრძნობა. ბგერათა ნაკადი კი გარეგნულად რბილია, მაგრამ ძლიერია). ვფიქრობ, რომ თუ კომპოზიტორი რამდენიმე დადანიზავს ორკესტრის როლს და ელერადობას, ეს კონცერტი უღაფრად სარეპერტურაო ნაწარმოები გახდება.

კომპოზიტორი ბარნობიმი ისევე როგორც ირაკლი გაბიჩავაძე, ოსტატურად სარგებლობს ტრანსლოზითა და კილოთი, მაგრამ მისი წარმატების საფუძველი მაინც წრფელი, შთაბეჭედავი მელოდიური მეტყველებაა.

ჩვენი ახალგაზრდები ტრადიციული პლანის ნაწარმოებებსაც წერენ. ესენია: ჭულუხადის სიმფონია, ჩეპელიანსკის „აფხაზური უერტიურა“ და ხაბალოვას სიმფონიის ფინალი. სასიამოვნოა, რომ პლენუმზე პირველად წარმოსადგენ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლები. ჭულუხადის ნაწარმოების თემები გამსჭვალულია ხალხურობით. ეს თემები კარგად, გემოვნებითაა მოწოდებული. პარმონიული ენაც საკმაოდ სახიერი და თვითმყვარია, მაგრამ ნაწარმოებში დრამატურების ნასახიც არაა და ამით იგი სიმფონიის მოთხოვნილებებს არამც და არამც არ აკმაყოფილებს. ნაწარმოები აღიქმება, როგორც სამი ცვეკისაგან შემდგარი საკმაოდ კოლორიტული სიუჟეტი.

ჩეპელიანსკის უერტიურაც კოლორიტულია, მისი თემატიკა ცოცხალია და ნათელი, მაგრამ მეტისმეტად კულტურია და სუსტადაა გაორკესტრებული.

შინაიად ხაბალოვას სიმფონიის ფინალი მწყობრი, ტემპერამენტულია და ფორმის თვალსაზრისით კარგადაა გაშლილი. თუ ავტორი გაიაზრებს მას როგორც ცალკე პიესას, იგი შეიძლება წარმატებით შესრულდეს ხოლმე საკონცერტო რეპერტუარში. ხ. ხაბალოვას შემოქმედებამო ისური ხალხური ელემენტები მკაფიოდ და თავისებურად ვლინდება.

შეუძლებელია, რომ ჩვენს შესანიშნავ, ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსებს არა ჰქონდეთ შექმნილი კიდევ სხვა საინტერესო (იქნებ სულ სხვა სტილისაც) ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ არ გამოაქვთ საზოგადოების სამსჯავროზე.

ჩვენი მშვენიერი ახალგაზრდობა, რომელიც ხელს ჰკიდებს წმინდა საქმეს — მუსიკას შეუძლებელია იყოს გართული მხოლოდ ინტერვალებისა და რიტმის გამთვლელით, რითაც ხარკს უხდინა იმ მიღწერ ტენდენციებს, რომლებსაც ჩვენს ეროვნულ მუსიკალურ კულტურასთან საერთო არაფერი აქვთ.

ახალგაზრდობამ (ამ ასაკში ანამდილ დიდოსტატებს უკვე შექმნილი ჰქონდათ შესანიშნავი ნაწარმოებების მთელი წყება) კარგად უნდა იცოდეს, რომ მას მემკვიდრეობით გადაეცემა საოპერო თეატრი, ბალეტი, სიმფონიური ორკესტრები, საგუნდო კოლექტივები, კამერული ანსამბლები, ოპერეტა, ესტრადა, თვითშემოქმედება, აგრეთვე, აღმზრდელიობით და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. ჩვენი ახალგაზრდობა, ჯერჯერობით, ვალშია. მან ჯერ ცოტა რამ შეექმნა. მას ჯერ ყველა ჟანრში არც უთქვამს თავისი სიყვავე, ყოველი ჟანრი კი სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. როდისღა, თუ არა ღა? — შემოქმედებითი ძალთა გაფურჩქნების დროს?

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ — უფროს კოლეგებს, პედაგოგ-დამრიგებლებს მეტა ყურადღება გვმართებს მათდამი, ჩვენ კი ნაკლებად ვზრუნავთ მშობლიური ხელოვნების სხვათმდე დღეზე. ცოტას ვფიქრობთ ახალგაზრდა თაობის მართებულ აღზრდაზე. არ ვუჩვენებთ სწორ გზას, მეტიც — ზოგჯერ მცდარ გეზსაც ვაძლევთ ხოლმე. ამ თვალსაზრისითაც განუზომლად დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა სულიერ შვილთა, მომავლის მიმართ.

ხელოვნებას თავისი უტყუარი, ნაცადი გზები აქვს. ამ გზების შესახებ ყველა დროის დიდმა მუსიკოსებმა სიტყვითაც და მუსიკითაც ბევრი რამ თქვეს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს:

„სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა“, — ამ, სამი დიდი პრინციპი ხელოვნების ყველა ნაწარმოების მშვენიერებისა.



...ბანუოჯოდა დიღია ჩაენი პასუხისმგებლობა სულიერ შვილთა, მომავლის მიმართ...

ახალგაზრდა კომპოზიტორების ფემოქამება

ნოდარ გაბუნია

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

ჩვენ მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდა კომპოზიტორთა პლენუმი, რომელიც მარტის დამლევს და აპრილს პირველ რიცხვებში შედგა თბილისში.

ამ დღეებში ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცა უფრო ახლოს გასცნობოდა ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობას, პლენუმის მუშაობას მოსკოვიდან, კიევიდან და სხვა ქალაქებიდან საგანგებოდ მოწვეული სტუმრებიც დაესწრნენ.

მსმენელს თვალწინ საკმაოდ მრავალფეროვანი მუსიკალური „პანორამა“ გადაეშალა. სამწუხაროდ, საერთო სურათის სისრულე აკლდა, რადგან სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოდგენილი იყო ზოგი ავტორი, მაგალითად, თ. ბაკურაძე, მ. შულღიაშვილი.

მიუხედავად ამისა, შემოითავაზებულმა მუსიკალურმა პროგრამამ საკმარისი მასალა მოგვაწოდა, რომ გვეჩვენა მის აქსა თუ კარგზე, შთაბეჭდილება შეგვქმნიდა იმის შესახებ, თუ რა შთაავრებს, რა ასულდგმულებს, რა ტენდენციები ამობრავებს ჩვენს ახალგაზრდობას, საითყვანა მიმართული მისი შემოქმედებითი ევოლუცია.

საერთო პროგნოზი სასიკეთოა და დამამედებელი, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ზოგადი შთაბეჭდილებით დაკვა-მაყოფილებულიყავით და მოსმენილის კრიტიკული შეფასება არ გვეცადა.

სწორედ ამ მიზნით მსურს მივაპყრო მკითხველის ყურადღება ჩემ ზოგ მოსაზრებას, თუმცა, წინასწარ აღვნიშნავ, რომ მუსიკის შეფასება, საზოგადოდ, მეტად რთულ ამოცანად მიმჩნევა. ამაში შეიძლება ბევრი არც დამეთანხმოს. მუსიკის მოყვარულნი, მაგალითად, ამ ამოცანას ძალიან იოლად წყვეტენ. კატეგორიული ტონი — მელომანთა — დამახასიათებელ თვისებად იქცა. „ერთადერთი ნამდვილი მუსიკა ჯაზია“. — გულდაჯერებულად ამბობს ზოგიერთი ახალგაზრდა და გულუბრ-

ყვილოდ გულისხმობს საესტრადო მუსიკას. ზოგი კი თავმოპოვნედ აცხადებს: „მე თქვენი კლასიკური მუსიკისა არაფერი გამგებია“ — „შონბერგი, ალბან ბერგი, ვებერნი“ — საიდუმლო გამომეტყველებითა და დიდმნიშვნელოვანი პრონონსით ასახელებს მისთვის უცნობ ავტორებს ახალგაზრდა მეცნიერ-მუსიკაი, რომელიც გამოთვლით ცენტრში მოღლისხმება საორღანო — ნ. გ.) მუსიკა“ — სადად, მაგრამ, ამავე დროს, შინაგანი რწმენით აღნიშნავს კიბერნეტიკოსი. „სხვათა შორის, ძალიან მიყვარს გერშვინი“ — ფამილარულად აღიარებს ახალგაზრდა ლიტერატორი, რომელსაც სურს ამ ერთ სახელში გააერთიანოს თავისი მისწრაფება, როგორც კლასიკური, ისევე ჯაზური და საერთოდ. თანამედროვე მუსიკისადმი. „მუსიკა უმელოდოდ დაუმეებელია“ — კატეგორიული ტონით „მჯერობა“ ზოგიერთი მუსიკისმცოდნე.

დროა შევერდე, თორემ, ვატყობ, მოყვარულთა რიგებიდან სპეცილისტების ბანაკში შევიჭერი.

ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებაში, რატომღაც, ყოველთვის იყო გავრცელებული აზრი, თითქოს მუსიკა ისეთ მოვლენათა რიგს მიეკუთვნებოდეს, რომელიც ყველასათვის და ყოველმხრივ მისაწვდომნი უნდა იყვნენ რაიმე განსაკუთრებულ წინასწარი მომზადების გარეშეც.

მაგრამ ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნებით, ვიტყვოდი, რომ დაუსაბუთებლობა და ფამილარობა მარტო „დილუტანტს“ არ ჩვევია. სამწუხაროდ, ამით ხშირად „ანტიდილუტანტიც“ ცოდავს. ჩვენი „ანტიდილუტანტი“ — მუსიკისმცოდნე, კომპოზიტორი, შემსრულებელი, — საზომად უმეტეს შემთხვევაში რაიმე მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის საკუთარ ვარიანტს მიიჩნევს. ამ საზომით მიღის იგი პიანისტის, დირიჟორის ან კომპოზიტორის ახალი ქმნილების მოასმენად და მოსმენილში თავისი წინასწარ ნააზრვის დადას-

ტურებას ეძიებს. ბუნებრივია, რომ მისი შეფასება ამის გამო სწორად ცალმხრივია და სუბიექტური.

მაგრამ საერთოდ კი შესაძლებელია ობიექტური ვიყო შეფასებისა? მით უფრო, თუ ის, ვინც ამდაგვარ პასუხის-მგებლობას კისრულობს, თვით არის სელოვანი და ისეთ მხატვრულ პრინციპს იზიარებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში სხვის ხას უბიძგისპირდება? სად არის ის ზღვარი, სადაც სუბიექტური და ობიექტური მონაცვლეობენ? არავინაა თუ არა შეფასების იმდენად ფართო საზომი, რომელიც „საერთო ჯერადი“ იქნებოდა ყველა მოვლენისთვისა?

ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოები შევნიშნავდი განვიხილოთ, როგორც გარკვეულ გამოშასხველ ელემენტთა საფუძველზე აღმოცენებული სისტემა. ამ ელემენტთა თანაბარებობა შემთხვევითი როლია. ეს ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია „მინავანი კომპოზიციის“ ლოგიკით და კანონზომიერებებით, ელემენტთა „სიმრავლე“ მხატვრულად მოწყობრივებულია. სწორად აზიტიმ გვაქვს საქმე სისტემასთან. შეიძლება ჩვენს ხელს გვაძლევდეს, ან, პირიქით, სულაც არ გვაძლევდეს ხელს თავისება, რომლითაც „დამუხტულია“ ესა თუ ის ელემენტი ანა თუ იმ კონტექსტში. ამაზე კამათი ძველია, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირ შეუძლებელიც. ერთი მხრივ კონკრეტულ დიპტირესებს იჩენს ბეჭდათა ტექნიკური ბუნებითი და შედარებით გულგრილია ბგერების რიტმული ორგანიზების სფეროში. სხვა კი, შესაძლოა, ისწავლიდეს წონასწორობა დაიცავს მუსიკალურ კომპონენტებს შორის. ცხადია, საქმე გვექნება განსხვავებულ შემოქმედებით პრინციპებთან. ფიქრობ, საწყის ეტაპზე ობიექტურის საფუძველს შეადგენს შეფასება მხრივული სისტემის ფარგლებში, მიცემული მხატვრული პრინციპის „სახელები“ მეცხრე მთელიც. ყურადღურის ღირსია იტალიის ხელოვნებისმცოდნის ლიონელო ვენტურის სიტყვები: „...იმის გასაგებად, თუ რას მიაქვია ხელოვნება, აუცილებელია იცოდეს, რისი მიზნაცა სურდა მას“. თუნდა შეფასების ასეთ კრიტერიუმს მივუღებთ იძლევა თავიდანვე საკმაოდ მკაფიოდ და ახლოს დაინახო მსუკეობის საგანი, იგი მაინც ერთგვარად ავიწროებს შეხედულების და ზღუდავს მას „ვიწროპროფესიული“ ფარგლებით. ამიტომ ლ. ვენტურის აზრს მე ვაგაგრძელებდი: „...და რამდენად კარგია ის, რისი მიღწევაც მას სურდა“.

ამ პოზიციით ვუდგები ბუნების დღეებში მოსმენილ მუსიკას და თავიდანვე მაურს გამოვარჩიო რამდენიმე ტენდენცია, რომლებიც არსებითად მომეჩვენა. პირველ რიგში, ეს შეეხება სტილის ევოლუციურობას და ნათლადა გამოხატული სტილისტურად ურთიერთმეთუთავისებად გამოშასხველი ელემენტების თანარებობაში. ამ ტენდენციამ მკვეთრად იჩინა თავი ვოკალურ ქანონში, რომელიც საკმაოდ მდიდრად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ვოკალური ციკლების სახით. ზოგი მათგანი ხალხურ ტექსტზეა დაწერილი, ზოგადაც პროფესიული პოეტის სიტყვა შთააგონებს. სწორად, კარგად მიგეზულ, ან, სულაც, ხალხური მუსიკისგან მოხდენილად „ნასესხება“ ინტონაციას, მელიოდურ ბრუნებს შეხედებით ვოკალურ პერტაში, ხანდახან თანხლებამაც, მაგრამ, როგორც წესს, თანხლება არ ეთანხმება მელიოდურ მასალას. ბუნებრივია, რომ სიტყვიერი მასალიდან, ან პოეტური აზრიდან გამომდინარე, ავტორი, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობს მელიოდურ ხაზს ინტონაციური კონტრეტულობა, დამასხათელობა მიანიჭოს. შთაბეჭდილება რჩება, რომ ასეთი მელიოდური ნახა-

ტი, თავისთავად აღებული, ერთგვარი უკმარისობის შეგრძობას უტოვებს ავტორს, რადგან, ზოგ შემთხვევაში, ახლებურად „თანამდროვედ“ არ ელერს, ხანდახან კი მარტივად გამოიყურება. ამიტომ ავტორი მიმართავს სხვადასხვა ხერხს, რათა თანხლებში მაინც მიაღწიოს თავისებურ „სტილისტურ კომპენსაციას“. ამის გამო იქ ჭარბობს პარონიულიად ნაკლებად გაასრულები, ფაქტურულად ხელოვნური, რითმულად ამხატვრული მოძრაობის შექმნისათვის ფორმები. საინტერესოა, რაზე მიგვიტოვებს ამ მხრივ კლასიკური მემკვიდრეობა? ერთი თვალის მოვლენითაც კი ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელობანი როლი იქნება თანხლებს კლასიკური ინტერპრეტაციით. თქვენ იქ შეხედებით ვოკალის კომპენტარს, მასთან დიალოგს, დროდადრო თქვენი ყურადღებას მიმართავს ამა თუ იმ ფრასის ექო — გამოხატული, დინამიკურ მელიოდური „ორნამენტის“ ანარეკლს „თანხლების სარეკლს“. ზოგჯერ ისევე ხდება, რომ „თანხლების სარეკლ“ გამრუდდება ხოლმე და შეუბრუნდება ამხანაგებს იმ მშვენიერ სახის ნაკვეთებს, რომლებიც ასეთი სიყვარულით და გულმოდრინებით იყო „ჩაქარგული“ კანტილებში. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ ხდება თანხლებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მელიოდის პარონიზაციის მიხედვით? ბუნებში წარმოდგენილ ვოკალურ ციკლებში კი, უნთავრესად, სტილისტური უკმარისობის ანხალხებუბა ხდება თანხლების ხარჯზე. ამის შედეგად, თანხლების ისეთი „სტიტრეტიკის“ წარმოიშავა, რომ ე. მამისაშვილი საფუძველ მიეცა მამენულისათვის შემოთავაზებინა თავისებური „ექსპერიმენტი“ — სხვადასხვა ვოკალური ციკლების თანხლებათა გაცვლა ერთმანეთში. მეც მჭინო, რომ ამდაგვარი გაცვლა აღაფრს შეეცდომს, არა შემოიძლია არ აღმნიშვნო გამოშასხვის, რომელიც, ჩემი აზრით, ერთადერთი იყო. მე ვკულისხმობ ვ. ჭულუპაძის ვოკალურ ციკლს, უშუალოს, სადას, სტილისტურად მოლიანს, რომელიც, სხვათა შორის, ბრწყინვალედ შესარულეს ძეგლბა თ. და ვ. ჩაჩავებმა. ეს ნაწარმოები იმდენად ახლოს დგას მუსიკის „პირველწყაროებთან“ (ტექსტიც ხალხურია), რომ ციკლს მოლიანად ერთგვარი სტალიზაციის ელფერი გადაარავს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩანავალი და „რეალიზაცია“ მასში ერთმანეთთან ახლოსაა. ვ. ჭულუპაძის ვოკალური ციკლი, ჩემი აზრით, გამოიყოფა თავისი ბუნებრიობით სხვა ამავე ქანრის ნაწარმოებთა შორის.

ამასთანდავე, სტილისტური „კომპენსაციის“ ტენდენციამ მიეცვლია ევოლუციურობამდე და, ამავე დროს, თანხლების მუსიკალურ გაღარიბებამდე.

მინდა შევეხებ მუსიკალურ „ექვივალენტს“ პრობლემას ან შემთხვევაშიც შესატყვისობა-შეუსაბამობის საკითხი დგას, მაგრამ ცოტაოდენ სხვა კუთხით დანახული. დარწმუნისკის კუთხის ცნობილი აფორისტიკი გამოთქმა: „მინდა ბეჭეა სიტყვას გამოსატყვევს“. ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქმის მას სურდა სიტყვა მუსიკალური ბგერით შეეცვლა. იგი მხოლოდ მისწრაფვოდა, რომ სიტყვასა და მუსიკას შორის სრული შესატყვისობა ყოფილიყო. თუ ამ თვალსაზრისით კვლავ გადავხედოთ ბუნების საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილ ვოკალური ქანრის ნაწარმოებებს, უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ ხშირ შემთხვევაში მუსიკალური მასალა ნაკლებად შეესაბამება იმ პოეტურ არსს, რომელიც ტექსტშია გამოსახული, ან ჩანავალით იგულისხმება. ძველბა დაეთანხმობ, რომ უკიდურესად ტყეობი მელიოდური ხაზი, რომლის ბუნებრივ მიმართულებასაც დროდადრო, თითქმის საგანგებოდ, ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან და რომელიც,



ამასთანავე, ინტონაციური „ნეიტრალიზით“ გამოირჩევა, შეესატყვისებოდა ხალხური გამოთქმებით, მეტაფორებით, სულიერი სივანის გამომხატველი ინტონაციით აღსავსე პოეტურ ტექსტს.

მაგრამ ახლაგვარ გასართობ ფილმებს, როგორც მოგასწენეთ, დიდი საზიშორობა სდეთ თან. აქ მართლაც სასიუჟეტო დასატრალამდე მხოლოდ ერთი ნახებია და თუ ფეხი დავიცავ, მარცხიც იქვეა ჩნასაფრებული. სამუხარაოდ, ასეც მოხდა მოკლემეტრაჟიან ფილმთან „ვეიწილად სისოთ“ (რეჟისორი ირაკლი ასათიანი) დაკავშირებით. იგი მოჰაანის ლიტერატურულ პირველწყაროსაც საბოლოოდ დასცილდა, მერე სხვაიც, ახალი სცენარის ვერ იგუა, უცხო სხედვად დარჩა და ამ გაწამწაში გასართობი კომედიიდან (სეთი მიზანდასახულება დაუსახა მას რეჟისორმა) უბრალოდ არაფრად, მე ვიტყოკდი, ანტისიუეტკურ ფილმად იქცა.

ქართული კინოხელოვნების მოღვაწეთა წინაშე დიდი ასპარეზია გადაშლილი. მათ კეთილსმსერველებს მოჰკავალი წლები დიდად იტრინანდა უცნაურებას, რადგან ამისი საწინდარია მუყარი და მდიდარი ტრადიკურა, ექვანსხედვი წლების მიღწევისი და, რაც მთავარია, მათი ხალხის ნიჟიერება და ქვემარტიად მაღალი ოსტატობა. მხოლოდ ახალ გამარჯებებათა „დიდი მოლოდინის“ გამო და ამ საქმეში ხელშეწყობის მიზნით შევეცადე ყურადღება ქართული კინოს მარტო ნათუდ მხარებზე კი არ გამეზმევილებინა, არამედ ჩრდილოკავასუც, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, თუ ჩემი მოსაზრებები სწორი, შეფასებები კი სამართლიანი გამოდგება და ამით მათ ერთგვარი სარგებლობაც ექნებათ, მაგრამ ის მაინც თუ შევეცილი, რომ მსიოხედვმა იგრძნოს ჩემი სინარულისა ან წუხილის გულწრფელობა, ამითაც კმაყოფილი ვიქნები.



თეატრალური მხატვრობის ესკიზები

ჯანრი კაშია

მისსალმებელი ტრადიცია დაამკვიდრა ჩვენმა თეატრალურმა საზოგადოებამ. უკვე მესამე წელია მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში იმართება თეატრალური მხატვრობის ნამუშევართა გამოფენა. ბოლოდროინდელი გამოფენა მიეძღვნა ხკკპ X X V ყრილობას, და, ერთგვარად, რესპუბლიკის თეატრალურ მხატვართა ანგარიშსაც წარმოადგენდა. ეს გარემოება კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გამოფენას.

თვალის ერთი გადავლევაც კი აშკარას ხდიდა, რომ გასული თეატრალური სეზონის რეპერტუარი რესპუბლიკაში მეტად მრავალფეროვანი იყო. უნდა ვივლიღისმხით, — წარმოდგენილი ნამუშევრები თეატრების საუკეთესო სპექტაკლების მხატვრული სახეს წარმოადგენდნენ. გამოფენილი იყო 39 განხორციელებული სპექტაკლის ესკიზი (ორი მაკეტცი) და 4 განუხორციელებელის — 25 მხატვრის ნამუშევარი. ამ სპექტაკლებიდან 16 დედაქალაქის თეატრების, ერთი — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის და ერთი — თეატრალური ინსტიტუტის დადგმებია. დანარჩენი სპექტაკლების გეოგრაფია საკმაოდ ვრცელია და მოიცავს თითქმის მთელს თეატრალურ საქართველოს. გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო ორი ნამუშევარი, განხორციელებული ქართული მხატვრის მიერ პოლონეთში.

დღეს საქართველოს თითქმის ყოველ ქალაქში თუ არა, ყველა რეგიონში პროფესიული თეატრი გვაქვს, ხოლო, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ეროვნული კულტურის ამაღლება-განმტკიცებისათვის, ყველასათვის ნათელია.

გამოფენამ მრავალი საკითხი წამოჭრა, რომელთა შესახებ მსჯელობა, მათ მიმართ ფართო საზოგადოების ყურადღების მიქცევა ჩვენი თეატრალური კულტურისათვის დიდად სასარგებლო იქნება, მით უმეტეს, რომ ქართული თეატრი დღეს შესამჩნევი აღმავლობის გზაზეა (საქარისია გავისხნით რუსთაველის თეატრის ამასწინდელი გასტროლები მისკომეი).

ქართულ თეატრალურ მხატვრობას დიდი ტრადიციები გააჩნია. ამიტომაც, რომ ინტუიტურად, ყოველი ახალი სეზონი ჩვენთვის ერთგვარი საზომია იმისა, თუ რა მიმართებაში ვიმყოფებით ჩვენი თეატრალური მხატვრობის ტრადიციულ დონესთან. ამიტომაც, რომ ყოველ ახალ მხატვარში გვსურს ვიხილოთ ახალი პეტერ ოცნელი, ირაკლი გამრეკელი, სოლოკო ვირსალაძე...

მრავალფეროვნება, რომელიც გასული თეატრალური სეზონისათვის იყო დამახასიათებელი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული თეატრალური მხატვრობის საერთო სახე გამოიკვეთა. გამოფენაზე ნამუშევართა მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფებს ვხვდებით. ერთი მხრივ, ეს იყო მხატვრული გემოვნებით, საინტერესო თეატრალური თვალთახედვითა და პროფესიონალიზმით განხორციელებული ესკიზები, მეორე მხრივ, უდიდებამო, უგემოვნო და პროფესიულად სუსტად შესრულებული. სამწუხარო ფაქტია, რომ უმეტესობა მეორე ჯგუფის ესკიზებისა პერიფერიულ თეატრებში განხორციელებული სპექტაკლების მხატვრებს ეკუთვნოდათ. გამოფენაზე წარმოდგენილი ესკიზი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ ძირითად მოთხოვნას — იგი გარკვეულ ესთეტიკურ კმაყოფილებას უნდა გვრიდოს მაყურებელს და ამქვეყნებდეს მხატვრის არა მარტო სცენოგრაფიული აზროვნების დონეს, არამედ მის საერთო მხატვრულ კულტურასაც. სამწუხაროდ, ზოგი ესკიზი არც ერთ და არც მეორე ძირითად მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. მათი მიხედვით ეჭვი იბადება, რომ თვით სპექტაკლებიც არ უნდა იყვნენ მაინც და მაინც საჩინო დონეზე, სპექტაკლი თანაავტორთა ორგანული სინთეზის შედეგია და თუ ერთი მხარე (სახელდობრ, მხატვრობა) უფერულია, ეს უცლობედ დაღს ასვამს მთელს ნაწარმოებს. თეატრალური მხატვრობის, ანუ სცენოგრაფიის ფუნქცია სპექტაკლის ვიზუალური სისტემის შექმნაშია (მრავალნაირი ხერხებით), შესაბამისად იმ მიზნისა, რომელიც სპექტაკლის მხატვრულ ამოცანად ისახება. ესკიზი ერთგვარი



გასაღებია ამ სისტემისა და, ამდენად, მნიშვნელოვანი. ამ თვალსაზრისით ვერაფერი საინტერესო ვერ წარმოადგინეს იმ მხატვრებმა, რომელთა „ძიებები“ ამოიწურა დრომოჭმული ილუსტრაციულობით, მკვდარი, ცრუსიმბოლური კონსტრუქციებით, მჭახე, შინაგანად მოუწესრიგებელი ფერყრითა და გამომგონებლობისა და ფანტაზიის სიღარიბით. ყოველივე ეს მიუთითებს უინტერესო და მძარე თეატრალურ კონცეფციასზე, რაც არ შეეუფრება არც თანამედროვე თეატრის მიღწევებს და არც ქართული თეატრის ტრადიციას. ამგვარი თეატრი ვერ იქნება კულტურის მედროზე. თეატრალური მხატვრები თუ მძარე გემგონების მაცურებლისათვის იმუშავენ, დარჩებიან არა მარტო მხატვრობის ძირითადი მძლავრი ნაკადის, არამედ საერთოდ ხელოვნების მიღმა. მაცურებელი გაცილებით უფრო ელასტიურია აღზრდის თვალსაზრისით, პოტენციურად უფრო გასწილია მაღალი ესთეტიკური ღირებულების მისაღებად და ასათვისებლად, ვიდრე ეს ჩვენ „ხელს გვაძლევს“. საკუთარი შემოქმედებით და პროფესიული სისუსტის გამართლება მაცურებელზე აპლირებით, რბილად რომ ვთქვათ, თავის მოტყუებაა. ამგვარი საკვალად „კრიტიკერიუმის“ შემოღებამ და დამკვიდრებამ ჩვენს თეატრებში ფაქტიურად გააღივინა ქართული თეატრალური კულტურა.

ჩვენ შეიძლება მოგვწოდეს, ან არ მოგვწოდეს რესპონდენტის თეატრის სპექტაკლები, მაგრამ ფაქტია, რომ შემოქმედებით და პროფესიული ძიებების რეალურ ნაყოფს აქ ამკარად ვხედავთ. ყოველივეს განსაზღვრავს ერთი რამ: რამდენად ფართოა თეატრის ძიებები ერთი მხრივ, რამდენად უპასუხებს თანამედროვეობას და, რაც მთავარია, რამდენადაა საინტერესო ჩვენი თეატრალური კულტურის თვალსაზრისით. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელთა მართებული თუ არამართებული გაგება აისახება მხატვართა შემოქმედებაშიც. ჩვენ კარგად გვესმის ის კომპლექსური სიძნელეები, თეატრალური მხატვრის წინაშე რომ წნდება ჩანაფიქრის რეალიზების დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი თეატრების დიდი ნაწილის ტექნიკური შესაძლებლობანი და ფინანსური საშუალებები ჩამორჩება თანამედროვე თეატრის მოთხოვნებს. ეს ფრთხვს უკვეცავს მხატვრის (და, საერთოდ, ავტორთა მიერ ერთობის) აღმავრენასა და ფანტაზიას, თანდათან აქვეითებს მის პროფესიულ დონეს და პროფესიულ ძიებებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხატვარი ვალდებულია იყოს თანამედროვე თეატრის მოთხოვნათა დონეზე. სხვა ამბავია, როდესაც ის, სპექტაკლის პრაქტიკული განხორციელებისას, თავისიწინებს თეატრის რეალურ შესაძლებლობებს, კმაყოფილდება თეატრის მიერ შემოთავაზებული ხერხებითა და საშუალებებით. მაგალითად, მასხარაძის

თეატრში „წინიწვილის გურის“ გ. მალაზუგის სეული გაფორმება აშკარად ატარებს თეატრისთვის „მორგების“ ხასიათს. ამის საპირისპიროა „მერი პოპინის“ მხატვრობა მოზარდ მაცურებელთა ქართულ თეატრში (სამწუხაროდ, ამ თეატრმა არაფერი არ წარმოადგინა გამოფენაზე). ალბათ ტექნიკური ჩამორჩენაცაა იწვევი იმისა, რომ თანამედროვეული და მიხანდასახული შემოქმედებითი ძიებები არსებითად, როგორც მხატვრობის, ისე საერთოდ, სპექტაკლის ფორმის მხრივ, მსოლოდ ერთ თეატრში შემინწევა, თუმაც ძიებანი ცალკეულ სხვა თეატრებშიც ჩანს (სამწუხაროდ, მსოლოდ თბილისში).

აქ გვინდა შევხებით გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა იმ ჯგუფს, რომელთა პროფესიულ ოსტატობას საჭიროდ ვერ გავხდით, მაგრამ მათგან ყოველთვის ველით მეტს და მოვიტხოვთ კიდევ.

შემოქმედებითი ძიება სწორედ იმას გულისხმობს, რომ ახალ მხატვრული ფორმით წარმოვიანიოთ მიღებული ნაწარმოების იდეა და არა ტრადიციული, ათგზის „მიგნებული“ და ამდენად არასაინტერესო (არამშემოქმედებითი) ფორმით. კონკრეტულ-ილუსტრაციული მიდგომა კლავს სპექტაკლის მხატვრულ ფორმას, კლავს ესთეტიკურ განცდას, რომლის წყაროს სწორედ მხატვრული ფორმა წარმოადგენს. ამგვარი მიდგომა თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით სრულიად უნიდაგო და დრომოჭმულია, რამდენადაც, აკონკრეტებს რა დროსა და სივრცეს, აკნინებს სპექტაკლის იდეას, რომელიც მუხანდა გულისხმობს განსაზღვრებას.

თავისთავად ცხადია, რესპუბლიკაში ყველა თეატრი ერთნაირად მაღალი დონისა და მხატვრული ღირსებების ვერ იქნება, მაგრამ გარკვეული კულტურული დონის მიღწევა და ამ დონეზე კიდევ უფრო ამაღლება ჩვენი ყოველი დღე ურთივეს უკმა. როგორც ყოველთვის, ამ გამოფენაზე იყო ნამუშევრები, რომლებიც პროფესიული დონით, მხატვრული თვალთახედვით, გემოვნებითა და ნაშენსრულებლო ოსტატობით სიამოვნებას ანიჭებდა მაცურებელს და წარმოაჩენდა ჩვენი თეატრალური მხატვრობის რეალურ ძალასა და შესაძლებლობებს. თავდაპირველად შეესაძინებოდა იყო თვით ესკიზების შესრულების მრავალფეროვანი ხერხები: ფერწერულ-გრაფიკული, აპლიკაციურ-თეატრალიზებული. ჩანდა საესკიზო მასალის მრავალფეროვნება, და, რაც მთავარია, თანამედროვე სცენოგრაფიული ფორმების ცოცხალი ძიება. ამ ნაწარმოებებში ნათლად შეინიშნებოდა კავშირი თეატრალური მხატვრობის ტრადიციასთან, სვლა იმ მიმართულებით, საითკენაც მიემართება თანამედროვე სცენოგრაფია. ამგვარია ესკიზები სპექტაკლებისათვის „ლელა“ — გ. გენიასი, „ჯადოსნური ფლიტა“ — თ. გენიასი, „კოპილია“ — გ. მესხიშვილისა



(ოპერისა და ბალეტის თეატრი); მ. მურგანიძის „ლამანჩელი“ (მუსკომედიის თეატრი); „სორონის ბაზრობა“ (კრავოს მუსიკალური თეატრი); „კავასიური ცარცის წრე“ (კაროვის მუსიკალური თეატრი); გ. მესხვილის — „კავასიური ცარცის წრე“ (რუსთაველის თეატრი).

ყველა ესკიზი შესრულებულია მაღალმხატვრულად, გამოჩინებლობით. „ლუკას“ მონუმენტურ-სკულპტურული კონფიგურაცია უპირისპირდება „კადონური ფლიეტის“ გრაფიკულ-ფანტას-მაგორიულ ინტერპრეტაციასა და „ოპელას“ ფერწერულსა და დახვეწილ კოლორისტულ პავროვნებას.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ერთი პიესის ორი სხვადასხვაგვარი მხატვრული ინტერპრეტაცია და სცენოგრაფია. ეს არის ბრეტის „კავასიური ცარცის წრე“ გ. მესხვილისა — რუსთაველის თეატრში და მ. მურგანიძისა — კატოვიცის თეატრში. მურგანიძემ გამოიყენა იქვე ის ესკიზი, მესხვილმა — ერთი. ერთმანეთს გვერდით წარმოდგენილი იყო სრულიად განსხვავებული, თუმცა ორივე შემთხვევაში საინტერესო თეატრალურ-სცენოგრაფიული თვალსაზრისი.

რადგან ჩვენმა „ცარცის წრე“ ესოდენ დიდი აღიარება პპოვა, არ იქნებოდა ინტერესოვალბეულად ქართველ მაყურებელს ეხილა კატოვიცის თეატრის ეს სპექტაკლი. ორივე აღნიშნული ნამუშევარი უცილობელად მიუთითებს, რომ დღევანდელ ქართულ სცენოგრაფიას გააჩნია საჭირო ძაღები ჭეშნარიტად თანამედროვე მხატვრული ამოცანების გადასწყვეტად. გამოფენილმა საუკეთესო ნამუშევრებმა ცხადდეს, რომ ტრადიციის გაგრძელება ხელოვნებაში, ტრადიციის უცვლლობას როდი მოასწავებს. შემოქმედებაში ტრადიციად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ მაღალ კლასურ და თანამედროვე ძიებების ასპარეზო, ხოლო რაც შეეხება მხატვრულ თვალსაზრისს, პრინციპებს, ხერხებსა და საშუალებებს, ისინი დღევანდელ დინამიურ განვითარებაში უნდა იმყოფებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარ შემოქმედებას ვერ მივიღებთ. სამწუხაროდ, ეს უბრალო ჭეშნარიტება უგულვებელყოფილი აქვს მხატვართა ერთ ნაწილს. შემოქმედი შეიძლება დამარცხდეს ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მხატვრისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს მისი საერთო პოზიციები და კულტურული დონე, შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ამ თვალსაზრისით, გასული თეატრალური სეზონისადმი მიძღვნილი გამოფენა არ გამოირჩეოდა. ექსპოზიციაც დაბალ დონეზე იდგა. გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი არც ერთი სპექტაკლის ცოტად თუ მეტად დასრულებული მხატვრულ-სცენოგრაფიული სახე. ამ მხრივ, გამოფენა სრულიად

არ ჰკავდა თეატრალურ მხატვართა გამოფენის მიძღვნილ სეზონის შედეგებისადმი. გარდა იმისა, რომ შედეგები, როგორც მაინც, უნდა ასახავდნენ რესპუბლიკის თეატრების მიღწევებებს და სცენოგრაფიის დარგში, ისინი ვით მხატვართა სახეს უნდა წარმოგვიდგენდნენ მიმდინარე სეზონში. თავისთავად ცუდი იმ შედეგზე შედეგია, მაგრამ ამის სადემონსტრაციოდ გამოფენის მოწყობა განა საჭიროა? ამიტომ, ჩვენი აზრით, გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სეზონის საუკეთესო სპექტაკლები მათი საესკიზო-სცენოგრაფიული პარტიკულრებით. ნამუშევრებს შერჩევა უნდა მოხდეს იმ მიღწევების შესატყვისად, რომელიც ამა თუ იმ სპექტაკლის შესაძლებლობას საკმაოდ შეემა, ხოლო გამოფენაზე სპექტაკლის სცენოგრაფიული სახის წარდგენა მისი მხატვრული ღირებვის ერთგვარი საზომიც იქნება. ამგვარი მიზანმა თვით თეატრულ დაინტერესებს, დაეხმარება მხატვარს სრულად წარმოაჩინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ეს თავიდან აგაცილებს ისეთ უხერხულობას და გაუგებრობას, როგორც წესს პქონდა ადგილი. მაგალითად, კავასიანზე ვერ ვიხილეთ ი. გვეგშიძის „მერი პოპინისი“ (მისზრდ მაყურებელთა თეატრი), მ. ჭაჭავაძის, თ. სუმბაძისაშვილის და სხვათა მიერ გაფორმებული სპექტაკლები. თუ გამოფენის მოწყობის ამგვარი პრინციპი ყურადსაღები იქნება, მაშინ გამოფენაზე მონაწილეობას მიანდებს საქართველოს ყველა თეატრი იმ სპექტაკლებით, რომელთაც ჩათვლიან თავის საუკეთესო დადგმად. ეს კი დაგვანახებს ჩვენი თეატრების საერთო დონესა და თეატრალური მხატვრობის დარგში.

თეატრალური მხატვრობის ექსპოზიცია, ჩვენი აზრით, უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი „დაზგური“ მხატვრობის გამოფენასაგან. თვით ექსპოზიციამ უნდა იქნეს მონაწილე თეატრალურობის ფორმა, რომელიც საინტერესო საგანდის გამოფენას, დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმების დონეზე აიყვანს ეკას და ხელს შეუწყობს ჩვენში საგამოფენო კულტურის ამაღლებას. ამ საქმეში, ცხადია, მხატვრებს თეატრების დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ, რაც ავითვლიდა მიიღწევა, თუკი, როგორც თქვა, გამოფენით თვით თეატრი დაინტერესდება. ეროვნული თეატრალური ხელოვნება წინ მიდის. ამ წინსვლაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართველ სცენოგრაფებსაც და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა სათანადო გულისხმობებითა და სერიოზულობით მოვეკიდოთ მათ მოღვაწეობას, მივცეთ პროფესიული შეფასება. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ავამაღლოთ რესპუბლიკაში თეატრალური კულტურის დონე.



პასილ შუხაევი ქართულ თეატრში

სხმალსსხვა მიზეზით, ვასილ შუხაევის ცხოვრება არაერთხელ შეიცვალა რადიკალურად. იცვლებოდა მისი არა მარტო საცხოვრებელი ადგილი, არამედ საერთოდ ცხოვრების სისტემაც. სწორედ ამიტომ მხატვრის ცხოვრების ხაზი მშფოთვარე, კუთხოვანი, ტუხილი იყო.

თუ გადაფურცლავთ საოჯახო ფოტო-ალბომს, სასწაულით რომ შემოიხახულა, ამას მაშინვე იგრძნობთ. მაინც რამდენის მთქმელია მოყვარულის გადაღებული სურათები! ლამაზი, მაღალი, ტანად ყოფილა, თუქცა ზოგჯერ უკმეხი, მაგრამ მუდამ სამართლიანი. გრძნობის სიტყვებით გამოხატვა არ უყვარდა. სამაგიეროდ, შექმლი ჩაედინა საქციელი, იშვიათად რომ ვინმე გაბედავდა. აი, ასეთ დროს გამოჩნდებოდა ხოლმე მისი ემოციები. მაგრამ ამგვარი წუთები ხშირი როდია. ამიტომაც, შუხაევი ზოგს გულგრილ კაცად ეჩვენებოდა. მიაჩნდათ, რომ მკაცრი და უკარება იყო... ბავშვებს კი ის ძალიან უყვარდათ.

შეგობართა ვიწრო წრით იყო შემოზღუდული. ალბათ ამიტომ, წლების განმავლობაში ფოტოსურათებზე სახეები მეორდებოდა. ამ სახე-თა გარემოცვა მუდამ სადა და უბრალოა — პეტერბურგში, რომში, მაროკოში, მოსკოვში, თბილისსა თუ ციხისკვარში... ნამუშევრები: ჩანახატები, პორტრეტები, პეისაჟები, ნატურმორტები, წიგნის ილუსტრაციები, დეკორაციითა და კოსტიუმების ესკიზები თეატრისა და კინოსათვის. ისინიც ხომ თავისებურად გვაცნობენ მათ შემქმნელს, იმას, რაც უნახავს, მოსწონებია, განუცდია...

თავი რომ მოუყვართ შუხაევის ყველა ნაწარმოებს, ალბათ აღმოჩნდება, რომ მთელი მისი ცხოვრება ხატვას მიეძღვნა, შემოქმედებითი ამოცანების სიმრავლე, ტექნიკის ნაირგვარობა, საქმის ცოდნა და მისი განუსაზღვრელი სიყვარული. იშვიათი პიროვნებაა ისინი ჩანს ამ ქმნილებებში.

შუხაევის მუდამ ახასიათებდა ინტერესთა „მრავალარხონეობა“. მას არ ჩვეოდა ცალმხრივი გატაცება პეისაჟით თუ პორტრეტით, ან წიგნის ილუსტრაციით. მთელი ცხოვრების მანძილზე ის ყველა ამ სფეროში ერთდროულად მუშაობდა. ამიტომაც შუხაევის შემოქმედებითი პიროვნების შესწავლისას ერთი რომელიმე მხარის გამოცალკევება არ უნდა იყოს მართებული. უმჯობესია შესწავლოთ მთლიანად მისი შემოქმედება, ხოლო განიხილო იგი ერთი, შენთვის ამაგრად საინტერესო მხრიდან. რეალურად ჯერჯერობით ეს

ნათელა ურუშაძე

განუხორციელებულია, თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი ქვეყნის მუზეუმში გაფანტული მისი ნამუშევრები რეპროდუქციების ერთ ალბომშიც კი არ არის თავმოყრილი.

შუხაევის მდიდარ შემოქმედებით მეცვიდრეობაში თეატრალური დეკორაციისა და კოსტიუმის მრავალი ესკიზია. მათი რიცხვი უკვე საბუთია იმისა, რომ სათეატრო მოღვაწეობა მხატვრის ფართო შემოქმედების მძლავრი განსტოლებაა.

საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანი, რომ თეატრში შუხაევი მოვიდა არა როგორც მხატვარი, არამედ როგორც მასხაობი. ეს იყო 1911 წელს, როდესაც მან, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, „ინტერმედიათა სახლში“ ნახა შვიცლერის პანტომიმა „კოლომბინას მოსახამი“ (დადგმა ვს. მეიერხოლდის, მხატვ. ნ. საპუნოვი).

„ინტერმედიათა სახლი“ პაწაწინა შენობაში მოთავსებული თავისებური სტუდია იყო. სცენას რამბა არ ჰქონდა. ფართო კიბე პირდაპირ მაყუ-





«ცაქვის მსწავლებლები»
დუკორაისის «სესიზი».

რებელთა დარბაზში ჩაიღოდა. დარბაზი კაბარეს ტიპის იყო — აქ ჭამდნენ, სვამდნენ, საუბრობდნენ. ამგვარი მაყურებლის დაპყრობა ძნელია, თანაც ახლო მანძილზე, რაც განცდის განსაკუთრებულ სიმართლესა და ფაქიზ, მეტყველ საშუალებებს მოითხოვს.

პანტომიმა „კოლომბინას მოსასამი“ იტალიურ ნიღაბთა კომედიის ტრადიციულ სიუჟეტზე იყო აგებული: კოლომბინა და არლევინი ატყუებენ პიეროს. შნიცლერმა ეს სიუჟეტი ტრაგიკულად ააქდერა, რათა სიკრულე სასარგებლო ყოფილიყო. პლასტიკური გამომსახველობისა და ქმედებითი იმპროვიზაციის წყალობით, პანტომიმა თეატრის წარმოდგენდა წმინდა სახით — როგორც ქმედების ხელოვნებას.

აი, ასეთი სპექტაკლი ნახა სამხატვრო აკადემიის მოსწავლე შუსაევმა „ინტერმედიათა სახელში“. მრავალი წლის შემდეგ, როცა მეიერხოლდს იგონებდა, მან დაწერა: „გვიტაცებდა შუყობრი, ჟესტების ენით ნათლად გადმოცემული სამიჯ-

ნურო ამბავი პიეროსი, არლევინისა და კოლომბინისა“. ამრიგად, მხატვარს იტაცებს გრძნობათა და ურთიერთობათა პლასტიკური, ანუ წმინდა თეატრალური ქმედების ფორმა, სწორედ ის მხარე სათეატრო ხელოვნებისა, რომელიც განსაკუთრებით ახლთა სინამდვილის ფერწერულ-გრაფიკულ აღქმასთან.

შემდეგ შუსაევი წერს, რომ ახალგაზრდა მხატვრები მეიერხოლდის რეპეტიციებს ესწრებოდნენ. ვინც იცის, რა არის რეპეტიცია, განსაკუთრებით პანტომიმისა, მიხედვება ვის შეუძლია რეპეტიციაზე ჯდომა, როცა თვითონ არ მონაწილეობს. ეს შეუძლია მხოლოდ სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, რომლისთვისაც სამუშაო პროცესის ხილვაც სასიამოვნოა.

მოულოდნელად ახალგაზრდა შუსაევს პიეროს მსახურის როლს აკისრებენ „კოლომბინას მოსასამში“, შემდეგ ამავე სპექტაკლში — პიეროს როლს, მერე ისევ პიეროს როლს მეიერხოლდის მომდევნო დადგმაში — ბლოკის „ბალაგანჩიკო“.

რამ გადაწყვეტინა მეიერხოლდს, რომ აკადემიის სტუდენტისთვის დაეკისრებინა ესოდენ რთული აქტიორული ამოცანები მის მიერ დადგმულ პანტომიმისა და დრამატულ სპექტაკლში? ვიციტ მხოლოდ ის, რაც ამის შესახებ დაწერა შუსაევმა: „...მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ნამდვილ სცენაზე ასეთი როლის თამაშის შესაძლებლობა მაინც მომიცა“ (იგულისხმება პიეროს მსახური, ნ. უ.). ეს არ არის ადელეგებული ჭაბუკის მიერ საკუთარ დღიურში ჩაწერილი სიტყვები. ამას წერს მოხუცი, რომელმაც ბევრი რამ გადაიტანა ცხოვრებაში. თუ სიტყვაძმწი შუსაევი ამბობს — „მე ბედნიერი ვიყავი“, მაშასადამე ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ვის შეიძლება ბედნიერებას ანიჭებდეს სცენაზე გამოსვლა? მხოლოდ იმას, ვისაც ამის მოწოდება აქვს. ამიტომ ვგაქუქს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შუსაევი თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო.

როგორც ჩანს, ეს დადასტურდა პიეროს მსახურის როლის განსახიერებითაც. საკუთარი თავისადმი მუდამ მაკაცრი შუსაევი მიიჩნევს. რომ ეს როლი მას გამოუვიდა: „აკადემიაში შევადინე ნიუბის შემდეგ ჩვენი როლების სათამაშოდ მივდიოდით. ეს იყო უბედნიერესი ხანა“. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ პიეროს როლის შემსრულებელი, მსახიობი ალბოი თეატრიდან წაიგდა, პიეროს როლი დააისრეს შუსაევს, სწრაფად მოამზადეს და ჩართეს წარმოდგენაში.

ვისაც უნახავს ბლოკის „ბალაგანჩიკი“ მეიერხოლდის დადგმით, ან წაუკითხავს მის შესახებ,

„კრინისკის კორწონება“.

მისთვის ნათელია, რომ ამ როლის დაკისრება შუბავისთვის უკვე ნიშნავდა მისი აქტიორული ნიჭიერების აღიარებას, მაგრამ ყველაზე საინტერესო მანინ ისაა, რომ თვითონ შუბავეი არ იყო კმაყოფილი როლის მომზადებით და განაგრძობდა პიეროს როლზე მუშაობას. ეს აიხსნება არა მარტო პასუხისმგებლობის გრძობით (მოუმზადებულს მეიერსოლი სცენაზე არ გამოუშვებდა), არამედ იმიტაც, რომ როლზე მუშაობა სიამოვნებას ანიჭებდა მას. არც ეს არის შემთხვევითი, რომ მეიერსოლი თურმე ხშირად ეუბნებოდა: „დაანებე თავი აკადემიას და წამოდი თეატრში, მსახიობი ნამდვილად მშვენიერი ხარ, მხატვარი კი ჯერ კაცმა არ იცის, როგორი გამოვსა შენგან“. შემდეგ პარიზში მყოფმა დიაგილემა რომში მოძებნა შუბავეი და მსახიობად მიიწვია თავის დასში. შუბავეი არ დათანხმდა.

1914 წელს შუბავეი იტალიიდან სამშობლოში დაბრუნდა. „ინტერმედიათა სახლი“ ამ დროისთვის უკვე აღარ არსებობდა. მეიერსოლმა იგი მიიწვია პიეროს როლზე ლერმონტოვის „მასკარადში“, რომელსაც ის პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში დაგმდა. ეს მოწვევა შუბავემა მიიღო და, როგორც თვითონ წერს, შეუდგა მუშაობას როლზე, რომელიც ჩვეთვის უცნობი მიხუზით არ უთამაშია. მაგრამ ეს როდი მთავარი. მთავარი ის არის, რომ რეჟისორ მეიერსოლს ახსოვდა მსახიობი შუბავეი, რომ ეს მსახიობი მან მიიწვია ისეთ როლზე, რომელიც ავტორს არ დაუწერია და რომელიც სპექტაკლში მეიერსოლმა და მხატვარმა გოლოვინმა ჩართეს. შუბავემა მიიღო ეს მიწვევაც და მონაწილეობდა ისეთი იშვიათად ანსამბლური, მკვეთრად რეჟისორული სპექტაკლის მომზადებაში, როგორც იყო მეიერსოლის „მასკარადი“.


ამგვარად, მეიერსოლთან სამგზის შეხვედრის შედეგად, უბრწყინავლეს ოსტატთან სპექტაკლზე ერთობლივი მუშაობის დროს შეისწავლა შუბავემა ის, რაც უმთავრესია სასცენო ხელოვნებაში. ასე-

თი იყო სკოლა, რომელიც გაიარა თეატრის მხატვარმა შუბავემა.

ამის შემდეგ კი პარიზი, იტალია, მაროკო... 1935 წლიდან — მოსკოვი, 1937 წლიდან — მაგადანი...


მაგადანში შუბავეი მხოლოდ თეატრისთვის ხატავდა. სპექტაკლები, რომლებსაც ის აფორმებდა, იშვიათი გამოჩაჩისის გარდა (რეჟისორი ლ. ვარპახოვსკი და რამდენიმე მსახიობი), მოყვარულთა მიერ იყო განხორციელებული. მაგადანის თეატრის მაყურებლისათვის, ალბათ, აშკარა იყო განსხვავება სამსახიობო-სარეჟისორო ხელოვნების დონესა და მხატვრის ხელოვნების დონეს შორის. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან თეატრის კოლექტივში სხვა არავინ იყო, შუბავეს რომ შეტოლებოდა ნიჭით, ცოდნითა და ოსტატობით. თქმა არ უნდა, ეს ართულებდა მხატვრის მდგომარეობას, თანაც ისეთი მხატვრისა, რომელმაც იწამა დახვეწილი ფორმის თეატრი, სადაც მსახიობის ყოველი მოძრაობა პლასტიკურად გააზრებული მთლიანი ნახატის ნაწილს შეადგენდა. მით უფრო, რომ ყოველივე ეს თვითონვე შექმლი შეესრულებინა სცენაზე, ვინაიდან მხატვარი-მსახიობი იყო.

მაგადანში მუშაობა იმიტომაც არ იყო იოლი, რომ არ გააჩნდათ საგანგებო სათეატრო შენობა, უსოფილების ასორტიმენტო, განათების საშუალებები და საერთოდ აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ამ პერიოდის დეკორაციათა ესკიზებს, დავრწმუნდებით — შუბავეი არსად არ წასულა დათმობაზე, ერთხელაც არ დაშვებულა ტექნიკურ შესაძლებლობათა დონეზე. იმ დროის ნებისმიერი მისი ესკიზი გამოდგებოდა დედაქალაქის თეატრისთვისაც. ეს მოწონებს შუბავეისთვის ჩვეულ უკომპრომისობას, რაც მუდამ ძვირად უჯდებოდა ხილმე. საჭირო ხდებოდა მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიება, ფანტაზიის დიდი ძალით ამოქმედება. ამის შედეგად კი მაგადანის კულ-



„მარგარიტა გოტიე“. დეკორაციის ესკიზი.

„მარგარიტა გოტიე“.



ტურის სახლთან არსებული პატარა თეატრის სცენაზე, რომელსაც პაწაწინა „სარკვე“ და „კიბეები“ ჰქონდა, სიღრმე კი სულ არ გაჩანდა, მაყურებლის თვალწინ იშლებოდა სასახლეები და ტაძრები, მინდორ-ველები, თოვდა, ცხელოდა, თინდებოდა და ღამდებოდა, იცვლებოდა ქვეყნები, წელიწადის დრო, ამინდი, განწყობილება...

იმ დროის თეატრალურ ნამუშევრებს ძნელია უწოდო მხოლოდ ეპიკური, ვინაიდან ყოველი მათგანი აღსავსეა მხატვრის ყურადღებით. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ესკიზი გადატვირთულია, მეტისმეტად დამუშავებული, დასრულებული. ეს ხომ ის წლებია, როდესაც მხატვრის მიერ შემოქმედებით პოტენციას მხოლოდ ამ ერთი არხით შექმლო დინება. თეატრი ხომ აქამდეც უყვარდა, ახლა იგი უკვე მხოლოდ თეატრისთვის მუშაობდა. ეს გარემოება ბევრს რასმე განაპირობებდა. დეკორაციისა და კოსტიუმის ესკიზის თავისებურებასაც, რა თქმა უნდა.

მაგადანში მუშაობის წლებს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა — თეატრის დაბალმა ტექნიკურმა აღჭურვილობამ და ფულადი სახსრების შეზღუდულობამ ზედმიწევნით გააშალა შინა მხატვრისთვის ისედაც ჩვეული მეტყველ საშუალებათა სიძუწე და სისუსტე. ახლა ის უკვე იცნობდა ყოველნაირ თეატრს, „ინტერმედიას სახლიდან“ დაწყებული, პეტერბურგის საიმპერატორო და მაგადანის კულტურის სახლთან არსებულ თეატრამდე. ამ გამოცდილებით ჩამოვიდა იგი თბილისში 1947 წელს და გააფორმა ჩაიკოვსკის „ეგვინიონი ინგინია“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მ. ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“, ა. არბუზოვის „შეხვედრა სიჭაბუკესთან“ — გრიბოედოს სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში და სამი სპექტაკლი მარკანიშვილის სახელობის თეატრში.

1947-1948 წლების სეზონში მარკანიშვილის თეატრში მუშავემა შესარულა დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზები სამი განსხვავებული სპექ-

ტაკლისთვის. ეს იყო ლოპე დე-ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, ა. სუხოვო-კობილინის „კრემლის ქორწინება“ და ა. დიუმა-შვილის „ქალი კამელოები“ (ამ უკანასკნელის ესკიზები სცენაზე არ განხორციელებულა). განსხვავებულ მხატვრულ ამოცანებზე მუშაობა, ექვს გარეშეა, ხელს უწყობდა მუხავეას თეატრალური ნიჭიერების ესოდენ მაკაფიო გამოვლინებას ქართულ თეატრში. ამ სპექტაკლებისთვის შექმნილ დეკორაციათა და კოსტიუმების ესკიზები გვიჩვენებენ, თუ როგორ აღიქვამს პიესას მხატვარი მუხავეი, რათა იგი შემსრულებელთა კოლექტივთან ერთად განახორციელოს სცენაზე.

ლოპე-დე-ვეგას პიესის პათოსი საერთოდ იყო აღზობული მუხავეასათვის. დრამატურგისა და მხატვრის ცხოვრებისეულ თავსაზრისთა თანხედრობა მუდამ იმის საწინდარია, რომ პიესაზე მუშაობა წარმატაცი იქნება. მით უფრო, რომ თავებრუდამხვევი ინტრიგის ოსტატის ლოპე-დე-ვეგას პიესა მხატვრისაგან უთუოდ ითხოვს დეკორატულ გამომოკონებლობას და მრავალი აუცილებლობის გათვალისწინებას: სმირად და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მოქმედების ადგილი, მამასადამე, საჭიროა დანადგარის მოსახერხებელი და მსუბუქი მოედნები, ვინაიდან დრამატულ ინტრიგაში ჩამბული არიან არა მარტო ადამიანები, არამედ ნივთებიც (ბარათი, ხელსახოცი, სარკმელი, ცხაური და ა. შ.). მამასადამე, ყოველი მათგანი თავსაზრისად უნდა იყოს გამოკვეთილი სცენაზე. პიესა დაწერილია ლექსად, ცეკვის მოტივი მასში უბრალოდ ჩართული ენაქტური ნომრები კი არაა, არამედ იდეის ამოხსნის, წამყვანი პერსონაჟების მსოფლმგერძნების გამოვლენის საშუალება. საცეკვაო მოძრაობებს შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ (ქორეოგრაფი და მჭაკარიანი), ხოლო რას ნიშნავს მეტყველი მოძრაობა, სხეულის პლასტიკა, ეს კარგად იყო ცნობილი არა მარტო მხატვარი-მუხავეისთვის, არამედ მსახიობი-მუხავეისთვისაც — მიმოსისთვის. ცხადია,



ცეკვისთვის სცენაზე საჭირო იყო ადგილი.

რისგან ააშენა შუხავემა ტრედლი, სადაც პიენსის გმირები ცხოვრობენ? პირველ ყოვლისა, მან ჩვეუთრად გამოყო ერთმანეთისგან ორი სამყარო: მდიდრული — წარინებულთათვის და ღარიბული — მდაბოთათვის. შემდეგ იწყო „საშენი მასალის“ შერჩევა. პირველთა სამყოფელისთვის — ხის მორები, მაგიდები და სკამები, შინ ნაქსოვი ფარდაები, დროისგან ჩამოქვებული აგურის კედლები და თიხის ჯამ-ჭურჭელი. წამყვანი ფერადღებნება: მუქი ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ღვინისფერი. მეორეთა სამყოფელისთვის — მოჭიქული თიხა, ბრინჯაო, ხავერდი, აბრეშუმი, ფერწერილი პანო. წამყვანი ფერები: მღვთვისფერი, ცისფერი, მუქი წითელი, ოქრო.

ორი სამყაროს ფერადღებანი შეპირისპირება მწვანისა და ლურჯის ნაირგვარი შესაბამით ხდებოდა. ამ ორ სამყაროს შუა მიწიდანაც ემხოზღებში (ქუჩა, ბაღი) წამყვანი ფერები სწორედ ეს გვხვან და ლურჯია. როგორც ვხედავთ, ფერთა განაწილება გაასრებელი იყო, უსხტადი და ნაწარმოების იდეის გასახას, სოციალური მომენტის წინ წამოწვას ემსახურებოდა.

სტილთა მცოდნე შუხავევი ისწარფვოდა სცენაზე წარმოესახა აღორძინების ეპოქის ესპანეთი, არა მარტო იმიტომ, რომ პიენსის ავტორი ამ ეპოქის განეკუთვნება, არამედ უმოთვრესად იმიტომ, რომ მოქმედ პირთა ცხოვრებაში დატრიალებული ამბები ამ ეპოქითაა გაბპირობებული. სცენაზე იყო არა გეოგრაფიული ესპანეთი, არამედ სოციალურ-ისტორიული. მსატრის მიერ შექმნილი სცენური სამყარო უზალ ასოციაციას იწვევდა ეპოქასთან, მის სულს გვავრწმობინებდა. სიღრმეში, მაყურებლისგან მოშორებით დეკორატიული დაანდარის მოთავსება ადგლის ტოვებდა ცეკვისათვის, დინამიკური მიზანსცენებისათვის, მოფარების, საიდუმლო პაემანისათვის და სხვა, რაც ესოდნ აუცილებელია „ცეკვის მასწავლებლის“ პერსონაჟთა ცხოვრებისათვის. ამიტომ შუხავევის დეკორაცია ჩარჩოდ კი არ ევლებოდა საპეტკალის გმირებს, არამედ ექსპოვებოდა მათ არსებობაში, ზანხედენილი იყო ლიტერატურული ნაწარმოების სულისკვეთებისა. შუხავევი არა მარტო სწავლობდა ეპოქას, არამედ სამყაროს იმ დროის დადამიანის თვალთ უშურვდა. ამავე დროს იგი პიენსის აღიქვადდა თანამედროვე მსატრის თვალთახედვით, კონკრეტული თვატრის მსატვრის თვალთ, სადაც მსახიობებს პიენსის მოქმედ პირთა ცხოვრების გზა უნდა გაეკვლით არა საერთო აღორძინების ეპოქის ესპანეთში, არამედ დრამატურგის — ლოვე დე-ვეგას კონკრეტულ პიესაში. ამიტომაც საპეტკალის გაფორმება შეესატყვისებოდა, პირველ ყოვლისა, პიენსის იდეას, მის სულისკვეთებას და მიზანწარფვას. შუხავევისთვის, როგორც ჭეშმარიტად თვატრალური მსატრისათვის, ამოსავალი იყო ნაწარმოების პო-

ეტურობა, მისი დრამატურგიული არტიტექტონიკა, რომლის ამოკითხვასაც ცდილობდა.

ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინების“ პრემიერა (დადგმა გ. შურულისა) შედგა იმავე 1948 წ. 25 მაისს, ორივენაშეგერის შემდეგ „ცეკვის მასწავლებლის“ დადგმიდან.

იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ ა. სუხოვო-კობილინის პერსონაჟები, და თვით ამ პერსონაჟებს — უფლის მოხვევით შეპყრობილ აფერისტებს — არაფერი აქვთ საერთო ლოვე დე-ვეგას სამყაროსთან და გმირებთან. ბუნებრივია, სრულიად განსხვავებულია ავტორისეული ჩანაფიქრი და მისი ლიტერატურული გადმოცემა. იმისთვის, რომ დაეცინათ ეს ადამიანები და მათი ბნელი საქმენი, ა. სუხოვო-კობილინი მოვლენებისა და ხასიათების დრმა ანალიზის გზით გროტესკულ უკიდურესობამდე მიდის. დრამატურგი ბრძოლისაკენ მოვიწოდებს, მისივე სიტყვით, სურს გამოიწვიოს „მაყურებლის დიდი შერწვენება — უნაღლესი ზნებობრივი აქტი“.

ლოვე დე-ვეგასგან განსხვავებით, ა. სუხოვო-კობილინი მოქმედ პირთა ჩამოთვლაშიც კი იძლევა მათ მოკლ დახასიათებას, მივცითთვის მნიშვნელოვან წერილმანებზე, ზოგჯერ გარგებობაზეც კი.

პიენსის ტექსტში მინიშნებულია მოქმედების ადვილზე (პირველი მოქმედება — მურომსკების ბინის სასტურთო ოთახი, მეორე და მესამე — კრეჩინსკის ბინა), მოცემულია მისი აღწერა. სუხოვო-კობილინის რემარკას უპასუხებს შუხავევის დეკორაციის ესკიზი, მსატვარი უსტკად იცავს დრამატურგის მიერ მინიშნებულ სცენის დადგმარებას, ოღონდ უმატებს ზოგიერთ დეტალს (კედლის ბრა, პორტრეტები, კედლის საათი, ჭალი).

საინტერესოა, რომ მიუხედავად მოქმედების ადგილის არცთუ ხშირი ცვლისა, შუხავევი მაინც ერთ სამკარინ კონსტრუქციის დგამს სცენაზე. ამის გამო იცვლებოდა მხოლოდ უკან კედლის ფორმა (მურომსკებთან — ნახევარწრიული, კრეჩინსკისთან — ოთხკუთხი) და ჭურის მოხატულობა. ცვლილებისათვის საკმარისი იყო ტილოზე დახატული კედლის ჩამოსხმა და სხვა ტილოზე დახატული კედლის გადაჭიმვა იმავე კონსტრუქციაზე, ოღონდ სხვანაირად.

ა. სუხოვო-კობილინისთვის დამახასიათებელია სიმეაფრის, სატრული დეტალებისა და შტრიხების საპირისპიროდ შუხავევისეული სცენური სამყარო ხაზგასმით რბილად იყო მოხატული: მრგვალი ოთახი, მრგვალი მაგიდა, ოვალური ჩარჩოები პორტრეტებისთვის, რბილი საკარძლები, მიმზე ფარდები, სარკეები, აბრეშუმი, ხავერდი... აი, სად ბუდობენ ავსაკები, პატრიოსან და მიწნობ ადამიანებს რომ ძარცვავენ არა გაჭირვების, არამედ ცინიზმის გამო. ქათქათა ხელთამანებით, ხელზე ამბორით, თავსაზანი დიმილით სწვდებიან ყელში მსხვერპლს და ახრჩობენ, კლანდ... ენა სახარული! აი, რას შეუძლია გამოიწვიოს, „დი-



„ცეკვის მასწავლებლის“ ფორმა.





დი შემდრწუნება მაყურებლისა, როგორც ეს აკტორის სურდა.

1940 წელს მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“ (დადგმა ბ. გამრველია). რვა წლის მანძილზე ეს სპექტაკლი სხვა მხატვრის მიერ გამოტრეული დეკორაციებით მიდიოდა. შემდეგ მუხავეზ მუსთაფაშვილის მიხედვით მარგარიტას ვერეკო ანჯაფარიძემ ასრულებდა. მისი მარგარიტა არ იყო მელდრამატული პერსონაჟი, სინარდული რომ იქცევს. ეს იყო სულით მაღალი, ამყვი, ძლიერი ქალი, რომელიც იღუპებოდა სიყვარულის უფლებისათვის ბრძოლაში. რვა წლის სცენური სიუჟეტის მანძილზე მარგარიტას სახე შეიქმნის ოსტატმა ქუჩმაშვილმა მხატვრულ სრულყოფამდე აიყვანა.

მხატვარი ხელადა, რომ მასშიბიბი ეპოქის ნიშნებს ეძებს არა ყოფაში, არამედ სულეირი ცხოვრების ხვედლებში, გმირის ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში, რომ ამ გმირის სცენური ბიოგრაფია იწყება თაყვანისმცემლებით გარემორტყვებით კურტიზანი ქალის ხმელრინანი დროსტარებით და მთავრდება მარტოხელა და ავადმყოფი ქალის საწოლ ოთახში. ეს ქალი ცხოვრებიდან მიდის, როგორც ჭეშმარიტი ადამიანი.

როდესაც მუხავეზა ხელახლა გადავიტხა დიუმას ნაწარმოები, უმთავრესი მისთვის ის იყო, რომ მან უკვე იცოდა რანირი მარგარიტა იცხოვრებს მის მიერ შექმნილ სცენურ სამყაროში.

რას მიგვანიშნებს ამის შესახებ თვით ავტორი? არც თუ ისე ბევრს: შესანიშნავი ბინა. ოთახის კედელზე ჩითია გაკარული ფანჯარა. ფარდა, საწოლი. კარადა. ბუხარი. საფარქალი. მაგიდა, სარკე, ვერცხლის პატარა ტაშტი, ტუალეტის უამრავი ხელსაწყო ოქროსა და ვერცხლისაგან. ერთი წიგნი — „მანონ ლესკო“. ეს ქალი ასი ათას ფრანკს ხარჯავდა წელიწადში.

მუხავეზის მიერ გაფორმებულ ა. დიუმას ამ ნაწარმოებს მარჯანიშვილის თეატრის რამპის შუქი არ უნახავს. თეატრის მუხეუმში დაკულია დეკორაციათა ესკიზები ყველა აქტისათვის და რამდენიმე კოსტიუმებს ესკიზები. ისინი მოვეთხობრებენ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენია მხატვარს სამყარო, რომელშიც სწორობდა დიუმას და ვერეკო ანჯაფარიძის მარგარიტა გოტიე.

სპექტაკლს უნდა ქონოდა მასუბუქი ქსოვილის საკუთარი ფარდა, და მოვარდისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი და თეთრი ფერების ნაერთით. აქტის დაწყებისას ფარდა მთლიანად როდი იხდებოდა, აიწყობდა მხოლოდ მისი შუა ნაწილი (გამჭვირვალე მოხატული ქსოვილი). დანარჩენი რჩებოდა როგორც სპექტაკლის მუდმივი ჩარჩო. შეასძლოა, ამგვარი დეკორატიული „ხელისთვის“ ბიძგად იქცა არამანის სიტყვებით — „სევდანიანი ცხოვრება, რომელიც მე ამოვიყვანი ოქროს კვამლში, მას რომ გარს ეხვეოდა“. მაგრამ მუხავეზა არ ისურვა ილუსტრირება — მას სურდა ეჩვენებინა მარგარიტა გოტიეს ცხოვრება, იქ-

როს ფასად ღირებულ არნიებსა და ქსოვილებში ჩაფლული, ამ ქსოვილების ფერთა უნახავს მინიმუმეკვიანი მაყურებლის სულის ის სიმბოლე შეეხებოდნენ, კვილადა რომ განაწყობდნენ მას მშვენიერი ქალისადმი, რომელსაც სიყვარული, ტანჯვა და თავგანწირვა შეეძლო. თავისი ძველი ცხოვრება მას სცენაზე უნდა გადაეტანა. აქ უნდა სწეოდა დიდი სიყვარული, ბედნიერება, შემდეგ იძულებით უნდა ეთქვა მასზე უარი და ნაწამებო, სულთთ ამალეგებული განმორბებოდა ამ ქვეყანას. ამის შესატყვისი უნდა ყოფილიყო დეკორაცია.

...მარგარიტას სასტუმრო ოთახი. მაღალი სარკვები მოქორეოლ ჩარმორები. უსარმაზარი ქალი. ნათურები ყვითელ საფარქვეშ, მათი ოქროსფერი ნათება. რბილი ავეჯი. მწიფე ნარინჯისფერი მძიმე ფარდები. ეს ყველაფერი შავი ხავერდის ფონზე. ფუფუნება ჭარბი, მუსოაჟი.

...მარგარიტას ოთახი. ნაცრისფერი კედლები. მოქორეოლი სავარძლები და ჩარჩოები, სარკვეები, ჟოლისფერი ფარდები. უამრავი საწოელი. ბრინჯაოს ლარნაკები. ყვავილები. ღია კაბებში სხვა ოთახები მოსჩანს. სინდიდრე მეფობს ირგვლივ.

...ბუფეიალში. აგარაკის თეთრად მოფლავრე კედლები. თეთრი კიბე. ჩალისფერი, ზაფხულაწწული ავეჯი. უკან კედლი მთლიანად — უსარმაზარ ფანჯარას უჭირავს, რომლის მიღმა ყველაფერი ავეჯებულა. ზოლიანი ჩითის ფარდა. არავითარი ჩინი, არავითარი ფასეულობა. გარდატეხა მარგარიტაში უკვე მოხდა. ვინდა უმოთვრეს ცხოვრებულ ფასეულობათა ვიდაფსებება და დეკორაციაც ამას მეტყველებს. გაქრა ნიღოები, მათთან ერთად გაქრა სიმძიმეც — აქ გამწოლი სივრცეა, ბევრი პაჟი და ის, რაც ყველაზე მეტად მშვენიერია — ბუნება, ადამიანები, მათი გრძნობები.

...მეჯლისზე. კვლავ ფუფუნება, და ისევ შავი ხავერდის ფონი. ამ ფონზე ოქრო განსაკუთრებით მზრძანებლობს. მარგარიტა ხომ დაუბრუნდა ადრინდელ ცხოვრებას. იძულებით, მაგრამ მინც დაუბრუნდა და ამ მეჯლისზე უნდა მიიღოს სუძლიერესი დარტყმა — დარტყმა ფულით, ამ სუძკევის პირდაპირი მწიშვნელობით.

...მარგარიტას საძინებელი. კედლებზე ღიაფირუსისფერი ჩითი. მცირე ზომის თევზარი ჩითი საწოლი დგას. დიდი, კედლისოღვნა ფანჯარა და ერთდერითი სავარძელი სიმბოლო მარტობისა. არც სარკვები, არც მორთულობა. სამატიეროდ, არსებობს განძი უფირფასესი — სიყვარული და იმის შეგნება, რომ ხარ ადამიანი.

თუ მუხავეზის ამ ეპოქებზე შესატყვისი თანმხედვრობით დავლაგებთ და იქ ჩვენი წარმოსახვით დიუმას გმირებს დავასაბლებთ, არ გავიჭვირდება იმის აღმოჩენა, რომ დეკორაციის კონსტრუქციაც და ფერადღვანი გამა იმსავე გვიამბობს, რასაც მთავარი როლის შემსრულებელი ვერიკო

„ცეკვის მასწავლებელი“.



„ცეკვის მასწავლებელი“.



„მარგარიტა ტოპ“.

ანჯაფარიძე. შუხავეი ამჯერადაც ჩვეული გზით მიდიოდა — დრამატურგიიდან მსახიობისკენ, ვინაიდან მისთვის მთავარი პიროვნება, თეატრის მსახიობია. ამიტომაც ამდენს ფიქრობდა მისთვის განკუთვნილ სცენურ გარემოცვაზე. იმსუხვედაც, თუ როგორ შეემოსა იგი, როგორ მიზნაზრებოდა პერსონაჟის გაერევის სახის შექმნაში.

სამოსელი საერთოდ განსაკუთრებით აინტერესებდა შუხავეს. ეს ჩანს იქიდან, თუ როგორ ყურადღებს უთმობდა იგი აკოსიელს თეატრის გართავს. თავის წერილში გორკის შესახებ ის აღწერს, როგორ იყო ჩაცმული მწერალი, როცა მას პირველად შეხდა 1908 წელს და როგორ — 1917 წელს. როგორ გამოიყურებოდა გორკისთან კუნძულ კაპრიზე ინდიელი მსახური: „შალის ელვანტურ კოსტუმში ვალწობილი, გაკრიალებული აკალოს ხისგან გამოთლილ ქანდაკებას ჰგავდა“, შუხავეი არამც თუ ყურადღებას აქცევდა ადამიანთა გარეგნობას, ის განსაკუთრებული ძალით შეიგრძნობდა კოსტუმს. შესაბამისად იცოდა რომელ ეპოქაში, რომელ ქვეყანაში ვინ რანაირ ტანსაცმელს ატარებდა, რისგან და როგორ იკერებოდა იგი. ისიც იცოდა, რაოდენ მეტყველია ტანსაცმელი, მისი გამოჭრილობა, ფაქტურა, ფერა, როგორც ცხოვრებაში, ისე ტილოსა და სცენაზე. დააკვირდით, როგორ აცვიათ ადამიანებს შუხავეის სურათებზე. შედგენ ფიქრით გაანთავისუფლო ნატურა ან მარტო უჩვეულო და საინტერესო სამოსისაგან, არამედ, ექვეათ, ჩვეულებრივი უბრალო შვი ვეშაბისგან (ლ. შილდენბეტის პორტრეტი) ან სამხედრო ფორმისგან (ოფიცრები) და თქვენ მიხედვებით როგორია სანოსილის ფუნქცია არა მარტო ნატურის დასასიათების თვალსაზრისით, არამედ მილიანად სურათის საერთო ფერწერული გადაწყვეტის მხრივ.

თეატრალური კოსტუმის შექმნა არ არის დარღულებული სურათი. ის იქმნება არა მაცურებისთვის, არამედ მკერავებისთვის და, რაც მთავარია, მსახიობისთვის. პორტრეტზე ასახული ნატურის უცვლელი სამოსელისაგან განსხვავებით, პიესის პერსონაჟის კოსტუმში ზოგჯერ ანაეროთხელი იცვლება. ცვლილება დაგამკრებელია მოქმედი პიროვნების ცხოვრების, სახათის, გუნება-განწყობის სცენურ გამოვლინებისაგან. მაშასადამე, თეატრის მხატვრმა უნდა ამაზე იფიქროს. ვინც სექტაკურად მოქმედებს შუხავეში შუხავესა შუხავეს, ისხენებენ თუ არაბე გულდასმით ანუშუხავეს ხოლმე იგი უმინშეწელო პერსონაჟის კოსტუმსაც კი. თვითონ იცოდა ყველაფერი: რომელი ქსოვილისაგან იკერებოდა იმ დროს ტანსაცმელი, როგორ იჭრებოდა თარგი, როგორ უნდა აწყობილიყო ნაოჭები, როგორც კოსტუმში შემოსილი მსახიობი იდგა. იჯდა ან დადიოდა. ლამაზად გამოიკრებოდა და კარგად შეცვლიდა სამოსი სატარებლადაც მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, საათობით იჯდა თურმე შუხავეი სამკერავლოში, ეაწერებოდა მოზომვას, თავგამოდებით იბრუნებდა ყველა წერილმანის

მალღ დონეზე შესრულებისთვის, რადგან მიანჩენა, რომ სცენაზე უმნიშვნელო წერილმანის არსებობდა.

ამ დიდი მომთხოვნელობის მიუხედავად, მკერავებს უყვარდათ შუხავეთან მუშაობა, ვინაიდან, შენიშვნისა და მოთხოვნის გარდა, მხატვარმა ნაკლებად გამოსწორების გზის მითითებაც იცოდა. საერთოდ, რასაც აკეთებდა, ყველაფერს პროფესიულად. ამის გამო ჭეშმარიტი, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ვინც შუხავეის თეატრალური კოსტუმების ესკიზებს გაეცნობა, მისთვის ცხადი გახდება, რომ მხატვარი ქმნიდა არა კოსტუმების ესკიზს, არამედ პერსონაჟის საერთო იერის ნახატს, ფესისაგან და დაწყებული და იმის ვარცხნილობით დამთავრებული. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ესკიზებს შორის მეტად იშვიათია გამოცალკეებულად დახატული კოსტუმები, — დახატულია ისინიც, ვინც მათ ატარებს. ადამიანის, მსახიობის გარეშე მას სცენაზე ვერაფერი წარმოედგინა.

ამბობენ, რომ შუხავეი ხშირად და ხანგრძლივად იჯდა ხოლმე რეპტიციებზე. განსაკუთრებით მთლიან რეპტიციებზე დასწრება უყვარდა. ალბათ იმისათვის, რომ სცოდნოდა, როგორ გადადგილება მიუწევს პერსონაჟებს სცენურ სივრცეში, მაშასადამე, იმ კოსტუმებსაც, მათ ზომ ეცმევიათ, როგორ შეხამებთან ეს კოსტუმები ერთი-მეორეს, როგორ დაჯგუფდებიან სცენაზე ფერის, ფაქტურის და განათების მხრივ, რომელიც სცენაზე ცვალებადია. შესაძლოა, იმიტომაც იჯდა ხოლმე დიდხანს, რომ მისი აქტიურული ნიჭიერება ამ გზით უკავშირდებოდა სცენას, თეატრს, რომელიც მას ძალიან უყვარდა. სიყვარული კი მხოლოდ ნამდვილი შედეგი, ღრმა, ფუჭი სიტყვების გარეშე. თეატრიც ასე უყვარდა. თავის გრძობებზე არ ლაპარაკობდა, არ უყვარდა ამის მოყვლა, მაგრამ თუკი თეატრისათვის რაიმე იყო საჭირო, ისე გულიანად, ისეთი ხალისით და მონღომებით ასრულებდა, რასაც მხოლოდ სიყვარული ბაღებს. ბაღებს სურვილი სხვებთან ერთად შექმნა რაღაც ახალი, მათთან ერთად ჩაწვედ მწერლის სამყაროს. მართლაც, რა უჩვეულო ნეტარებაა შექმნა სცენაზე სიყვარული მათთვის, ვინც უნდა იცხოვროს ერთი საღამოს განმავლობაში. მთელი ამ დროს მანიჭობ შენი შექმნილება — კონსტრუქცია, ფერი და ხაზი, უნდა და ჩრდილი — შეერწყმება წარმოდგენის მართოლვარე სხუესს, სიტყვას, მუსიკას, მოძრაობას, მზერას და დიმიოს, მაცურებელთა გამოთბობს, მათ ცრემლს და სიცოცხლს, ტაშის ქუჩილს...

ფერწერა, ხატვა — ვასილ შუხავეის ცხოვრება იყო, ამქვეყნიური მისი არსებობის ფორმა. ხოლო სცენას, თეატრს — იგი ეტიფოდა.

„ქრეჩინისკი წინება“.



ქალაქი-მუზეუმი მცხეთა: დაბებარების კრძალვები

ლონგინოზ სუმბაძე

მწიდი კულტურული ღირებულების გამო, რომელიც საქართველოს პირველი დედაქალაქის ისტორიულ, არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებს აქვთ, საქართველოს მთავრობამ 1968 წლის 6 ნოემბერს მცხეთა ქალაქ-მუზეუმად გამოაცხადა.

ცოტა უფრო ადრე, 1968 წ. მარტში მინისტრთა საბჭომ მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო: რესპუბლიკის „სახ. მშენს.“ დეკრალა დაეწესებინა კონტროლი მცხეთის ტერიტორიის განაშენიანებაზე.

აქედან — გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ჩვენი არქიტექტურული საზოგადოებრიობა იჩენს მცხეთის გენერალური გეგმის დამუშავების საკითხში: ამ გეგმის საფუძველზე უნდა წარმართოს ორი-სამი ათეული წლის მანძილზე, როგორც მისი რეკონსტრუქცია, ისე ახალი ტერიტორიების ათვისება; მასში ყოველმხრივი და სრულყოფილი გადაწყვეტა უნდა ჰპოოს ქალაქის ტექნიკურ-ეკონომიური და სოციალურ-კულტურული განვითარების ყველა ასპექტმა. ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობის მქონე ქალაქის გენერალურ გეგმაში კი, როგორც მცხეთაა, უნდა გადაიჭრას კიდევ სამი ძირითადი საკითხი: 1. ქალაქის თავისებურებისა და ინდივიდუალური იერის შენარჩუნება და გაძლიერება, 2. ისტორიულ-არქიტექტურულ ღირებულებათა და ქალაქის ისტორიული იერის შენარჩუნება რიგით განაშენიანებასთან ერთად, მათი ორგანული შერწყმა გავრცობილი ქალაქის ახალ სივრცით სტრუქტურასთან, 3. ოპტიმალურ შესაძლებლობათა შექმნა ძეგლების ორგანიზებული დათვალიერებისათვის, ადგილობრივი ტრადიციების, ხელოსნობის, გამოყენებითი ხელოვნების დარგების, ყოფისა და წეს-ჩვეულებების გაცნობისათვის.

დაგეგმარების შემდგომ სტადიაზე — ქალაქის დეტალური დაგეგმარების პროექტში, რომელიც გენერალური გეგმის საფუძველზე სრულდება — ხდება გენგეგმაში დასახული ყველა საკითხის გაღრმავება და ცალკეული კვანძების დეტალური დამუშავება.

* * *

ქალაქ მცხეთის დეტალური დაგეგმარების პროექტი დამუშავებული იყო საპროექტო ინსტიტუტ „ქალაქმშენსახპროექტის“ ქალაქგეგმარების სახელოსნოში (ხელმძღვ. ვ. ფაფრაშვილი) არქიტექტორების ედ. ბაგრატიონის და ე. ფრანკიშვილის მიერ; პროექტის მთავარი არქიტექტორია რ. ზატანელი.

ამ პროექტის საზოგადოებრივ განხილვას მიემდგნა (ა/წ იანვარში) საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ქალაქ მცხეთის პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობამ, დედაქალაქის არქიტექტორთა აქტივმა.

პროექტი წინასწარ შეისწავლა არქიტექტორთა კავშირის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სექციის სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი სპეციალისტები ამ დარგში.

არქიტექტორთა კავშირის გაფართოებულ სხდომაზე დაუსტატა კომისიის მიერ გამოთავაზებული ვრცელი რეკომენდაციები დეტალური დაგეგმარების პროექტის შესახებ.

წინამდებარე წერილის საფუძველს წარმოადგენს სწორედ ეს რეკომენდაციები და აგრეთვე საექსპერტო დასკვნა, რომე-



ლიც ამ სტრუქტურების ავტორმა დაწერა ქალაქ მცხეთის გენერალურ პროექტზე 1973 წ. მისში საქართველოს სსრ „სახმშენის“ დავალბით.

მცხეთის დაგეგმარების ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები და დაწესდა 1969 წელს.

ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლების ტექსტურ ნაწილს, ეკონომიურ და ინჟინრულ გამოკვეთვა-განაგარიშებათა გარეშად, დართული ჰქონდა საფუძვლიანად დამუშავებული სამი ბარათი: 1. „მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური აღწერისა, დახასიათებისა და ზონირებისათვის“ — შედგენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ანდრია აფაქიძის მიერ, 2. ამავე სახატურის მქონე ბარათი, შედგენილი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილის, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ალ. ბოხორაძის მიერ და 3. „მცხეთისა და მისი მიდამოების არქიტექტურული ძეგლები“, რომლის ავტორიცაა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუხამაია, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვახტანგ დლოძიძე.

ამ ბარათებში დაწერილობითაა მიმოხილული მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები, დასუსტებულია სახლრეგები იმ ტერიტორიებისა, რომელთა ერთობლიობაც არქეოლოგიურ ნაგრძალს შეადგენს, დადგენილია იმ ობიექტების სია მცხეთასა და მის მიდამოებში, რომლებიც უნდა მომზადდეს დასათვალიერებლად.

მცხეთის დაგეგმარების გრაფიკული ნაწილი ამ პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იყო სამ ვარიანტად. სამივე ვარიანტი გულისხმობდა რაიონული ადმინისტრაციული ცენტრის დაწესებულებათა და მოსახლეობის ნაწილის გაყვანას ქალაქ-მუზეუმის ცენტრალური ნაწილიდან.

პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა რაი-დაწესებულებათა გატანასა და ახალი სასტუმრობელი რაიონის შექმნას არავის გალმა წიწაპროტან, მეორე ვარიანტით რაიონული ცენტრი ქსანში გადადობდა, მესამით კი — ს. წერეთლის დასახლებაში, მეორე და მესამე ვარიანტი გულისხმობდა ქ. მცხეთისათვის რაიონული ცენტრის ფუნქციის მოხსნას, მის დატოვებას მხოლოდ ქალაქ-მუზეუმად.

საპროექტო ორგანიზაციამ ძირითადად მხარს უჭერდა მეორე ვარიანტს — რომლის მიხედვითაც მცხეთის რაიონის ცენტრი ქსანში უნდა გადასულიყო. სახოვადობერი განხილვის შედეგად უპირატესობა წიწაპროტანის ვარიანტს მიეცა, რომელშიც მცხეთას რჩება რაიონული ცენტრის ფუნქცია და თავის სახლრეგებში აქცევს არავისგანმა ტერიტორიებს წიწაპროტანის მიდამოებში. მაშინაც აღენიშნებ და ასლაც ვიმეორებთ, რომ ეს იყო საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა. გენერალური გეგმის დამუშავებას საფუძვლად სწორედ ეს პირველი ვარიანტი დაედ.

„ქალაქმშენისასპროექტმა“ გენგეგმაზე მუშაობა 1972 წელს დაამთავრა; იმავე წლის მისში პროექტი განიხილეს მცხეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის დანტრეგებელი სამინისტროებისა და სხვა დაწესებულებათა უპირთმადგენლების თანდასწავლით. ამ კრების დადგენილების პირველი მუხლის მიხედვით, „ქალაქ-მუზეუმ“ მცხეთის გენერალური გეგმის პროექტი ძირითადად მიღებული იყო მაღალი შეფასებით¹⁴.

მეორე პუნქტი საჭიროდ მიიჩნევს გათვალისწინებულ იქნას „ის სასურადლები წინადადებები, რომლებიც წამყვანი უნდა იქნა პროექტის სასოვადობერივი განხილვის დროს, მისი საბოლოო რედაქტირებისას“¹⁵.

გენერალური პროექტის საპროექტო მასალები იმავე წელს შეიასწავდა სახლმშენიო საგეგმო კომიტეტთან და რიგ სამინისტროებთან.

ქალაქ-მუზეუმ მცხეთის გენერალური გეგმის ანალიზში მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ინსტიტუტ „ქალაქმშენისასპროექტს“ განსაკუთრებით მის რაიონულ და ქალაქგეგმარება განყოფილებას, პროექტის ავტორთა კოლექტივს, ემ მზარტიონის მოთავეობით, იდებ მუშაობა ჩატარებაში, ამ მნიშვნელოვანი პროექტის გადაწყვეტისა და დამუშავებისათვის.

გენგეგმა ფერხება სწორ ტექნიკურ-ეკონომიურ საფუძვლებს, სახალხო მეურნეობისა და ყველა ქალაქარმომცემელი ფაქტორის სწორ შეფასებასა და განაგარიშებას, მათი განვითარების რეალისტურ პროგნოზს. ტურიზმის ინდუსტრია, ტურისტების მომსახურების სფერო ერთ-ერთი წამყვანი იქნება ქალაქის განვითარებაში. რიგე საწარმოებისა, რომელთა არა აქეთ კავშირი ქალაქ მცხეთის მომავალ განვითარებასთან — გადადის მცხეთიდან; სამაგიეროდ, ვითარდება დარგები, რომლებიც დაკავშირებულია ტურისტების სფეროსთან: კერამიკული ქარხანა, ხალხურ ერთეულს ნავთობათა, სუვენიერების საწარმო და სხვა. 2000 წლისათვის მომსახურების სფეროსა და მასთან დაკავშირებულ დარგებში (საგარეო ტრანსპორტი, მშენებლობა) დასაქმებული კონტინენტის რაოდენობა მნიშვნელოვანად გაიზრდება.

სწორადა დასახული და პრინციპულად მართებულად გადაწყვეტილი საგარეო ტრანსპორტის განვითარებისა და კომუნიკაციების რეკონსტრუქციის საკითხი. მცხეთაში უკვე აქონდა შემოსაველი გზა არავისგანმა — საქართველოს სამხედრო გზის თბილისი-მცხეთის მიწაკვეთი, დანარკეტების პროექტისა მეორე ავტოგზა — მტკვრის მარჯვენა მხარეს, რომელიც მცხეთას უშოლესი მიმართულებით გორთან შეაერთებს; უკვე გაიხსნა მოძრაობა მცხეთა — შიო-შღვიძის გზაზე, რომელიც ქალაქ-მუზეუმს აკავშირებს ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავ ძეგლთან, დასახულია რკინიგზის ხაზისა და სადგურის კვანძის რეკონსტრუქცია, რაც გამოიხატება მეორე ლიანდაგის დამატებაში.

სწორადა გადაწყვეტილი ამ გეოგრაფიულად და ტოპოგრაფიულად რთული ორგანიზმის ზონირება, მოსახლეობის განაწილება ამ ზონებში, რაც გამოიძინარეობს იმ ძირითადი პრინციპიდან, რომ არავითარი მშენებლობა არ იყოს არქეოლოგიურ ნაგრძალში, რაც შეიძლება სრულყოფილად იქნას წარმოჩენილი არსებული არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები.

საპროექტო პერიოდის ბოლოსათვის, ახალი საბინაო მშენებლობისათვის ნაგრძაუდგება 48 ჰა ტერიტორიის ათვისება. სადაც 28 ჰექტარზე ინდივიდუალური სექტორი განთავსდება, 20 ჰექტარზე კი — განსაზოვადლებელი სექტორი.

ეს ფართები ნაანგარიშება მშენებლობის დასაშვები სართულიანობის მიხედვით, რომელიც ძველ, ცენტრალურ რაიონში განსაზღვრულია 1-2 სართულით, მოშორებულ უბნებში კი 3-4 სართულით. საპროექტო პერიოდის ბოლოსათვის მცხეთის მცხოვრებათა ღიდი ნაწილი დასახლება ბებრ-ციხის მრდილოეთით, ღარისკაპარისა და ნარგვკავის რაიონებში, ნაწილი



მცხოვრებლებსა — ახალ საცხოვრებელ რაიონში, წიწმურის მდამთბებში. რჩება და ნაწილობრივ ვითარდება არსებული დასახლებების მტკვრის გაღმა, რკინიგზის დასახლება ლიანდაგის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, დასახლებაში სანაგვის სველსა და მარტაჯის ხევის მიდამოებში რკინიგზასა და მტკვარს შორის.

პროექტი ითვალისწინებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალ დონეზე აყვანას, საბინაო ფონდის სრულფასოვანი საინჟინრო მოწყობილობით აღჭურვას. გენერალური პროექტის ეს ძირითადი გადაწყვეტილებანი თითქმის უცვლელად გადმოვიდა დეტალური დაგეგმარების პროექტში.

კომისიამ მიიჩნია, რომ გენერალური გეგმის პრინციპული გადაწყვეტა, რომელიც საფუძვლად დაედო დაგეგმარების დეტალური პროექტს, ძირითადად სწორია. ამ დოკუმენტით საპროექტო პერიოდის ბოლოსათვის ქ. მცხეთა წარმოდგენილია განვითარებულ, კეთილმოწყობილ და ზომიერად უზრუნველბულ დასახლებად, რომელიც ინარჩუნებს თავის ისტორიულ იერს ცენტრალურ ნაწილში, მატერიალური კულტურის ძეგლების შესაფერის გარემოცვას, ამავე დროს, უზიარება თანამედროვე ქალაქის ყველა სიკეთეს, ამკვიდრებს ახალ ცხოვრებას. ყველაფერი ეს ავტორთა კოლექტივის დასახურებაა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მცხეთის დეტალური დაგეგმარების პროექტი ბოლომდე რთობა დამაკმაყოფილებლად დამუშავებული და ერთ დონეზე გადაწყვეტილი.

დეტალური პროექტის შემადგენლობა და მისი დამუშავება მთლიანად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებებს, რომლებიც წაყვეთი ქალაქ-მუზეუმ მცხეთის დაგეგმარებას.

ქვემოთ აღაპრაკია მცხეთის დაგეგმარებისა და განაშენიანების იმ საკუთრივ საკითხებზე, რომლებიც, არქიტექტურული სასოკადომბრობის ასრით, მოითხოვენ გადახედვას და ჯეროვან გადაწყვეტას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს არასრულყოფილება იმ ტოპოგრაფიული საფუძვლისა, რომელზეც დამუშავებულია ჯერ გენერალური გეგმა და შემდეგ დეტალური პროექტი. რთვი მნიშვნელოვანი რაიონებისა, რომლებიც შეტანილია (ან აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი) ქალაქის მომავალ საზღვრებში, გეგმაზე წარმოდგენილია თეთრ ლაქებზე, მათ არ განიჩნათ ტოპოგრაფიული. ეს ექება უმთავრესად ბაგინეთსა და მტკვარ-არაგვის ხეობისთვის იმისავესლით მდებარე ტერიტორიას ჯვარის მთის ძირში. იმისათვის, რომ ამ მნიშვნელოვან ტერიტორიასა დაგეგმარება ორგანულად ჩაერთოს ქალაქის გეგმის ერთიან სისტემაში, ტოპოგრაფიული გეგმის ეს ლაკუნები აუცილებლად უნდა შეივსოს.

არც გენგეგმასა და არც დეტალურ დაგეგმარებაში არ არის ბოლომდე დადგენილი და გადაწყვეტილი ქალაქის საპროექტო საზღვრები. მათ ვართუაა მოქცეული ისეთი ადგილები, როგორცაა მცხეთის ჯვრის ნაკრძალი, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე მთაქართლის სანაპირო ზოლი, რომელიც სამხრეთიდან ფარგლავს მცხეთის ანსამბლს, სამკუთხედის ფორმის ტერიტორია კოდმანის პლატოზე, რომელიც ქალაქის სასაღვრის გარეთაა დატოვებული და ბებრისციხის დასავლეთით მდებარე მთის ფერდობები.

მცხეთა — ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქალაქი-მუზეუმი. ამიტომ ვასავება, რომ მისი გენერალური გეგმის დასახლება უნდა ემყარებოდეს ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებს ძირითად გეგმას. მცხეთის დეტალური დაგეგმარების სტადიაზე მაინც აუცილებელი იყო მისი არქეოლოგიური გეგმის დამუშავება, რაც უნდა შესრულებულიყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად. ასეთი გეგმის გარეშე შეუძლებელია არქეოლოგიური ძეგლების ორგანული ჩართვა ქალაქის გეგმარების საერთო სისტემაში.

ქალაქის ტერიტორიული ზრდის მიმართულებანი და მოსახლეობის განსახლების პრინციპები, რომლებიც აისახა გენერალურ გეგმაში, დაგეგმარების დეტალური პროექტში უცვლელადაა გადმოტანილი. კომისიამ კატეგორიულად უარყო რკინიგზის ხაზგარის რაიონის ინტენსიური განაშენიანებისა და მტკვარგადამა ფერდობებზე გათვალისწინებული ტრასული მშენებლობის წინადადება. იმის გარდა, რომ ეს გამოწვევა არსებულ მუხანარის განადგურებას (როლის ნაწილიც უკვე გაიკაფა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გამო). გათვალისწინებული მცხეთის ბუნებრივ გარემოს. თანაც, ცენტრისაკენ მოწყვეტილი ამ პატარა ფართობების განაშენიანება გააძნელებს და გააძვირებს მოსახლეობის სათანადო კულტურათვადობრივი მომსახურებით უზრუნველყოფას, შუაფერებს ახალ მთავარი სამშენებლო რაიონის — წიწმურის ველის ათვისებას, რის შესახებაც ქვემოთ იქნება ნათქვამი.

ამავე გარემოებათა გამო მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს პროექტით გათვალისწინებული განაშენიანება ფოქრის გორის პლატოში, არსებული საავადმყოფოს სამხრეთ-დასავლეთით. საავადმყოფოს აუგება მცხეთის ამ შესანიშნავ საიონზე გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მისი ბუნებრივი გარემოცვის მნიშვნელოვან მონაკვეთს. შემდგომი განაშენიანება მხოლოდ გააღრმავებს ამ შეცდომას.

მიზანშეწონილი იქნება, მოსახლეობა, რომლის განსახლებაც ამ რაიონში იყო გათვალისწინებული, დასახლდეს მცხეთის ახალ რაიონში, წიწმურის ველზე.

გენერალური გეგმაში სწორად არ არის გადაწყვეტილი რკინიგზის რეკონსტრუქციის საკითხი. იმის გამო, რომ მას ემატება მეორე კლასიანი და ავტომობილტრალი კი ფართოდება პირველი კლასისათვის საჭირო გაპარტიტებამდე — ბაგინეთის პონცის ძირში, ადგილის სივრცოვრის გამო, ქალაქის გენგეგმა ითვალისწინებდა რკინიგზის სახის გვირაბში შეყვანას. ამ გვირაბის სიგრძე ერთ კმ-ს აღემატება და მისი ტრასა გადის მცხეთის სამხრეთი ფსადის ცენტრზე, საიდანაც მისი დიდებული პანორამა ყველაზე კარგად მოჩანს.

სადგურთან 400 მეტრის მანძილზე გარეთ გამოსული ლიანდაგი 1,3 კმ-ს შემდეგ ისევ ერთკოლომბტიანი გვირაბში შედის და მხოლოდ არჩაზის ხევიან გამოდის გარეთ.

გენგეგმის სქემის სასოკადომბრივი განხილვისას, ჯერ კიდევ 1969 წელს, რკინიგზის გვირაბში შეყვანის იდეას არავინ დაუჭირა მხარი, მისი მოწინააღმდეგეთა შორის იყო ბევრი ავტორიტეტული მოღვაწე. მიუხედავად ამისა, ვერც საპროექტო ინსტიტუტმა და ვერც საქართველოს „სახმშენმა“ ვერ შეძლი ასეთი გადაწყვეტილების შეცვლა და აკ რკინიგზის სამხაროველი უკვე კარგა ხანია შეუდგა ამ კვანძის რეკონსტრუქციის გვირაბის გარანტი. ჩვენივენი ვასავება, რომ ასეთი გვირაბის ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით შეიძლება კონკრეტულ გარკვეულ უპირატესობა, მაგრამ ნუთუ შეიძლება გო-



ნივრულად ჩაითვალის მცხეთის რეკონსტრუქციის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის ასე ცალმხრივი მიდგომით გადაწყვეტა?

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხიდან მომავალი მგზავნი ამ კვანძის ვალდით შემოდის საქართველოს დედაქალაქში და სწორედ აქ იხილავს იგი საქართველოს დიდებული მუხნებისა და ხუროთმოძღვრული ანსამბლის იშვიათ ნაჭურვს. რადიო უნდა აუწყებდეს მგზავრებს ამ ჩვენთვის სანუკვარ დღეღამთან მიასხობებს, სადაც აშენდა ქვეყნის პირველი ადგილქალაქი, სადაც დაიმსხვრა არამზის კერამა და აღიმაართა ცხოველი სვეტი ძველი მსოფლიოს მოწინავე ქრისტიანული კულტურისა; მიასხობებს პირველ ქალაქთან, რომელიც საქართველოს მთავრობამ ქალაქ-მუხუებზე გამოაცხადა. ვფიქრობთ, გვიარბნა რომ ყოფილიყო რეინიგზა — მცხეთის ქალაქ-მუხუებზე გამოცხადების აქტთან დაკავშირებით, რა გინდ ტექნიკურ სინფორმაციასაც არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებით, იგი ვართო უნდა გამოგვეტანა.

ძირითადად სწორადაა გადაწყვეტილი ქალაქის გეგმავი გზებისა და შინაგანი ტრანსპორტის საკითხები. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო აფეციკლებინა ქალაქისათვის სამხრეთ გზისა და გორის მიმართულებით გამავალი სატრანსპორტის მიმართა. ვეგანგებით დასახელი შემოსავლივი გზა, რომელიც თბილისიდან მტკვრის მარცხენა მხარეს წიწამურზე გადის და სამხრეთ გზის ტრასას ნარეკვავის რაიონში უერთდება — უკვე კარგა ხანია ექსპლუატაციაშია. ამგვარად, მცხეთა განიჭვირთა ავტოტრანსპორტისგან. დეტალურ პროექტში დასახულა კიდევ მეორე შემოსავლივი გზა, რომელიც ძველი მცხეთის დასავლეთ მსაღერის ვალსწირე ზეგანზე გავა. ეს გზა დააკავშირებს მცხეთის ცალკეულ რაიონებს საღვრთან, ქალაქ-მუხუებში ტერიტორიაზე გავლის გარეშე.

დეტალური პროექტის მიხედვით, ტურისტთა ძირითადი ნაკადები, რომელთა საერთო რიცხვი 1980 წლისათვის — 1 მილიონი 800 ათასს, ხოლო 2000 წლისათვის კი 2 მილიონი 300 ათასს მიაღწევს, შემოიღვენ მცხეთაში წიწამურის მხრიდან ბებრისების სამხრეთით მდებარე დაბლობზე, არაგვსა და მთავარ მაგისტრალს შორის დაფეციკთა ქალაქის ტურისტული ცენტრი. პროექტი ითვალისწინებს ავტობუსების მოძრაობის აკრძალვას ძველი ქალაქის ტერიტორიაზე. შინაგან გზებზე აქ დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი მანქანების მოძრაობა. არქიტექტურთა კავშირის კომისიის აზრით, ტურისტთა გადაადგილება მცხეთის შიგნით სპეციალური ავტობუსების საშუალებით უნდა ხდებოდეს. ზოგიერთის აზრით ეს მცხეთის ტერიტორიაზე მსუბუქი მანქანების მოძრაობაც უნდა აკრძალვას. ჩვენი აზრი ასეთია: არ არის საჭირო და პრაქტიკულად განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ავტობუსებისა და მით მუტქს, მსუბუქი მანქანების მოძრაობის აკრძალვა ძველი მცხეთის ტერიტორიაზე. ტურისტის ინდუსტრია მითითეს დროის მაქსიმალურად გამოყენებას, რის საშუალებასაც ტურისტების ჯგუფზე მიმდებარეული ავტობუსი იძლევა. რაც შეეხება მსუბუქი მანქანების მოძრაობის აკრძალვას, ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ძველი მცხეთის ფარგლებში მცხოვრებ მისახლებლას არ შეიძლება: აკრძალვას, საკუთარი ავტომანქანების ნორმალური მოხმარება. მცხეთა, ავტობუსის ყოვლისა, მცხეთელებს ეკუთვნის. ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს! ქუჩების ქსელის გონივრული დაგეგმარება და განივი პროფილის შეარჩევა საშუალებას გვაძლევს განვაყალიბოთ ქვეითად მოსაარულეთა და სატრანსპორტო

შოლები, შევქმნათ ორივე კატეგორიის მგზავრებს მოძრაობის ოპტიმალური პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთაში შესასვლელი წიწამურის მხრიდან გაკეთებულ ნაკლებად ეფექტური და ხანგრძლივად, ვიდრე მტკვრის მხრიდან. როგორც უკვე ითქვა, მცხეთის მთავარი ფსავლი სწორედ მტკვრის მხარეა. აქედან მისასვლელი მარშრუტებიდან იხსნება ქალაქის ცალკე უბნებისა და მისი მიდამოების ლამაზი ხედები. ამიტომ, ვფიქრობთ, უპირატესად სწორედ ამ ტრადიციული მხრიდან მისასვლელს უნდა მივიყვს.

გენერალური გეგმა ითვალისწინებდა მცხეთის დაკავშირებას ჯვართან კიდული საბაგირო გზით, რომელიც დეტალურ პროექტზე არ არის ნაწინებო. ეს გზა, რომელიც შემდგომ ჯვარის პლაცის აკავშირებს ზედაშენთან, იშვიათი სილამაზითრასასზე გადის. მისი განხორციელება გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს: ლბათა, საქართველოში არ მოიპოვება იმაზე უფრო შთამბეჭდავი სანახაობა, როგორც ჯვარის მთიდან იშლება მტკვარ-არავის სერვისზეს! კომისიამ სასურველად ჩათვალა საბაგირო გზის პირველ მონაკვეთზე არაგვის გაღმა, ჯვარის მთის ძირში მოეწყოს შუალედი საღვრე და შესწავლეთ იქნეს საკითხი საბაგირო გზების შექმნის ლობისა მცხეთა-ბაგინეთისა და კოდმანის პლატო-მთა-ქართლის (წმ. ნინოს ეკლესიის) მიმართულებით.

გენერალური გეგმათ გათვალისწინებული იყო მტკვარზე ორი ხიდის აგება, ერთი — საღვრის რაიონში, უკვე ამორჩევიული არსებული ლითონის ხიდის ზევით და მეორე — ქვეითად მოსაარულეთათვის ბაგინეთის კონცხის ქვეშ. დადგენილების დეტალურ პროექტზე ეს უკანასკნელი არ არის მოქმადილი. მისი აგება, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს. ამ ხიდით უნდა განხორციელდეს ქალაქის ძირითადი ნაწილის გეგმარებითი კავშირი ბაგინეთის არქეოლოგიურ ნაპოვლთან.

წიწამურის ახალი რაიონის დასაკავშირებლად ქალაქის ცენტრთან. ბერისების ახლოს, დასახლებული არაგვზე ხიდის მშენებლობა. ამ ხილმა უქმობისა კორა ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლოს გორის ძირისაკენ, უკვე გაჭირილი არქეოლოგიური შოლის გასწვრივ, სადაც დადასტურებულია ძველი ხიდის არსებობაც. ეს ადგილი შესაძლებლობას იძლევა გზა უფრო მაღალ ნიშნულზე გავიდეს, რაც გადავილებს მის დაკავშირებას სამხედრო გზასთან.

მდინარის ისტორიულ წარსულის მქონე ქალაქებისა და ვანსაუბრებით ქალაქ-მუხუების დაცვებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — მისი ტერიტორიის ზონირება ცალკე რაიონების კულტურულ-ისტორიული და ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობის მიხედვით. მოქმედი ნორმატივების თანახმად, ასეთმა ზონირებამ უნდა უზრუნველყოს დასახულ ქალაქთმშენებლობით გადაწყვეტილებათა განხორციელება ქალაქის ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი შემდგომი წარმოჩენის პროცესში.

დადგენილების დეტალურ პროექტში, ისევე როგორც გენგეგმაში, ქალაქის მთელი ტერიტორიისათვის განსაზღვრულია მშენებლობის ერთი რეჟიმი. კომისიამ მიიჩნია, რომ, ისტორიული ბირთვის უკეთ გამოვლენის მიზნით, საჭიროა მცხეთის ტერიტორიის დიფერენცირება.

პირველ, ნაკრძალ ზონაში ქალაქის ძველ ნაწილში სვეტიცხოვლისა და სამთავროს კომპლექსების გარდა, უნდა შევიდეს სვეტიცხოვლის სამხრეთ გალავანსა და მტკვარს შორის



მდებარე კვარტალები ანტიოქიამდე. მხოლოდ ამ პატარა ტერიტორიაზე შემონახული შუასაუკუნეების შუა-ქუჩახანდები და აქა-იქ ზოგი სანტიერესო შენობაც.

ამ ზონაში უნდა შეინარჩუნოთ ქუჩების მთელი ქსელი, რომელიც უნდა მოიკარწყლოს. საჭირო იქნება შენობათა რესტავრაცია და მათი გადასურვა ქართული კრამიტით.

ამავე ზოლში უნდა აშენდეს ძველქართული სასტუმროების ორი ობიექტი მაინც: მრეკლავილები და ღამბაზი, რომლის ნაწილებიც (მცხეთიდან წადებული) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული და მცხოვრები ბიანიანი სახლი. ამ ობიექტის დედაბინა და თავზე-ბალიში ექსპონირებულია მცხეთის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში.

დეკლარირებული დავებების დონეზე უნდა დამუშავდეს ამ ნაირბინა ზონის (სვეტიცხოვლის გალავანსა და მტკვარის შორის) განაშენიანების ესკიზი, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ტერიტორიის ტოპო-გადაღება 1:500 მასშტ., შენობათა და ნაგებობათა ინვენტარიზაცია — აზომვა და ფოტოფიქსაცია.

მეორე, დასაცავი ზონაში უნდა მოექცეს ძველი მცხეთის კვარტალები, მტკვრიდან ახალი კინოთეატრის შენობამდე, არაგვიდან სასაფლაოს აღმოსავლეთ საზღვრამდე, ე. ი., ტერიტორია, რომელიც ჩვენი წყალდიდობების პირველ საუკუნეებში შემოზღუდული იყო აღმოსხ კედლით. ძველებური ქუჩები და შენობები ამ მეორე ზონაში თითქმის აღარ არის შემორჩენილი. აქ შეიძლება შენობათა აქტიური რეკონსტრუქცია და ახლის აშენებაც ძველის გამოხიზრებით, ქვეყნის მოსაფარებაც. შენობათა სიმაღლე ამ რაიონში უნდა შეზღუდული იყოს სართულით, მათი მოწყობლობა უნდა წარმართოს მხოლოდ ინდივიდუალური პროექტებით. აქვე შეიძლება აშენდეს სახვითი ხელოვნების ოსტატთა სახელოსნოები, კოტეჯის ტიპის სასტუმრო-სახლები.

მესამე — მშენებლობის რეკლამირების ზონაში უნდა მოექცეს მცხეთის დანარჩენი ტერიტორია: მისი დიდი სამეუთხედი მტკვრიდან ბებრის ციხემდე. აქ შეიძლება შეზღუდული იყოს მხოლოდ სართულიანობა (ორი სართულით) და სიგრძე შენობისა 15-20 მეტრამდე.

წიწმურის ველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია 3-4 სართულიანი სახლების მოწყობლობა; ცალკეულ შემთხვევებში, 6-8 სართულიანი მოსკოვრა მოცულობების გამოყენებაც კი. ვფიქრობთ, ამ რქება ურიგო ძველი მცხეთიდან გაფანტული სოფლის მაგიერ ქალაქური ტიპის თანამედროვე კომპაქტური დასახლება მოჩანდეს. (ლენინი: «Хранить наследство, вовсе не значит еще ограничиваться наследством»).

საჭიროა დადგინდეს აგრეთვე მეოთხე — ბუნებრივი გარემოცვის დამცველი ზონა. მასში უნდა მოექცეს მცხეთის ლანდშაფტი, ისტორიული მცხეთა (ჯვარი, მცხეთისაკენ მიქცეული ფერდობები, შიპა-ქართლის ცხოვრებასტული კლდეან-ტყიანი ფლატები, კოდმანისა და სამთავროს სამარჯვანის ზემოთ მდებარე ფერდობები). ქართლის ბუნების ეს იშვიათი ადგილები დიდ როლს თამაშობენ მცხეთის მეტად თავისებურ იერში. ამიტომ მათი დაცვაც აუცილებლად ქ. მცხეთის განკარგულებაში უნდა იყოს.

დეკლარირებული პროექტში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გათვალისწინებული იმისათვის, რომ ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიაზე ჯეროვნად იყოს წარმოჩენილი მისი მრავალსიმეტრული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები. ძველი მცხეთის ადრექრისტანული ალოზის გალავნის გასწვრივ, მის მთელ

სიგრძეზე უნდა დავემარდეს ბულვარი, რომელიც მტკვრის ნაპირამდე ჩავა. აქ დღემდე შემორჩენილია კეათლოის კვლევითი ბი. ეს კიბურა ხეივანი მცვეთად გამოავლენდა ქალაქის ძველ სასტუმროს. საჭიროა გამოიხატოს საშუალება ამ კვლევის მიმართულების წარმოსაჩენად მის აღმოსავლეთ უბანზეც, კინოთეატრიდან არაგვის ნაპირამდე. კვლევის კონტური, რომლის ნაწილი ახალი კინოთეატრის პირველ სართულშია დატოვებული, შესაძლოა გაგრძელდეს კიბის ბაქაზე და სახელებზეც ამოკეცვის საშუალებით. რამენიარად უნდა დაინიშნოს კვლევის გაბარიტი გასტკეივლიც: წარსულისადმი პატივისცემის ეს აქტი ქალაქ-მუზეუმში სრულიადაც არ შეუძლის ხელს სურთომობრივი გარემოს მხატვრულ აღქმას. პირიქით, გააძლიერებს მას.

ამ კვლევის გასწვრივ კოდმანის ფერდობზე შეიძლება აშენდეს ღია ამფითეატრი, სადაც ტურისტთა მოსმენის საუბარს მცხეთის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესახებ; აქედან ზომ ხელისუფლებით მოჩანს მთელი ძველი მცხეთა, ბაგინითის კონცხისა და დიმიტრი ჯვარის ახალი სივლინის ჩათვლით! ამ მიზნითაა გამოყენებული ათენში აკროპოლისის ბორცვი, ფლორენციის ზეგანზე — მიქელანჯელოს მოედანი, რომში — ფორუმის ჩრევი, პარიზში — საკრეკორის პლატო და ა. შ.

ქალაქისა და მისი მიდამოების (დიდი მცხეთის) ტერიტორიაზე სათანადოდ უნდა გამოვიღიდეს და ჩართოთ მის გეგმარებით ბაღში ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვრები, როგორიცაა, მაგალითად, 1867 წ. სამხედრო გზაზე, მცხეთიდან 6 კმ-ზე აღმოჩენილი წარწერიანი ფილა (ახ. წ. 75 წლისა), რომელზეც მოთხრობილია, რომ კეისრებმა ვესპასიანმა, ტიტმა და დომიციანმა მეფე მითრიდატეს სვეტიცხოვის მეგობარს, რომელთა მოყვარულს და ქართველ ხალხს გალავანი გაუშავრეს; სამთავროს ველზე აღმოჩენილი საფლავის ქვა ახ. წ. IV საუკუნის, ორენიან მსწვრთი, რომელითაც დასტურდება, რომ იმდროინდელ მცხეთას ყოვლია მთავარი მხატვარი და არქიტექტორი (აგრეთვე აქოლისი).

დავემარდების პროექტში არ არის გამოვლენილი ქართველი ხალხის საყვარელი გიმონის არსება თქალაქის საფლავი. ჩვენი აზრით, აქ უნდა დავემარდეს არსენას მოედანი, სათანადო მცირე ფორმების არქიტექტურული ანტურაჟით.

ქალაქის გეგმაში სათანადო ადგილი უნდა მიეჩინოს აგრეთვე სამშაბლო ობიექტებს დაღუპულ გმირთა მინერაჟები, რომელიც უნდა დაღაღებდეს ახალი დროის მცხეთელთა გმირობასა და თავდადებაზე.

დათვალიერების მარშრუტში უნდა შევიდეს დიდი ქართველი მწერლის ლევან გოთუას სახლი, რომელიც მუზეუმად გადაიქცევა.

ქალაქ-მუზეუმ მცხეთის გეგმარებით და სურთომობრივლემხატვრული გადაწყვეტა, „მონუმენტური პროპაგანდის“ ნიმუშები უნდა მაგისტრლებდეს არა მხოლოდ მის დიდებულ მორეულ წარსულზე, არამედ მისი მოსახლეობის გმირობას და შგმართებაზე, ამ ტრადიციათა უწყვეტობაზე. მათ უკეთესლზე კომუნისტური საზოგადოების შენეებლობაში.

მცხეთა-ქალაქი მუზეუმია და, უპირველეს ყოვლისა, მცხეთელ მოქალაქეთა საცხოვრისი, რომელთა ტრადიციების, თანამედროვე ყოფა-ცხოვრებისა და კულტურული ენოქიმედების ჩვენება-პროპაგანდა მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკაოს; ტურისტთა მომსახურების საქმეში.



იმის გამო, რომ საპროექტო პერიოდის ბოლოსათვის იზრდება საცხოვრებელი ფართის ნორმა, კლებულობს განაშენიანების სიმკვრივე და საჭირო ხდება ამორტიზებულ სპლთა გამოხშირვა, — მოსახლეობის ნაწილი (და აგრეთვე მისი ნაშატი) ძველი უნიდან უნდა გადასახლდეს ახალ ტერიტორიებზე. პროექტის საჯარო განხილვისას ამ საკითხზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება. ყველასათვის ცხად უნდა იყოს, რომ მცხეთის რეკონსტრუქციასა და მის ქალაქმუშეუმაღ გადაქცევაში მისი ისტორიულ-არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების სრულყოფილ გამოვლენაში, ტურისტთა ნაკადების მისაღებად ჯეროვან მომზადებაში, მომსახურე დაწესებულებათა მუშაობისა და ძველი ქალაქის ტერიტორიაზე სათანადო წესრიგის დასაცავად — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მცხეთის ახალი რაიონების: ნარვგავის, ღართის-კარისა და, განსაკუთრებით, წიწმურის ველის ათვისებას, სადაც უნდა გადაინაცვლოს მოსახლეობის ნაწილი და რაიონული ცენტრის დაწესებულებებმა.

ამ რაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტების დაამუშავება პირველი რიგის ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. წიწმურის ველის ათვისების დაწყება კი, რეალურად, მხოლოდ არავაზე ახალი ხიდის აგების შემდეგაა შესაძლებელი. ძველი მცხეთა ვერ გარდაიქმნება ქალაქ-მუშეუმაღ მანამდე, სანამ არ დაიწყება ინტენსიური მშენებლობა ახალი მცხეთისა.

ისტორიულ-არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა საექსპოზიციოდ მომზადების, მათი მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის რთული საკითხების კოორდინაციისათვის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქალაქ-მუშეუმაღის დირექციის ჩამოყალიბება.

მცხეთის დაგეგმარების პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია დეტალური პროექტის „ძირითადი დეტალებების“ დამუშავება, რომელიც მოქმედი ქალაქგეგმარებითი ნორმების მიხედვით ერთ-ერთ მთავარ დანახარცივად დოკუმენტს წარმოადგენს. ეს დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის ძირითად გადაწყვეტილებებს, საზღვრების დასაბუთებას არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტის პრინციპებს, „ქალაქის ინდივიდუალური იერის ძირითად თავისებურებათა შენარჩუნებასა და შემდგომი განვითარებისათვის მიღებულ გადაწყვეტილებებს“.

ისტორიული ღირებულების მქონე ქალაქების დეტალური დაგეგმარების პროექტში, ამას გარდა, უნდა იქნეს გათვალისწინებული განაშენიანების წესები, დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც წარმართება ქალაქის რთული ორგანიზმის ყოველი კვანძის რეკონსტრუქცია და მშენებლობა.

მცხეთის დაგეგმარება-რეკონსტრუქციაში კომპლექსურად უნდა გადაწყდეს 3 ძირითადი ქალაქმშენებლობითი ამოცანა:

1. მოსახლეობისათვის ყოფა-ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნა.
2. ქალაქის თავისებური ხუროთმოძღვრულ-მხატვრული იერისა და მხატვრული კულტურის ძეგლთა გამოვლენა-შესწავლის, დაცვისა და ჩვენებისათვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა.
3. რესპუბლიკის ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბება თანამედროვე მზარდ მოთხოვნილებათა საფუძველზე.
ამ რთულ ამოცანათა გადასაწყვეტად საჭირო იქნება დამპროექტებელთა, მკვლევართა, მშენებელთა მიერ არმიწოდებული წლებების შრომა.

პალონხანი:

გენატისი — მსახიობი ვიორკი
 თურქთაშვილი
 კახაშვილისი — მსახიობი თენგიზ
 კოჭავაძე
 ამფორეასი — მსახიობი ზურაბ
 ცინცვილიძე
 მურგოსი — მსახიობი აკაკი ხილა-
 შვილი.

ხალხი:

არქონა — მსახიობი რუსულან
 ქვიციანიძე
 როზა — მსახიობი ჭვლეტა ლე-
 დუშვილი
 ანტონოვი — ინტელექტუალი
 (?), შინგაოხიკელი ტრახი (?), მსა-
 ხიობი ლოდულა ალამბარაშვილი.

— სალამი, თანამემამულეო! —
 დიმილითა და დათაფლული გამომე-
 ტყველებით ევლინება უმაჰაკო
 მოჯანს გენატისი. მას აქ დიდხინია
 მოჯანს ადამიანები, რომლებიც
 ყოველთვის მოთმინებითა და იმედით
 იყვნენ გამსჭვალული და თავიანთ
 დუსტორ ცხოვრებას ნათელი მომავ-
 ლის საწინდრად სახავდნენ. არქონ-
 ტა — ვისთანაც გენატისი მიმოწერა
 ჰქონდა — გამარჯვებულია და ბედ-
 ნიერი. „ვისაც შეუძლია ელოდოს,
 ის დაჯილდოვდება კიდევ“ — ამ-
 ბობის იგი — მართალია, გენატისი
 სხვანაირია, ვიდრე მას წარმოადგი-
 ნა, ასე ვთქვათ, ნაკლებად ამოვიანა,
 ცოტათი უფრო ღარიბია, ცოტა პრე-
 ტენზიულია, ცოტა ულაშაშო, ცოტა
 ღორმუცელაა, ცოტა სეპრეა, ცოტა
 სალახანაა, ცოტა ტირანია, ცო-
 ტა... მაგრამ ხომ ჩამოვიდა, ის ხომ
 მითანაა, იგი ყველასთვის ჩამოვიდა
 აქ არქონტას ერთადერთი დის, რო-
 ზასთვისაც, არქონტას ერთადერთი ქა-
 ლიშვილის, ანტიგონისთვისაც
 სოფია და, საერთოდ, ახლა სულ
 სხვა ცხოვრება დაიწყება, სულ სხვა.

— სალამი, თანამემამულეო! —
 ილიმის დათაფლული იერთ კახა-
 შვილისი, — მიაგენი მყურდო სავ-
 ნუს, ძმობილო? შენ გენატისი ხარ?
 მერედა, რატომ მე არ შემომილა ვი-
 ყო გენატისი?! ყოველ შემთხვევაში,
 ჩვენ დიდი წარსული გვაკავშირებს,
 ვიყით ისევ ერთად. ჩვენ ხომ ჯენ-
 ტლმენები ვართ, ამ ცნობისმყავად
 და ცხოვრების ილუსიებით აღსავსე
 ბრიყვ ქალებს ასე უკეთესად მოგუ-
 ლით!

„მალღსნები“

ახალგაზრდული ღრამატული თეატრი-სტუდიის
სპექტაკლი

ჯაბა იოსელიანი

ენატისი ეწინააღმდეგება კაზანოვას, მას აღარ უნდა ბნელ საქმეებში მონაწილეობა, თუნდაც იმიტომ, რომ საეჭვოა სარფიანი სამუშაო მიიღო იმისთანა არამზადებთან, როგორც კაზანოვასია — იგი დაიღალა ამდენი წინწალით, დაიღალა, აღარ უნდა მომთაბარე ცხოვრება — ძალაა?! დიახ, ძალაა!

ენატისი და კაზანოვასი ეტაცნენ ერთმანეთს, მათი ბრძოლა არც ჩხუბია, არც ხუმრობაა, არც ჭიდაობა. ეს შერკინებაა, ყველა ჯურის ნაძირალათა ვერაგული შერკინება, სადაც ხუმრობით კაცის კვლეა მოხლოდნელი. ჩხუბი შეიძლება შეთანხმებას მოასწავებდეს, ჭიდაობა კი — ტაკიმსასარაობას. ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა დაძაბული ყურადღებით უნდა ამოისინას — თუ მოტყუვდი — დაუნდობლად განადგურდები... „რა გაეწყობა, — თანხმდება ენატისი, — ვატყობ, შენგან თავი ვერ დამიღწევი. მხოლოდ იცოდე, რომ არც ისე ადვილი იქნება ამ ქალების ჩვენს ჭკუაზე მოყვანა. განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალიშვილის, ანტიგონისა“. „მე მოვევლი მას“, — კატეგორიულად აცხადებს კაზანოვასი. ჰოდა, იწყება „მოვლა“. თუკი ენატისი მიაიტიტ ქალების მო-

სარჯულელად პროვინციულ სერხებს იყენებდა და ნახევრადმართალ შთამბეჭდავთაფედასავლებს უყვებოდა მათ (როგორც, მაგალითად, აგურის უჭუმის ისტორიაა და მამინაცვალ ტობის მხეცობა), კაზანოვასი უფრო დაბეჭდილ ფსიქოლოგიურ საშუალებებს მიმართავს. იგი მარსელული გასტროლოთრი სალანანაა, ცხელი და ცივი წყლის მონაცვლიობის უტყუარი სერხი ბეტონსაც კი ხეთქავს, არა თუ ადამიანს: „მე წყნარი და მოკრძალებული კაცია ვარ, ცუდს არაფერს გავაკეთებ, თქვენ კი ასე უდიერად მეყპრობით!“, — მშვიდად ეუბნება კაზანოვასი ანტიგონეს. მოულოდნელად მთელი ძალით ავირდება და შემდეგ ისევ წყნარად განაგრძობს — „შემჩნეული მაქვს, როცა ადამიანებს კარგად გაყრობი, ისინი ცილობენთავე დაგასხდნენ“. — უცებ ისტერიკა ემართება და მაშინვე დინჯად იმუქრება. ამას ჯამბაზური სცენა მოყვება. ენატისი ბნელად იფიქნებს. ეს უფრო ანტიგონეს თმით დათრევის საშუალებას იძლევა. დათრევის შემდეგ ეტაკი, მეოთხელოვანი და ისე გამიზნული და იმდენად ცინიკურია, რომ ამბოხების პროვოცირების ცდას წაავას.

საკულდაგულად მოხარულ კავას კაზანოვასი იწუნებს: „ეს ყავა არ დაიღვება“.

როცა: მე ისე ვცდილობდი... წუნი მაინც რა უპოვეთ? კაზანოვასი: მარტო ნაღვლია და მეტი არაფერია, ვინ სვამს ასეთ მაგარ ყავას? ყავა ნაზი უნდა იყოს. არმატიც ოდნე ოდნე უნდა აკრძობოდე.

როცა: ბატონმა ენატისმა მაგარი ყავა ისურვა.

ენატისი: კი, ვისურვებ. მერედა, შენი აზრით, ეს ყავა მაგარია? შენ მაგარ ყავაზე წარმოდგენაც კი არა გქონია. რაღაც სალაღვია!

კაზანოვასი: მე მგონი, შევცდი. არცუ ის ცუდი ყავაა.

როცა: (სასიზოლო) მოვწონო? კაზანოვასი: ძალიან ჩინებულა. მეტაც ვოტკოლი — ჩინებულზე ჩინებულა. უფეთესი ჩემს დღეში არც დაიღვება...

დარამდენიმე ხნის შემდეგ კაზანოვასი ისევ იწუნებს ყავას. ძალოსნები ქალაქში სასეირნოდ გავიდნენ. საგონებელში ჩავარდნილი ქალები, დამფრთხალნი, ფაცი-ფუციით, შემოსასვლელ კარებს კტაკენ და ბარიკადებს აგებენ; ახლა კი, მგონი, მოიცილებს თავიდან ძალოსნები.

— საღამი, თანამემამულენო! — დათაფლული ღმილით შემოდის საშარვეულოდან ამფორეასი, — ვერ მივანი, ეს მე ვარ, მე.



ამფორეასი ახალგაზრდა, ლამაზი, კარგად ჩაქმული, ამ ქალთა მიხედვით მოდელთან ყველაზე უფრო სიახლოებელი ტიპი. „ამ სახლს, როგორც საკუთარს, ისე ვიცნობ. ის კარი წინა თასში გადის, აქ საწოლი თოხანია, იქ სამზარეულო, სულ იქით კი უკანა შემოსასვლელი. თქვენ არქინტა ხართ, თქვენ როზა, თქვენ კი ანტიკონა“.

და ყველა საწყურად წითელ ბუმბუტებს ურევებს. მიუხედავად იმისა, რომ ამფორეასის მიმოხილვებობა არ აკლია, მის ღიმილს მინც ვუნანათური ელფერი გადაარავს. ქალები გამტერებული შესქქირიან ახლადმოვლინებულ მხსნელს. მათ სახეებზე თანდათან სასოება იხატება: გამათავისუფლებელი! დიას, დიას, ეს ნამდილი ევნატისია, იგი უწვევებს ამ ვიგინდარებს სივრცეში ამფორეასი კი, უპირველეს ყოვლისა, არქინტას საწოლი თოხასაკენ მიჰყავნებს, სადანაც რამდენიმე წნის შემდეგ ჩაჩარულ-გაპარტახებელი და ჯერ კიდევ გონმოკრფვი არქინტა გამოცუნრულდება. არა, ადამიანები ქაუს ვერსადღეს ვერ ისწავლიან — ერთი და იგივე საკენი საუკუნეობით იცნებება. ამფორეასი თვით დაჯერებულია და ფრიად პატივმოყვარეა. ევნატისსა და კასანოვასის იგი ერთ წამში ყურმოჭრილ მორჩად აქცევს. მას ხელოვნებაც უყვარს — „მსახისათვის გასაკვიბი ხელოვნება“. სიმეშვე, სიმშვიდეც, თამაშიც, თავისა ძალით ხალხის გახელებაც ისიც ასევე დარწმუნებულა, რომ, როგორც ადამიანს კარგად მოექცევი, იგი თავზე დაგაჯდება. საწყალი გულბრყვილი ქალბები! რა დანაშაული აქვთ, ნეტავ, ვანებვის წინაშე, რომ ასეთი სასაკელი გამოუვსანება მათ ღმერთმა? იმიტომ ხომ არა, რომ ნდობით ეკიდებიან ადამიანებს?.. წარმოუდგენელია ამ ვითარების გამოწვევება, გამორიცხულია ამ ტირანისათვის არა თუ წინააღმდეგობის გაწევა, არამედ ნებისმიერი მისი მოქმედების აღუფრთოვანებლად შეფასებაც კი. იგი ისე ღრმად და მორგებულად ჩამჯდარა სავარძელში, რომ ამ ქვეყნად, ამფორეასის გარდა, თუ რამე არსებობს, ძნელი დასაჯერებელია. ანაზღად მაყურებლის რიგები წა-

მიომართა მკაცრი, კატეგორიული, ყინულის ლოლუსაკით დასამსხვერვადა მზა, გახვევბული ფიგურა. ცალი ხელი ზურგზე შემოდევს, მეორეს მკვეხედ ხნარობს: მოვლ სხარტი დარტყმა და ანტიგონე მიწაზე გლია. ეს მურგოსია — საერთაშორისო კლასის სალანანა, ამფორეასი კურდღელივით წამიხტა საგარძილდან და მოკურცხლა. მურგოსმა დიდი მოხაროების პოზით სავარძელში ინება ჩაჯდომა, შემდეგ რადიოსთან მივიდა და ეუფერს მიმოვლო თვალთ. ისმის ნაწვერ-ნაწვერტი მუსიკა, ხმაური, ნაჩქარედა ნათქვამი წინადადება — ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის შესახებ. იგი ცალიყბით იღრიალებს, თუ, გიონი, ზუსტანათურად ჩაიციან, არა, იციმის, ის იციმის: „სალამი, თანამემამულენო“. მწკრივში ფრნტულად ჩამდგარი დამხვევბული ერთი ხმით მკვირან: „ვაშაა! ვაშააა!“

წარმოდგენა მთავრდება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ბერძენი დრამატურგის, სტრატის კარასის ამ რთულ პიესას რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომატბა — რევისორმა გულსუნდა სიხარულიძემ, არათუ გაართვა თავი, არამედ აზრობრივად გააღრმავა, გააწვევა სიუჟეტურად, სახეობა განჯახის დროს შეეხო ხელმისაჭირ ყველა ფსიქოლოგიურ ფენას და ამისათვის მას არც ინტერპრეტაციის მოშველიება, არც კუბიურის გაკეთება, არც მასალასთან მანერული დამოკიდებულების დამყარება დასჭირვებია, რაც ესთეტიკურ მილიანიობას არდევს და, შიღრების ტერმინი რომ ეხმარობთ, ხელოვნების გასწავლებს პეტერობოშოვი პროდუქციად აქცევს. აზრობრივად გაღრმავებას როდესაც ვამბობ, ვგულისხმობ იმ გარემობას, რომ რევისორმა შესძლო მხატვრულად დაესაბუთებინა ტირანისთვის ორსახეობა. მეუც და მონა ერთსადაიმევე პიროვნებაში ტირანისს აუცილებელი პირობაა. მართლაცდა, ვის დაჯერებ, რომ შესაძლებელია ადამიანისაკენ მოითხოვო მონური მოჩრილება, თუ თავად არა ხარ მონა?!

კასანოვასი, ან რომელიმე ძალიან სნათავანი, განა ასე უსაშველდელი ფიგურება ქალბს, თავად რომ მონა არ იყოს!?

სიუჟეტის გამწვავებდა მიმანინა ანტიტას დაწისლვის ორგანული პრობლემა — საწოლ თოხანთან მისა გაპარტახებული მივლინება და მთლიანად ეს ეპიზოდი.

აგრეთვე მურგოსის უსიტყვო მიხსნეცხები. ფსიქოლოგიური ფენების გამოყენება ლოგიკური კონცეფციის შექმნას საჭიროებს, ამ მხრივაც, რევისორის ნამუშევარი დიდ დაყოფილებას იწვევს და მოწონებას იმსახურებს. მხოლოდ ერთადერთი რგოლია ამ ლოგიკური ჯაჭვიდან ამოვარდნილი, ესაა ანტიკონა.

მართალია, ეს სახე პიესასშიც არ არის ბოლომდე დამუშავებული, რამაც, ალბათ, შეეწყომანა გ. სიხარულიძემ. ახალგაზრდა მსახიობის, ლუდმილა ალიმბარაშვილის ანტიგონეცხან შინგამოჩეილ ტირანს წააგავს, ხანაც პროტესტანტი ინტელექტუალს ვერც ერთი და ვერც მთელი ლოგიკურ გაგრძელებას ვერ პოულობს სპექტაკლში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ალიმბარაშვილი სუსტი იყოს, პირიქით, მისი დამაჯერებელი თამაში, თავისუფალი მოქმედება სუნახაზე, მეორე პლანის მოტანის უნარი აპყარა და მსახიობის სერიოზულ შემოქმედებით პოტენციალზე მეტყველებს.

პიესაში ყველაზე საინტერესო და რთული სახე, ჩემი აზრით — ევნატისია. ეს ხასიათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ევნატისი უტუტ გლეხიც არის, სულდამალვი გაიძვერეაც, ცხოვრებისაკენ მოქმედული ბოგანოც, საცოდავი ტრაბახაც, სენტმენტალური ბოროტმოქმედიც. მსახიობი გიორგი თურქიაშვილი, ყველაფერ ამასთან ძალზე მახლობელია, მაგრამ ეს ხასიათი სრულ იერსახედ რომ იქცეს, ზოგიერთი გამოუყენებელი ფსიქოლოგიური შრის დამუშავება საჭირო. მაგალითად „მამონცხვალ ტობის ეპიზოდში“ ხალასმა გრწმობამ უნდა გაიღვოს, რითაც მასურბული წამით ევნატისისადმი რე-

ტროსპექტული თანაგრძობით გაი-
სკვალება.

კანონიერების შემსრულებელმა, მსა-
ხიობმა თენგიზ კოშკაძემ ამ როლში
„ამდვილად გაიმარჯვა მამულიერი
იუმორით, პარტიორებთან კონტაქ-
ტების დამყარების შუროე პლანის
სწორი ორგანიზაციით, განსაკუთ-
რებით შერკინების სცენაში.

საუცხოო სცენა, როდესაც კოჭკა-
ძე ვილინოს უკრავს, აგრეთვე ის-
ტერიის სცენა.

რეჟისორის საინტერესო გააზრე-
ბას მომზიბვლელობა შემატეს მსახი-
ობებმა ზურაბ ცინცილაძემ (ამლო-
რესი) და ჯულიეტა ჯუღუშაურმა
(როზა).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმ-
სახურებს ნაახიობი რუსუდან ქვლი-
ციძე. მისი არქონტას სული ტრაგი-
კომიკური სივრცეში მოძრაობს, ალა-
მინებისადმი მისი ნდობა, სიკეთის
კეთილშობილური რწმენა პიროვნე-
ბის უტიფარი განწყობილების მიზე-
ზი ხდება და ამას მსახიობი ფეხ-
დაფეხ გვისურათებს, ეს სურათები
ემოციური და ინტელექტუალური
დატვირთვის ერთიანობის გზით აღი-
ქმება.

რ. ქვლიციძე, სცენარე კონტექ-
სტიდან ერთი წამითაც არ არის ამო-
ვარდნილი. სრული შთაბეჭდილება,
რომ იგი ყოველი მიმდინარე დია-
ლოგის მონაწილეა, ალბათ მაშინაც,
როდესაც ის კულისებში ელოდება
თავის გამოსვლას.

სპექტაკლის გვირგვინია აკაკი ხი-
დაშელის მურგოსი. მე ვიტყვოდი, ეს
ერთწინადადებიანი იერსახე, პლას-
ტიკური გამომსახველობის საუცხოო
ნიმუშია, არა მარტო ფინალური სცე-
ნის სახიერი წერტილია, არამედ
იდეური კულმინაციაც.

რეჟისორის სიხარულიძის სერიოზულ
განაზრებას ისიც ამყვენებს, რომ
სპექტაკლის ზოგიერთი სცენა, ასე
ვთქვათ, ბეჭდის ხილზე გადის, რო-
გორც ეს, საერთოდ, მინიშნელოვან
მოვლენას ახასიათებს. მუყერვალის
დაპრობა თუ გასურს, უფსკრულის
თავზე უნდა მოექცე. სპექტაკლში
თითქოსდა ზედმიწევნით ყოფითა
სიტუაცია სიმბოლურ მნიშვნელობა-
მდე მალდება. ამასთან დაკავშირე-
ბით ერთი შენიშვნა მინდა გამოთე-
ქვა. მუშტების დანიშნულების აღრევა-



სცენა სპექტაკლიდან. როზა — ჯ. ლუღუშაური, კანონიერა —
თ. კოშკაძე.

იწვევს მაყურებლის ღეზორიტი-
ობას. უმჯობესი იქნებოდა მისი
(ამ სახიერი ხერხის) უფრო ძუნწად
გამოყენება. ამასთან ისიც უნდა აღ-
ინიშნოს, რომ გულის წასვლისას ან-
ტიგონეს გადმოვარდნა სპექტაკლის
საერთო სადა და მოხდენილი გადა-
წყვეტისაგან ამოვარდნილია. შთაბეჭ-
დილებას ისიც ანელებს, რომ ანავე
თეატრის სცენაზე ანალოგიური მოზა-
ნსცენა სპექტაკლში (ჩემბს აზრით,
ასევე კარგ სპექტაკლში „თიბისო
ნეფე“) და ძალაუბნებრად ეს
რეჟისორულ შტამად იკითხება.

სახიერა და ლაკონიური სპექტაკ-
ლის სცენოგრაფია. მოქმედების აღ-
გილი დანახულია ჭალთა თვალთახე-
დვით, არქონტას ეფემერული „ბედ-
ნიერებიდან“ გამომდინარე, რაც სპე-
ქტაკლისათვის სასურველ ატმოსფე-
რის ქმნის, თუმცა, მიხილ ჭაგჭეუა-

ძისა და შმაგი შევლაშვილის ნამუშე-
ვარი მხატვარ მარკ კიტაევის „იგა-
ნოვის“ სცენოგრაფიას გვაგონებს
(ლიტვიის მოზარდ მაყურებელთა
თეატრის სპექტაკლი). აღსანიშნავია,
რომ დრამატურგ კიტა ბუნიძის თარ-
გმანი სცენიდან კარგად ძვლეს.

სპექტაკლი „ძალისნები“, ასალ-
გარდული თეატრ-სტუდიის და სპე-
ქტაკლის ავტორის, ასალბუდა რეჟი-
სორ გულსუნდა სიხარულიძის წარ-
მატებაა. იმედია, ეს ახალგაზრდული
კოლექტივი ასევე უკომპრომისოდ
სიმართლის საყვარულით განაგრძობს
შემდგომ შემოქმედებით ცხოვრებას,
რაც ძალზე ესაჭიროება ქართულ
თეატრს.

ლადო გულაშვილი

მატარებელთან, რომელსაც პარიზისაკენ მივყავით, მონაწილე იტალიის კონტრასტული პეიზაჟები, რომელიც საკრთელის გავსენებად და ჩვენს სულს სინაზითა და სითბოთა ავსებდა. გვიან დამემდე თვალი არ მოვიხუტავს, თითქმის ვერაფერს ველარ ვხედავდით, მაგრამ ფანჯარაში მაინც ვიციკრიბოდით. მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა... ცოტათი მოშორებით ონკანი დაიწინა. სასწრაფოდ ჩავიბინე და ბოთლი ავაფხე. მიბრუნება ვერც კი მოვასწარი, რომ მატარებელი დაიძრა... მაშინ ასალგაზრდა ვიყავი, გამოვუდექი. საბედნიეროდ, დავეწიე. ღამეა. ცივა. კარი არ იღება. რაღა უნდა მექნას... დავრჩი ასე კიბეზე. გზა სულ გვირბებში გადიოდა. კიდევ კარგი, ნახევარი საათის შემდეგ მატარებელი გაჩერდა. გადმოვხტი და ჩემი ვაგონისაკენ გავიქეცი. დავითი, თურმე, ღელავდა, ნამდვილად დარჩა და რა ვქნათ. ისე გამჭვარტული ვიყავი, ვერ მიცნო... მეზე, როცა დამშვიდდა და გალიმება შესძლო, მითხრა, ბათუმში რომ ზანგი ენახეთ, იმაზე უფრო შავი ხარ, აბა, ერთი კინტაურიც დაუარეთ.

პარიზში წვიმდა. ვაგონები დაიცალა... ჩვენ კი ადგილიდან არ ვიძროდით. პარიზი ზღაპარებით გვექონდა წარმოდგენილი. იქნება სხვაგანა ვართ, მოდი, ვეითხოვთ, — მითხრა დავითმა. ენა არ ვიციოდით, მაგრამ მატარებელში რამდენიმე სიტყვა ვისწავლეთ და ახლა ამ სიტყვებით ვაპირებდით გზას გაგნებას...

მოვიდა პოლიციელი.

— ბატონებო, მიბრძანდით ქსლაქში, აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო. მიხვდა, ჩამოსულენი რომ ვიყავით. პაპიროსი მოვაწოდა და გამოვკვავა... აქ ომნიბუსი, იქით ტაქსის გაჩერება, თქვენ რომელი გნებავთო... მივგასწავლა სტუდენტების სასტუმროც და გამოვკვავებო. ასე გულბოხილად შეგვხვდა პირველი ფრანგი.

საოცარი დილა გათენდა პარიზში... აღარ წვიმდა, ახლა ეს ქსლაქი ისეთი იყო, როგორც ოცნებაში წარმოგვედგინა. ჩვენ იგი გულით შევიყვარეთ და მოლიანად მივენდეთ... გაფხდით მისი დროებითი შვილები.

შემდეგ თანდათან გზებიც გავიკვლიეთ, ენაც ვისწავლეთ... განვცალკევდით კიდევ. საერთოდ კი ერთ უბანში ვცხოვრობდით და მუდამ ერთად ვიყავით.

პარიზს ნაღვლიანი იერი დაჰკრავს. ნაღვლიანი ღიმილი იცის და ამაშია მისი განუმეორებელი სილამაზის ერთი საიდუმლოც.

იმ დროს ფრანგებს ორმოცი ათასი მარტო თავისი მხატვარი ჰქავდათ და სამოცი ათასიც — ჩამოსული, იყო ბრძოლა არსებობისათვის, სახელისათვის, ადგილისათვის... გალერეებსა და სალონებში ეწყობოდა გამოფენები, საზოგადოება ხარბად ეტანებოდა ყოველივე ახალს, საინტერესოს.

პირველ ხანებში მეც და დავითსაც გავვიკვირდა. მაგრამ თუ რაიმე გვიშველა, გვიშველა იმან, რომ ჩვენს სურათებია იფინებოდა...

აკადემიას რაც შეეხება, ჩვენ იქ არ გვისწავლია. როცა ჩვენი ნამუშევრები ნახეს, თვითხრეს, — თუ გინდათ, მივიღებთ, მაგრამ არ გირჩევთ, თქვენ უკვე დასრულებული მხატვრები ხართ, საკუთარი სახე გაქვთ, აკადემია ვერაფერს მოგცემთ... დარჩით პარიზში, თვალი მიაღწევთ მხატვრულ მიმართულებებს, იმუშავეთ დამოუკიდებლად, მიიღეთ მონაწილეობა გამოფენებზე... ასე აჯობებს... აკადემიაში კი თქვენ გაივლით ფრანგულ სკოლას, დაკარგავთ თქვენსას და ჩვეინასაც ვერ აითვისებთ ისე, როგორც საჭიროა, რადგან ამას შეგიძლოდა და სხვაანარი ტრადიცია სჭირდებაო...

ძალიან გავაკვირვა ასეთმა პასუხმა, მაგრამ მაინც დაეუჯერეთ. მოგივანებით კი მიხვდით, რომ მართალი უთქვამთ. ცესვორბი იუვენესის ქუჩაზე, მოზარანსის უბანში. მქონდა პატარა სახელოსნო. რა თქმა უნდა, მიჭირდა, მაგრამ იმეტი ცხოვრება მაინც უდიდესი შთაგონებით იყო სავსე.

თითქმის ყოველდღე კაფე „როტონდას“ სტუმრები ვიყავით. სულ, ყოვლზე, თორმეტობოდ მაგიდა იდგა იმ ნახევრად ბნელ, პაპიროსის ბოლისაგან ჩახუთულ ოთახში, სადაც მხატვრები და პოეტები იყრიდნენ თავს: რა იყო ეს კაფე... არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ განუმეორებელი პოეტური

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 5, 1976 წ.

მობონებების

წიგნი*

ვლფერი მიანიჭეს მას მეორეხედი ადამიანებმა. ვინ არ მოდიოდა აქ, საიდან ჩამოსვლებს არ ნახავდით. იყო ერთი ხმაური, ლექსების ხმამაღალი კითხვა, დავა, კამათი, საუბრები კუბიზმზე, ანტირაქციონიზმზე, რელიოზიზმზე...

კაფეს ძალიან საინტერესო სანახავი იყო იმიტომაც, რომ აქ ათასი ჯურის ხალხი იყრიდა თავს. უმეტეს წილად ყველას უჭირდა და ყოველივე ეს მათ სახეზეც იხატებოდა... უჭირდათ მართო მატერიალურად კი არა, მორალურადაც. თვით ყველაფრის მომსწრე და ყველაფერს შეგუებული პარიზულებსაც კი აოცებდათ ეს ქრელი სამყარო.

კაფეს პატრონი გახლდათ ვინმე ლიბონი. კარგად წერს თავის შესანიშნავ მოკონებებში ილია ერენბურგი: „ლიბონი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი სახელი ოდესმე ხელოვნების ისტორიაში შევიდოდა“. მეც დამამახსოვრდა მისი სახე. იგი უაღრესად კეთილი გულის კაცი იყო... უმეტეს შემთხვევაში, მის სტუმრებს (ამ ოთახის სტუმრებს მაინც) ერთი ფრანკიც არ ეძლათ ჯიბეში; ხშირად კი, როცა ვისიმე შიშობილიყავა გატანჯულ სახეს შეხედავდა, მათ ნაშუგვარსაც იყიდა ხოლმე. ისე, უბრალოდ. მას ხელოვნების არაფერი გაეგებოდა, არც სჭირდებოდა, მაგრამ ამას მხოლოდ კეთილი გულით აკეთებდა, მხატვარს რომ უხერხულობა არ ეგრძნო, იმიტომ. ლიბონის სტუმრების უმეტესობა ამ დღემდე იყო. არ ვიცი, რა მოგებას ნახულობდა იგი, მაგრამ

ისე იყო შეჩვეული ამ ხალხს, რომ უმათოდ გაძლება უჭირდა. ამ ჩამოძონილი ადამიანებიდან ბევრმა მის თვალწინ მოიხვეჭა სახელი, მაგრამ, როგორც წესი, ისინი, ჩვეულებისამებრ, მაინც მოდიოდნენ აქ. ასეთ შემთხვევაში ლიბონი მათ მოწოდებდა უხალგებოდა. უყვარდა ეს ხალხი, მათი ნაწარმოებები კი არ ანტირესებდა. ყოველივე ეს მისთვის მიუწოდებელი იყო. ამბობენ, მერც, როცა მან ეს კაფე გაყიდა, ზოგჯერ თურმე ისევ მიდიოდა და ნაღვლიანად იჯდა ხოლმე... მხატვრებსაც უყვარდათ ლიბონი, მათვე გააცოცლეს იგი უკანასკნელ გზაზე... პოეტები და მხატვრები ყოფილან მისი უკანასკნელი ჭირისუფლები.

„როტონდამ“ დიდი როლი ითამაშა იმ ადამიანთა შეხედულებების ჩამოყალიბებაში, რომელთაც აქ უხდებოდათ ყოფნა. სამწუხაროა, რომ იგი ახლა აღარ არსებობს... ჩემს მემსიერებაში კი დარჩა საკუთრად მინიშნებული ადგილები, სადაც მუდმივად სხდებოდნენ პიკასო, მოდილიანი, რივერა, აპოლინერი, ლექე, დერენი, ფუკიტა...

ვინ არ მინახავს და არ შემხვედრია აქ... მასსოვს პიკასო... მოვიდოდა, თან თავის თეთრ ძაღლს მოიყვანდა. იგი იმ დროს კვდა სახელმთხვევლი მხატვარი იყო და ლიბონი მუდამ კრძალვით ეპატიჟებოდა კაფეში.

— მობრძანდით, ბატონო პიკასო...
მას მუდამ მისთვის განკუთვნილი სკამი ჰქონდა...

ადამიანებზე, რომლებსაც მე „როტონდამში“ და საერთოდ ამ პერიოდში ვხვდებოდი, ქვემოთ დაგწერ. ახლა კი მინდა გავიხსენო ჩვენი პირველი ნაბიჯები უზარმაზარი ქალაქის მხატვრულ სამყაროში. აქაც, პირველი გზის გამკვლევი „როტონდა“ იყო...

„როტონდაში“ მუდამ იცოდნენ რომელი გამოფენა სად და როდის იმართებოდა. და, აი, გავიყე, რომ „ზამთრის სალონიში“ („სალონი ლივერი“) ეწყვიით მუდამ გამოფენა. ეს იყო დიდი, უზარმაზარი, ტაძარივით შენობა, რომელშიც ოცნათასი ნამუშევარი ეტეოდა. გარეთ, სიმწვანეში, ღია ცისქვეშ მჭვინდნენ ქანდაკებები.

გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი და მეორე დღესვე გავგზავნე ოთხი ნამუშევარი. ძალიან ვეღვალი. ჩემი ახალი ნაწარმები არაფერს მებუნებოდნენ, მაგრამ მათ თვალზემაც იმას გვითხულობდი, რასაც თვითონ განვიცდიდი. ჩამოსვლისთანავე უსულობის „ზამთრის სალონი“ გაგზავნა მათ მტვრად ნაადრევად მიარჩნათ. მაგრამ მოხდა დაუკერებელი: ოთხი დღის შემდეგ მომივიდა ცნობა, რომ ყველა სურათი მიიღეს. წარმოდგინეთ ჩემი სიხარული... ყველა გააკვირვა ამ ამბავმა. უსულობისათვის ასეთი წარმატება ძალზე იშვიათი და ძალზე მოულოდნელი რამ არისო, მებუნებოდნენ.

მაგრამ უფრო მეტი სიხარული მელოდა. ისევ მომივიდა ბარათი, — თქვენი ნამუშევრებიდან ერთი, კერძოდ, „კინტოების ქეიფი ქალიან“ ესპანელ მხატვარ იგნასიო სულოაგას მოეწონა და ფასი გვაცნობოთ.

მამიწევი მივედი. ფასი არ ვიცი, მაგრამ, თუ ამდენი ნა-

მუშვირიდან სულოვამ ჩემი ამოარჩია, მე მზად ვარ, ვაჩქო-
ქო-მეთქი...

— არა, ეს არ შეიძლებაო. — მიპასუხეს.

მე ისევ უარზე ვიყავი. გაოცდნენ. რაკი ასეა, თქვენს
სურვილს სულოვას გადავცემთო.

მეორე დღეს კი, საღამო ხანს, როცა ის-ის იყო „როტონ-
დაში“ წასვლას ვაპირებდი, ჩემს სახელოსნოში მოულოდნე-
ლი სტუმარი მოვიდა.

— თუ არ გვცდები, მე მოვედი იმ მხატვართან, რომლის
ნამუშევრები „ხამთრის სალონში“ გამოფენაზე ვნახე...

მე თვალს არ ვუკარებდი... ჩემს წინ ნამდვილად იგნასიო
სულოვა იდგა.

— დიახ, მასეტრო, მე გასლავართ... მობრძანდით...

სულოვამ ქუდი მოხსნა და თავის ოდნავი დახრით ოთახ-
ში შემოვიდა. ერთხანს უხშირ ათვალიერებდა კედელზე გამო-
ფენილ სურათებს. შემდეგ, სადაური ხართო — მკითხა.

— ქართველი გასლავართ...

— დიდი ხანია, რაც პარიზში ცხოვრობთ?

— სულ რამდენიმე თვეა, მასეტრო.

სულოვა ისევ ნამუშევრებს მიაჩერდა. მე სხვა სურათებიც
გამომოვაწყვე... კარგა ხანს ათვალიერა...

დაინტერესდა საქართველოთი, მისი ხელოვნებით... მვე
გუამობდი მის წარსულზე, კულტურის ძეგლებზე, ქართულ
ფრესკებზე და ხალხზე, რომლის ისტორია სიცოცხლისა და
არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორია იყო. იგი
ინტერესით მისმენდა.

— თქვენ რომ საქართველოზე ლაპარაკობთ, მე ესპანე-
თის ისტორია მახსენებდებო, — მითხრა ბოლოს. — ასეთი
აზრიც არსებობს, რომ ესპანელებსა და ქართველებს ერთი სა-
ერთო წინაპარი ჰყოლიათ-მეთქი. იგი გაოცდა. თუ ეს ასეა,
მაშინ მართლაც კარგი ალღო მქონია, რომ ამდენ ხალხში ჩე-
მი ძმა მიცენიაო.

ბოლოს რამდენიმე სურათი გადათვალა და მკითხა — ამ
ნახატებს თუ შეეღებოთო.

— როგორ არა, სიამოვნებით, თუ გნებავთ, მეტიც იყოს.

სულოვამ გაიღიმა და კიბიდან ფრანკების ორი დასტა
ამოიღო.

მე უარზე ვიყავი, ფულს არ ავიღებ, ისე წაიღეთ-მეთქი,
მაგრამ არც მომისმინა.

— მართოდენ კარგი სიტყვებით რომ შეიძლებაოდეს
ცხოვრება, რაღა გვიჭირდა. მე ბევრი რამ გამომიცვლია და ყვე-
ლაფრის ფასი ვიცი. თქვენ ახლა ფული გჭირდებოთ. ათვით
და უკეთესი სურათები დავგზავნიკეთო.

სულოვაგა წავიდა.

ერთხანს გაოგნებული ვიდექი... ისეთი მღელვარება და-
მეფულა, — სახელოსნოში ვეღარ გავჩერდი და გადავწყვიტე
„როტონდაში“ გავექცეულიყავი. შლიაპა დავისურე, მაგრამ
არ მომერგო... მივხვდი, რაშიც იყო საქმე... კიბები ჩავიბრძი-
ნე. შორიდან მოვკარი თვალი სულოვას. ვხედავ, მიდის. ჩე-
მი შლიაპა... დავეწვიე...

— მასეტრო...

სულოვა მაშინვე მობრუნდა. რა მოხდაო. მე ავუსხენი,
— პატარა გაუგებრობაა, შეცდომით ჩემი შლიაპა წავიღიათ-
მეთქი.


ერთხელ ეს ამბავი მოუყუვევი ცნობოდ არქეოლოგს კუფტინს.
მან გაიღიმა და თქვა: რა შესანიშნავია... მე ახლა ვხედავ იმ



ამადეო მოლიონი

წუთს, როცა პარიზში, მონპარნასის ბუღვარზე ორმა ბასკმა
ქულები გაცვალაო.

იმ დროს სულოვა დიდად განთქმული მხატვარი იყო
და კლასიკოსად ითვლებოდა. ხან პარიზში ცხოვრობდა, ხა-
ნაც მადრიდში. ამ შემთხვევამ კი საკმაოდ დეკავსლოვა...
რამდენჯერმე მისივე სურვილით სახელოსნოშიც ვეწვიე. მი-
ამბობდა თავის ცხოვრებას. ვგასაზრდით ესპანელებზე, პარიზ-
ზე, საქართველოზე, მხატვრობაზე... ცდილობდა დავეახლო-
ეყენინე, მაგრამ საერთოდ ძალიან მორიდებული ვიყავი და
არც ერთი შემთხვევა არ გამომიყენებია. მითხრა, შენი სურა-
თი ჩემს კოლექციამში იქნება, შემდეგ კი მადრიდის მუზეუმს
გადავცემო. სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინ სახელო-
ნოში მეწვია ესპანელი პოეტი ლუის ლანდინესი. ბევრი გე-
საუბრეთ. მე ვუამბე მას სულოვასთან ჩემი შეხვედრის ამ-
ბავი. მითხრა, თქვენი სურათი სულოვას კოლექციამში მაქვს
ნანახით. მე რებროდუქცია ვაჩვენე. დამიდსტურა, — ეს
არისთ. ძალიან მოეწონა სულოვას შლიაპის თავდადასავალი.
შესანიშნავი მოთხრობის თემაო. მე ვუთხარი, მოთხრობაც
ჰკვე დაწერეს-მეთქი... დავუსახელე ლალო ავალიანის მოთ-
ხრობა. გაიცინა, არა უშავს, მე ლექსს დავწერო. მართ-
ლაც დაწერა.



პირველსავე გამოფენაზე ჩემი მეორე სურათიც გაიყიდა. ეს იყო „მადლდერძელო განთიადისას“. იგი შეიძინა აკაკი ხოშტარიაძე.

ერთ მშვენიერ დღეს პარიზის ცნობილ ბულვარზე „რუ ბოიგისი“ მე, დავითი და შალვა ქეთიძე კერძო გალერეებზე მოწყობილ გამოფენებს ვათვალიერებდით (აქ, ყოველ კვირას იცვლებოდა ექსპონირებები). შევედით ერთ-ერთ გალერეაში, მადლენის მოედანზე, რომელსაც „გალერი როზენბერგი“ ერქვა. ამ გალერეის პატრონი ჰყვანდა მხოლოდ ისეთ მხატვრებს, რომორიც იყო პიკასო, მატისსი, დერენი, ბრაკი... ამჯერად კუზნისტური ნამუშევრების გამოფენა იყო...

უცნაოდ ქართული ლაპარაკი შემოვივსა. ვხედავთ, დგას სამი კაცი და პიკასოს სურათებს უყურებს. დავაყურადებთ... ერთი აქვდა... რა კარგია, საქართველოში კი არ იცნობენ, უსათუოდ შევიძინოთო. ჩვენ გაგვიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო, ისიც ქართველი, ასე ძვირად ღირებული სურათის ყიდვას რომ აპირებდა...

დავაკვირდით და აკაკი ხოშტარია ვიცანით. მეორეს არ მ'ეცნო. რად ვინდა, ამას ვინ შეუხედავსო — ეუბნებოდა. ხო... ჭარია მერყობდა, ამბობენ, ძალიან დიდი მხატვარია და ჩვენ არ გვეცნობის.

ძალიან აველდით. მივედით და გამოველაპარაკეთ. ყურს გვიდებდით და ძალიან გაგვხარდა, ზეპასოს ყიდვა რომ დააპირეთ, ახლა გეწყინს, რომ აღარ ყიდულობთ-თქო. ისევ დავიწყეს კამათი, მაგრამ ჩვენ მათთვის ავტორიტეტები არ ვიყავით და არ იყიდეს. იყიდეს ანდრე ლოტი. ესეც ფრანგი კუზნისტია. შემდეგ კი იგი ჩემს სურათთან ერთად საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადამოუგზავნა.

საკმაოდ სწორად გონაწილობდით სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებზე. მჭონდა, აგრეთვე, პერსონალური გამოფენებიც — პარიზსა და ნიუ-იორკში. ერთ-ერთი გამოფენის დროს ჩემზე დაიწერა მონოგრაფია, რომლის ავტორი გახლდათ ცნობილი ხელოვნებისმცოდნე მორის რენალი (სხვათა შორის, მორის რენალი სიცოცხლის ბოლო წლებში მხოლოდ პიკასოზე მუშაობდა).

არის მოვლენები, ამბები, არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს გეტყვიან... ისინი მუდამ განაყრელად დაგვეყვებიან, თან დაგაქვან მათი სიყვარული, მადლიერების გრძნობა მათდამი...

ერთი ასეთი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში მორის რენალი გახლდათ. სრულიად მოულოდნელად შევხვდი მას. ეს იყო ერთ-ერთი სალონის გამოფენაზე. ჩემმა პოლონელმა ამხანაგმა მითხრა: აქ არის ერთი ცნობილი ფრანგი ხელოვნებისმცოდნე, შენი ნახატები მოსწონს და უნდა გაგეცნოსო.

შემდეგ სახელისნომიც მოვიდა... დიდხანს ვისაუბრეთ... ძალიან დინტერესდა საქართველოს წარსულით, მისი ხელოვნებით. მითხრა, — საქართველოს ვიცნობ, ზოგი რამ მის შესახებ წამიკითხავს, მაგრამ ამ ქვეყნის წარმომადგენელს პირველად ვხედებიო...

შევეცადე ფრაგმენტულად მაინც აღვადგინო ზოგი რამ, რაც მან ჩემდა გასაოცრად და გასახარად მაშინ საქართველოზე მიამბო...

...საქართველო ჩემთვის არის იდუმალებით მოცული შორეული ქვეყანა.

ბავშვობაში გეოგრაფიის წიგნი ამოვიკითხე, რომ იგი ორ ზღვას შორის მდებარეობს, რომელთაგან ერთ-ერთს შავი ზღვა ჰქვია. ძალიან დიდხანს მაწვალებდა ფიქრი, თუ რატომ

უნდა ჰქონოდა ამ ზღვას ასეთი სახელწოდება. დამისატყვევებდა ამ ქვეყნის კონტურები... მთები, რომლის ერთ მთავალს კლდეზე ღმერთებმა პრომეთე მიაჯაჭვეს. მასსოფს სიმღერა, სადაც ქართველი ქალის სილამაზეს ასხამდნენ ხობტას... ალბოშიმ დღემდე შემორჩა ლამაზ ქართველ ქალთა სურათები, რომლებიც მაშინ მაღაზიაში იყიდებოდა. ბრწყინვალე კონტურები აცვიან ამ ქალებს... ერთ სურათს მაინც ძალიან დიდხანს ვინახავდი, რადგან იგი მაგონებდა გოგონას, რომელიც მოსწონდა. მაშინ გავიგე, რომ ეს ქალები მსოფლიოში ყველაზე ლამაზები არიან, მამაკაცები კი უმუდარებელი ცხენსენები. ისეთი გრძნობა ჰქვს, თითქოს ისინი მუდამ ცხენზე არიან ამხედრებულნი... ასე გონია, მათ, თუნდაც რამდენიმე ნაბიჯის გაღვატე რომ სჭირდებოდეთ, მაშინაც ცხენს უნდა შეასტინო-მეთქი... ამაში იხატება ტემპერამენტი, ბუნება, ხასიათი... საქართველო ხომ მთიანი ქვეყანაა, ალბათ, დაღალკნილი და დაბორცვილია მისი რელიეფი, მდინარეებიც ცხრა ტოტად მოედინებიან, ადამიანებიც სწრაფად მოძრაობენ... თქვენ ნახატებშიც ამას ვხედავ... მათშიც მთავარი — ხაზი და მოძრაობა... ხაზის, თვალების, სხეულის, ხელების, განსაკუთრებით ხელების... ჩემთვის ესაა ქართული ზმანებები — ელემენტური, კეთილი, თავისებური, საოცარი, უცხო კოლორიტი,

ა. მოლილიანი.

ჩანახატი.



ათას ერთი ღამის ზღაპრებზე უფრო მიზიდველი... იგი სავსე მითებით, ლეგენდებით... სასვე რაღაც გამოუცნობი ტრანს-გენით და ყოველივე ეს იგრძნობა თქვენს სურათებშიდაც... თქვენმა სურათებმა უფრო დამახალბოეს საქართველოსთან და ამის გამო თქვენი დიდად მაღლობელი ვართო... — მითხრა შორის რენალიმა. თითქმის მიოღო ორი საათი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა შეუწერებლად, გატაცებით...

ყოველივე ამის შესახებ მან შემდეგ წინშიც დაწერა... დიღანას ვისაუბრებო ხელოვნებაზე, განსაკუთრებით, თანა-მედროვე ხელოვნებაზე. მის მიმდინარეობებზე...

ბეკერი რამ სამუდამოდ დამახასოვრდა მისი საუბრიდან. მი-თხრა: „უცხოვლები რომ ჩამოვიდნენ, თავიანთ თავს არ უნდა ქაჩავდნენ. არ უნდა ხედიოდნენ ფრანგული მხატვრობის ეპიკურით, თორემ მათგან არც ფრანგი გამოვა და თავისასაც დაქარავენი. რა ფასი ექნებოდა, მაგალითად, თქვენს მხატვ-რობას, რაგინდ ოსტატურად არ უნდა იყოს იგი შესრულებუ-ლი, თუ მოვაცილებდით ეროვნულ კოლორიტს... თუ მოვაცი-ლებდით იმ მთავარს, რაც მას სხვა ათასი ნამუშევრიდან გა-მორჩევის. ამის შესახებ ახლა ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პა-რიზში და სამართლიანადაც. თქვენი ხასატები მიმდინარეობენ, რაოდენ თავისებური დარჩენილა ქართული ხელოვნება, მიუ-ხედავად იმისა, რომ გამანადგურებელი ომების საუკუნეები გასვითარა... აი, ესაა დასაფასებელი. ასეთი ხელოვნება გვაკავა-რებს უცხო ქვეყანას, მისი ხალხის სულს... იგი გვაფიქრებინ-ებს, რომ მავანანაც შეიძლება შეხვედეს საოცარსა და დიდე-ბულ ხელოვნებას“.

ბეკერი მსგავსი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული მორის რენალის თავის მონორაფიაში, რომელიც ჩემზე დაწერა... არც უთქვამს, რომ წიგნს წერდა. ეს მან, ალბათ, მისთვის იმ მწვენიერი და იდუმალებით სავსე ქვეყნის სიყვარულის გამო გააკეთა, რომლის ერთი წარმოდგენილიც მე ვიყავი იმდ-როინდელ პარიზში...

ამ მონორაფიაში მორის რენალი ძალიან მაქვს წერს. „ლადო გუდამაყის სურათებით თქვენი საქართველოს შეი-ყვარებოთ... სულ ახალგაზრდა ვიყავი და, რა თქმა უნდა, ძა-ლიან გამეხარდა... ახლა კი ვიცი, რომ ეს შეფასება მაშინ გა-დაჭარბებული იყო. მაგრამ მაინც, რა შეიძლება ხელოვნება უფრო მეტი ინსტრუქცი, ვიდრე ის, რომ მისი ნამუშევრები, ეი-ლაცას, თუნდაც ერთ ადამიანს, შორეული ქვეყნის მეკიდრს მის სათაყვანის სამშობლოზე კეთილ ფიქრსა და სურვილებს აღუ-მრავს... წიგნი გამოვიდა 1925 წელს. იგი გამოსცა გამოცემ-ლობა „ო სან პარიზი“ („შედასრულებული“... რა თქმა უნდა, ეს ძალზე საინტერესო და სასიხარულო ფაქტი იყო ჩემთვის... წიგნი, მართალია, დიდი ტირაჟით არ დაბეჭდილა, მაგრამ მხატვრულ სამყაროში მან საკმაოდ დიდი გამოხმაურება პპო-ვა. მორის რენალი მაშინაც უკვე ცნობილი ხელოვნების-მკოდნე გახლდათ. მისი წიგნის გამოქვეყნება ახალგაზრდა, ისიც უცხოელ, ქართველ მხატვარზე უბრალო ფაქტი როდი იყო.

ამ დროს მე უკვე, ასე თუ ისე, მიცნობდნენ. საკუთარი, პერსონალური გამოფენებზე მოვაწვე პარიზსა და ნიუ-იორკ-ში... სხვადასხვა სალონის გამოფენებზეც ხშირად ვმონაწილეო-ბიდი... რა თქმა უნდა, უკვე შეიძლება ვთქვათ ანალიზ-ზის გაკეთება, დასკვნის გამოტანა. შეიძლება იმის თქმა, თუ რა გავაკეთე, რა იყო საინტერესო, რა არა, თითქმის სუთი წლის მანძილზე ჩემს შემოქმედებაში. მაგრამ ასეთი არ მამინც ძალზე მოლოდინელი იყო. მით უმეტეს, რომ სხვა დროს

რენალი სახელობსოში არ მწვევია. საოცრად მახვილი-თვალი პირიდა, თუკი ყველაფერი მხოლოდ ერთხელ ნახებო შეგნებ-მე... მაგრამ როგორც ბევრ სხვა საინტერესო ადამიანთან, რო-მელიცე თავისკენ მიხმობდნენ, არც მასთან მქონია უფრო ამა-ლოდ უთრეიტიანობა. ყოველთვის მისათაღლებით ვესალმებოდი. ასევე მიკრძალებით გამოვეშვედიოვე საქართველოში წამოხე-ლის დღესაც. ვთხოვე, ჩამოსულიყო, დამპრობა, — ეს ჩემი დიდი ხნის ოქნებოო, მაგრამ შეიძლე მე იგი აღარ მინახავი.

ამ რამდენიმე წლის წინ საფრანგეთიდან გამომიგზავნეს მი-ნი ერთი ბრწყინვალედ გამოცემული წიგნი იმპრესიონისტებ-ზე... ამბობენ, ცოცხალი დრო არასი. ბეკერი ისევე მაგრა-ნებოდა მან თავის დროზე, როგორც სიტყვით, ასე საქმით. ეს წიგნი კი ჩემთვის მართლა უძვირფასესი საჩუქარი იყო... საფრანგეთის საჩუქარი, მისი სულგრძელობა... მე უზომოდ მაღლობელი ვარ მისი, მისი ნატიერი შევლება, მაღლობელი ვარ იმ წლებში...

ამბობენ, ბიბლიურმა მოსემ, როცა თავისი მრავალტანჯუ-ლი ერთ სამშობლოს საძებრად წამოიყვანა, გზად კიდე მრ-ვალი ტანჯვა გამოიტარა, მაგრამ საბოლოო მიზნით... „მე, ხალხი რომ სულ მთლად არ ამომწყდარიყო, ღმერთი ციდან მანანას უზენადად... ყველა პოულობდა თავისას, ზოგი — მუტას, ზოგი — ნაკლებს, მაგრამ მაინც საკმაოს...“

შეგდამ ეს ციდან ჩამოცვენილი მანანა მახსენდება, როცა იმდროინდელ პარიზსა და კაფე „როტონდაზე“ ვფიქრობ... აქვს, ვინც კი შემოაღებდა ფეხს, ყველა პოულობდა თავისას — ზოგი მეტს, ზოგი ნაკლებს, მაგრამ მაინც საკმაოს.

...ამადეო მოდილიანი ყოველ საღამოს მისთვის განკუთვნილ ადგილზე იჯდა „როტონდაში“ და ჩანახატებს აკეთებდა. ხში-რად ჩვენს თავიწინ იქმნებოდა მისი საწაულებრივი სურა-თებო... მაშინ იგი ცნობილი არ იყო.

მოდილიანიმ შესძლო გამოხატა არა მარტო თავისი დროის ტკივილები, არამედ საერთოდ ადამიანური განდღები-და განწყობილებები. სხვას რას დინახეს ცნება „თანამედროვე მხატვრობა“, თუ არა იმას, რომ მან უნდა გამოხატოს თავისი დროის მღელვარება, გავგავანოს და განგვაყდენის დროის ძახილი, მისი ცოცხალი ხმა, მისი ღრმა ფსიქოლოგიური გან-ცლები... ამისათვის პორტრეტის მარტო სარეგული მიმსავე-სება არ კმარა. ამისათვის საჭიროა ადამიანის სულის ამოც-ნობა, მისი სულიერი სამყაროს შეგრძნება. ასეთი მხატვარი გახსნავს მოდილიანი — ადამიანის სულის მხატვარი, დიდი შემოქმედი... სიცოცხლეში თითქმის არავინ იძინდა მის სურა-თებს, ბევრს არ ესმოდა, მაგრამ ვისაც ესმოდა, ვინც იმთავითე-ვე შესანიშნავად იცოდა მისი ფასი, არც ისინი ყიდლობდ-ნენ, მოდილიანის სიკვდილის შემდეგ კი თითქმის უსასყიდ-ლოდ დაინაკურეს. მისი სურათების უმეტესი ნაწილი სხვა-დასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებშია თავმოყრილი... და, ალ-ბათ, ვერაშადეს მოხერხდება მისი, მოლიანად თუ არა, რამ-დენადმე მაინც, სრული გამოთქმის ნახვა...

მახსოვს, ერთ დღეს „როტონდაში“ გამოფენა უნდა გაემა-რათა. მოდილიანიმაც მოიტანა თავისი სურათები. იქვე დაა-წყო და მაიკიდას მიუჯდა. ხელში ჩანახატებს ალბომი უჭირა, მოწყენილი იყო. მის წინ ისხდნენ ვიღაც ქალი და მამაკაცი. გადმოლა ალბომი და ეს ქალი ჩახატა. როგორც ჩანს, არ მოეწონა, მეორედ ჩახატა და ქალს გადასცა. ქალმა იუკად-რისა — „ეს მე არ ვარო“ და უკან დაუბრუნა. „ოჰ, ეს ქალე

ბი, არაფერი რომ არ ესმითო“ — გაბრახდა და გადმოხეცა — „აჰა, შენ გკონდესო“.

...ამას წინათ ერთი ფრანგი მეწვია სახელისონში. ნახა ეს ჩანახატი, ძალიან მოეწონა. მხოლოდ ეს ერთი ნახატიც რომ გაყიდოთ დღეს საფრანგეთში, ნახევარ წელიწადს უსრუნველად იცხოვრობთო — მიიხრა.

მოდილიანის პორტრეტები მართლაც არ ჰგავს თავიანთ მოდელებს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, მხოლოდ გარეგნულად მოგვეჩვენებათ... მის ნახატებში ბევრია პირობითობა. მაგრამ როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს ეს პირობითობა, როგორი დამორთველურიც არ უნდა იყოს იგი მოდელის ვარჯიშულ მსგავსებას, მათში მუდამ არის რაღაც განსაკუთრებული თქმმართველი, ცხოვრებისეულად რთული და პოეტურად ამალღებელი. მისი ნახატები „უსიტყვო საუბრებია“. იგი განზრახ კი არ აგრძელებდა ადამიანთა სახეებს, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ, ხაზს კი არ უსვამდა ასიმეტრიულობას. იგი ასე ხედავდა და ასე ხატავდა, ასეთი იყო მისი ხელწერა... მათ მხატვრობა დასასხლა საოცრად პოეტური სახეებით... ყველა მისი პორტრეტი უჩვეულოდ ახლოსაა ჩვენთან, ამაშია მათი განსაკუთრებული ძალა.

